

# დღე

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

26 მაისი **სუთხაბათი** 2011  
№ 121 (13418) ფასი 60 თეთრი

## დუბიუბანბი და სუთხუის ფინალისბი

ტორპედო მესამე  
თასთან, ბაბრა  
სუპერსენსაციასთან



გაგრას მთავარი მწვრთნელი ანატოლი პისკოვეცი

ტორპედოს მთავარი მწვრთნელი გია გიგაბაძე


3-4

## საბრანსფერო სუხონი გაისსნა



პირლო უკვე  
იუვეზია,  
სნეიდერი,  
მოდრიჩი და  
ბეილი  
მანჩესტერში?

5,12



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## პირველი ქართველი ბარბაროსუბში

8

ქუბრიაშვილი მსოფლიო  
ნაკრებში ითამაშებს




## არვიდას საბონისი: ლიბვას ოქრო, საქართველოს იდგალი

9



# ქვირკველია აქივებთან, ნაკრები ფინალზე

## მდგომარეობა საბანბაშო არ უნდა იყოს



**დავით ქვირკველია**მ ნაკრების გუნდში ვარჯიშზე წარბი გაიხეთქა და საავადმყოფოში წასაყვანი შეიქნა, სადაც ნაკრები დაადეს. ჯერ უცნობია, როდის განაახლებს ვარჯიშს ნაკრების მარცხენა ფლანგელი, მაგრამ მისი მდგომარეობა, წესით, საგანგაშო არ უნდა იყოს და სპლიტში გამგზავრებაც უნდა შეძლოს.

სხვა მხრივ, გუშინ ნაკრების შეკრების ჩვეულებრივი დღე იყო. "ბასაზე" პირველი ვარჯიში დილის 11-ზე, მეორე კი საღამოს 6-ზე ჩატარდა. ნაკრების რამდენიმე წევრი თბილისში ჯერ არ ჩამოსულა.

დღეს ნაკრები კვლავაც 11 საათზე ივარჯიშებს, საღამოს კი მთელი გუნდი ეროვნულ სტადიონზე საქართველოს თასის ფინალს დაესწრება.

ლევან ჯანაშვილი



# ქორეპულ გოგონას ეროვნულის იმედი აქვს

**გოგონა გოგონა** რუსულ "სპორტ-ბოქს" ვრცელი ინტერვიუ მისცა, სადაც საკლუბო და სანაკრებო თემებზე ვრცლად ილაპარაკა. საკლუბოზე დიდად არ შეეჩერებოდა: გოგონამ ნალჩიკის "სპარტაკიდან" ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგაში" გადასვლა იმით ახსნა, რომ ძველი კლუბის ხელმძღვანელობისგან თანამშრომლობის გაგრძელების განსაკუთრებული სურვილი ვერ დაინახა. ქართველმა ნახევარმცველმა იმედიანად ილაპარაკა "ვოლგას" სამომავლო გეგმებზე და ამ კლუბისა და ნალჩიკელ ქომაგებს სამადლობელი სიტყვებიც არ მოაკლო.

რაც შეეხება ნაკრების, გოგონას **თემურ ქეცბაიას** მისამართით საქებარი სიტყვები არ დაუშურებია: "შეიძლება ვინმეს განსხვავებული აზრი ჰქონდეს, მაგრამ გულშემოტიკვართა უმრავლესობა ქეცბაიას მუშაობას სწორად აფასებს და მისი შრომის შედეგსაც ხედავს. ყველაფერი შედეგით ფასდება და ამ მხრივ საქართველოს ნაკრებს საქმე მშვენივრად აქვს".

გოგონამ იმედი გამოთქვა, რომ ჩვენი ეროვნული გუნდი ხორვატიაში დადებით შედეგს მიიღწევს. მისი ოცნება ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე თამაში და რუსეთის ჩემპიონობაა.

იგი რუსებისა და ქართველების ურთიერთობასაც შეეხო და ისურვა, რომ პოლიტიკურმა პროცესებმა ერებს შორის ურთიერთობას ვერაფერი დააკლოს. რაც ყველაზე საინტერესოა, საქართველოს ნაკრებიდან მოკვეთის მიზეზებზე გოგონას სიტყვა არ დაუძრავს და არც უფრინალისტი ჩასძიება.

ლევან ჯანაშვილი

# სალიგაში ჯვარკველები 60 ქართველი უქონაბაზს

სლოვაკიაში საქართველოს ნაკრების მხარდასაჭერად გერმანიაში მცხოვრები 60 ქომბაგი ჩადის, რასაც ორგანიზებას გერმანიის ქართველთა სათვისტომოს ქომბაგთა კლუბი "ივერიელი" უკეთებს. ქართველი გულშემოტიკვრები გერმანიიდან სპლიტში ავსტობუსით გაემგზავრებიან. დიდი სურვილის მიუხედავად, ისინი ხორვატია-საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების მატჩზე დასწრებას ვერ ახერხებენ. "ივერიელის" წევრები თამაშის ბილეთებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უზრუნველყო.

ლევან ჯანაშვილი

# ლავიონერები

## ოქრიაშვილმა, ვეკო

**ოთარ ბაბალიას** საკადრო პრობლემებს კიდევ ერთი დამატება - 3 ივნისს ხორვატიაში მატჩს ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, მარიუპოლის "ოლინივეციის" ნახევარმცველი **თორნიკე ოქრიაშვილი** გამოტოვებს.

"დიდი ხანია, საზარდული მტკიცეა. კლუბის ექიმი ფიქრობდა, რომ სერიოზული ტრავმა არ იყო, ამიტომ უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში კიევის "დინამოსთან" შეცვლაზე შესვლამდე გამაყურებელი გამიკეთა. მაგრამ ტკივილმა ისე შემანუნა, მალევე გამომცვალეს.

დღეს ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე მაინც გამოვცხადდი და მთავარ მწვრთნელ ოთარ გაბელიას ვუთხარი, რაც მჭირდა - სამწუხაროდ, ასეთ მდგომარეობაში ხორვატიაში ვერ ვითამაშებ. სავარაუდოდ, 25 დღე დავისვენებ და მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნდები მოუდანს" - გვითხრა ოქრიაშვილმა.

რაც შეეხება მის კარიერას, ჯერ თავადაც არ იცის, ახალი სეზონიდან სად ითმუშებს: "კლუბის ხელმძღვანელობას "გაგრადან" ჩემი გამოსყიდვა და ორწლიანი კონტრაქტის გაფორმება სურს, მაგრამ მე ვეროპაში ან უკეთეს კლუბში თამაში მსურს და კონკრეტული შეთავაზებებიც არის".

მერაბ მამულაშვილი

# დვინიანიკა და ფეხბურთი ანგალი



"სპეცსტოპოლი", რომელსაც მათე ლვინიანიკემ ზამთარში მიაშურა, უკრაინის პრემიერლიგადან გადარდა. ქართველმა მცველმა უკრაინულ პრესასთან საუბარში ახალ კლუბში გატარებული პერიოდი შეაფასა და მომავალსაც შეეხა.

"მოუნებ 1860"-ში ოთხი სეზონი ვავატარებ და სიტუაციის გამოცვლა მჭირდებოდა. "სევასტოპოლში" ვადმოსვლა სწორი ნაბიჯი იყო. ძალიან კარგი ქალაქი და გუნდია, რომელმაც ელიტაში დასარჩენად ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ სამწუხაროდ, მიზნამდე მცირე დისტანციაზე დასრულდა. მან იქვე დასრულა, რომ კლუბის შეცვლას არ აპირებს და შეეცდება, "სევასტოპოლს" პრემიერლიგაში დაბრუნებაში დაეხმაროს, თუმცა ლვინიანიკეს დარჩენისთვის ერთი აუცილებელი ნინაპირობა აქვს: "გუნდში აუცილებლად დაერჩები, თუ მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე მუშაობას ანგულ ჩერვენიკოვი გააგრძელებს. მან "სევასტოპოლისთვისაც" და პირადად ჩემთვისაც ძალიან ბევრი გააკეთა და დარწმუნებული ვარ, თუ დარჩება, პრემიერლიგაში აუცილებლად დაგვარბუნებს. ხოლო თუ მან თანამდებობა დატოვა - ნასვლას არც მე გამოვირცხავ".

ლევან ჯანაშვილი

# ბასა გრძელდება

საძებრძვალის ნაკრების სანვრითელი ბაზის რეკონსტრუქციის ძირითადი ნაწილი უკვე დასრულებულია, მაგრამ "ბასას" სრულყოფისთვის სამუშაოები ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

როგორც იცით, უკვე მზადაა ორი სტანდარტული ზომის მოედანი, რომელთაგანაც ერთი ბალახისაა, მეორე კი ხელოვნურსაფარიანი. ბაზაზე კიდევ ერთი დიდი მოედნის მოწყობა იგეგმება და ისიც ბუნებრივი იქნება.

გარდა ამისა, "ბასაზე" მოეწყობა მინი-მოედნები და ჩოგბურთის კორტები. ბაზის ტერიტორიაზე მდებარე ტყეში აშენდება ბუნგალოები, ხოლო შენობის ზედა სართულზე ფეხბურთელებს განტვირთვისთვის ყველა პირობა ექნებათ შექმნილი - იქ უკვე დგას ბილიარდის მაგიდა, მალე კი დიდ ავიანზე გადასატანი აუზი დამონტაჟდება.

როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** გვითხრა, "ბასა" მხოლოდ ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებს მოემსახურება, სხვა ასაკობრივი ნაკრებების განკარგულებაში კი ლაგოების ბაზა იქნება.

ლევან ჯანაშვილი



# დინამო

# ქველები, ახლები და... ბარსელონა!

კვირს კი არა, ლამის დღე არ გავა, თბილისის "დინამოში" მომხდარ გარკვეულ საკადრო ცვლილებებზე არ შევიტყობთ; აი, გუშინაც, ჩვენს უმთავრეს საფეხბურთო სარბიელზე თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელობამ იქ შეკრებილ ყურნალისტებსა და ფანკლუბის წევრებს ბოლოდროინდელი სიახლეები გააცნო. ისე, თვითონ ამ შეხვედრის ფორმა მართლაც ფეფქტური და, ასე ვთქვათ, ევროპული გამოდგა: ეროვნულ სტადიონზე, კლუბის ახალი ლოგოთი დამშვენებული ბანერის ფონზე ყურნალისტებისა და გუნდის ყველაზე ერთგული ფანების ნინაშე "დინამოს" გენერალური დირექტორი **ზურაბ პოლოლიკაშვილი** და სპორტული დირექტორი **გიორგი ნემსაძე** წარსდგნენ. თუმცა, ვიდრე ზურაბ პოლოლიკაშვილი კლუბში უკვე მომხდარ თუ სავარაუდო ცვლილებებზე გაგვესაუბრებოდა, მანამდე "დინამოს" პრესატაშემ **გიგა გვენცაძემ** იქვე მყოფი ფეხბურთელებიც წარმოგვიდგინა ("უცხო" და "უცნობი" არაიენი იყო): **გულვერდ თომაშვილი** და **ნიკა ფირცხალავა** უკვე წლებია "დინამოში" თამაშობენ და კლუბმა მათ კონტრაქტი გაუგრძელა (გაუმჯობესებული პირობებით). "დინამოს" სრულყოფილებაში ნევირი გახდა 18 წლის **ნიკა კვიციანი**, - საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი და ეროვნული ნაკრების კანდიდატი ჩვენს ყველაზე ტიტულთან გუნდში მეორე ეტაპიდან ჩაირიცხა და 17 მატჩიც ჩაატარა. თუმცა, მთავარი სიახლე მაინც 26 წლის **სანდრო**



მარცხნიდან: გიგა გვენცაძე, გულვერდ თომაშვილი, სანდრო იაშვილი, ზურაბ პოლოლიკაშვილი, გიორგი ნემსაძე, ნიკოლოზ ფირცხალავა, ნიკოლოზ კვიციანი

**იაშვილის** გამოჩენა გახლდათ. ქართული ფეხბურთის ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელი ოთხწლიანი პაუზის შემდეგ კვლავაც თბილისის "დინამოს" დაუბრუნდა! 2006-07 წლების სეზონი იაშვილისათვის ყველაზე წარმატებული იყო: საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელიც გახდა და საუკეთესო ბომბარდირიც. სამწუხაროდ, ამის შემდეგ მისი კარიერა არაერთგვაროდ წარიმართა: ყველას რომ გვეგონა,


დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ნომერ პირველ თავდასხმელს **შოთა არველაძეს** ჩვენს ნაკრებში ლირსული შემცველი ეყოლებაო, სწორედ მაშინ დაიწყო იაშვილმა გუნდების ხშირი ცვლა; შვეიცარულ "თუნს" მცირე ხნით ბოლნისის "სიონში" დაბრუნება მოჰყვა, მერე რუსეთის პირველი ლიგა და მახაჩყალის "ანჟი" იყო, რასაც კვლავაც საქართველოში დაბრუნება და "ოლიმპიან" ერთად გაჩემპიონება მოჰყვა; ამის მერე კვლავაც არშემდგარი უცხოური ვოიაჟი

და ისევ "ოლიმპი", ოღონდ საკმაოდ მცირე ხანია (ამ სეზონში 5 მატჩი ჩაატარა) და აი, ამ ნიჭიერი და მართლაც არაორდინალური ფორვარდის კიდევ ერთი დაბრუნებაც. საერთოდაც, "დინამოს" ახალი ხელმძღვანელობა სულეციის საკითხს ამკარად "სხვაგვარად" რომ უცქერს, ფაქტია და ვფიქრობთ, ყოფილი დინამოელების მშობლიურ კლუბში დაბრუნების პროცესი კვლავაც გაგრძელდება... "დინამოს" ძველ-ახალი ფეხბურ-

თელების წარდგენის გარდა, ზურაბ პოლოლიკაშვილმა კლუბისთვის მეტად აქტიურად, სამწვრთნელო საკითხებზე ისაუბრა; როგორც კლუბის გენერალურმა დირექტორმა გვითხრა, უკვე პირველი ივნისისათვის თბილისში ჩამოსული იქნებიან... "ბარსელონას" წარმომადგენლები. ანუ, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ "დინამოს" სწორედ "ბარსელონას" ერთ-ერთი მწვრთნელი უთავაყვებეს (სახლსა და გვარს მალე შეიტყობთო, ასე გვითხრეს გუშინ); ამას გარდა, თბილისში კიდევ ორი ესპანელი (გნებავთ, კატალონიელი) სპეციალისტი ჩამოვა: ერთი "დინამოში" ფიზიომზადების მწვრთნელი იქნება, მეორე კი "დინამოს" ბავშვთა აკადემიაში იმუშავებს. აქვე, შევიტყვეო, რომ "დინამოს" ან უკვე ყოფილი მთავარი მწვრთნელი **კახა კაჭარავა** კვლავაც კლუბში დარჩება და სავარაუდოდ, კლუბის სულექტორ საკითხებს გაუწევს სერიოზულს. ამ შემთხვევაშიც გვინდა გავიზიაროთ ზურაბ პოლოლიკაშვილის პოზიცია, როცა "დინამოს" გენერალურმა დირექტორმა კახა კაჭარავას ლეანლი არ დაუკარგა: "მან ბევრი გააკეთა გუნდისთვის, კაჭარავას ხელმძღვანელობით "დინამოში" ბევრი ფეხბურთელი აღიზარდა და მადლობის მეტა არაფერი გვეთქვის აი, სულეცია კი დღემდე ცულად მუშაობდა [განსაკუთრებით, რეგიონებში] და იმედია, ამ კუთხითაც საქმე გამოსწორდება".

გია ტყეშელაშვილი





პროექტი უკვე რეალუაა

# ფსახაჟის 12


მთავრობამ სიჭინავას უთხრა, სიჭინავამ კლუბებს და...

მოსალოდნელი მოხდა – ფეხბურთის ფედერაციისა და კლუბების ხელმძღვანელთა შეხვედრაზე გადაწყვიტეს, აჯობებს, ჩემპიონატის რეგლამენტი და ვარდებით და სახელმწიფოსგან მეტი სიკეთე მივიღოთ, ვიდრე შევიანარჩუნოთ და მეტი სტადიონი და მოედანი არ გავაკეთოთ.

გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში გუნდებისა და ფედერაციის ხელმძღვანელები კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ და ამჯერად 2011-12 წლების სეზონში უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის 12-მდე გაზრდას ყველამ დაუჭირა მხარი. არადა, პირველ შეხვედრაზე ნინალდმეგი 6 გუნდი იყო (ქუთაისის "ტორპედო", თბილისის "დინამო", რუსთავის "ოლიმპი", "გაგრა", თბილისის "ლოკომოტივი" და "ხესტაფონი") და საკუთარი შენიშვნები გამოთქვეს.

ქუთაისი ჩემპიონატის მსვლელობისას რეგლამენტის დარღვევას და ლიგის რაოდენობის გაზრდას არ იზიარებდნენ იმ დროს, როდესაც ბევრ გუნდს ფინანსური პრობლემები აქვს. ამჯერადაც ყველაზე მეტად ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა და პროექტის მთავარი მონაწილე დევიდ, "ხესტაფონის" პრეზიდენტი ილია კოკია აქტიურობდნენ, მაგრამ ერთი კვირის წინანდლისგან განსხვავებით, ამჯერად ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობა გამოავლინეს, ზუმრობდნენ და დაძაბულობა განმუხტეს. რაც მთავარია, სიჭინავას წარმოდგენილმა გარანტიებმა კოკია დაარწმუნა, რომ პროექტის განხორციელება ჩვენს ფეხბურთს და ჩემპიონატს არ აზარალებდა.

გასული კვირის შეხვედრაზე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ინიციატივით შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდნენ ფედერაციის გენერალური სამდივნოსა და სამედიცინო კომიტეტის თანამშრომლები,



ზვიად სიჭინავა ფოტო: www.gff.ge

ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მწვრთნელები, ფედერაციის გენერალური მდივანი და ვიცე-პრეზიდენტები. მათი ამოცანა პროექტის დამუშავება და მასში შესწორებების შეტანა იყო.

გუშინ ფედერაციის გენერალური სამდივნოს ხელმძღვანელმა რევაზ შენგელიამ რამდენიმე დღიანი მუშაობის შედეგი, პროექტის დამუშავებული და შესწორებული ვარიანტი წარადგინა. მისი თქმით, ახალი პროექტი და პრეზიალური სისტემა იქნება გარანტი იმისა, რომ საუკეთესო რვა გუნდში ბოლო ადგილებზე გასულებს მორის ერთი ადგილით დაწინაურებაც სასურველი იქნება.

ზვიად სიჭინავა: "ამ საკითხზე გუშინ მთავრობის სხდომაზე იმსჯელეს და სახელმწიფოსგან ოფიციალურად დადასტურებული და დამტკიცებული ფინანსური გარანტიები მივიღეთ, რომ 2012 წლისთვის მინიმუმ შვიდი მოედანი გაკეთდება. უკვე გადაწყვეტილია ფოთის სტადიონის რეკონსტრუქცია, უახლოეს დღეებში კი ბერძნული

კომპანია დაიწყებს მიხეილ მესხის სტადიონის რეაბილიტაციას. სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი და ფოთის მერი სტადიონების გაკეთებას საკუთარ თავზე იღებენ. სად დაიგება სხვა ახალი მოედნები, ჩემპიონატის შედეგების მიხედვით გადაწყდება. 2011 წელს პრეზიდენტის ფონდიდან დაფინანსდება ორი სტადიონის მშენებლობა, სავარაუდოდ, ბათუმსა და ზუგდიდში. 2011-2012 წლებში იგეგმება მინიმუმ 3-4 მოედნის საფრის დაგება. საერთო ჯამში, 2012 წელს მინიმუმ შვიდი მოედანი გაკეთდება".

ილია კოკია: "არ მინდა, სულ ოპორტუნისტების რეჟიმში ვიყო. მაგრამ შოკში ჩავარდი, როდესაც უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდაზე ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე გავიგე. უკეთესი იქნება, ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე მოვითხოვოთ. იმიტომ ვიყავი წინააღმდეგი, რომ სახელმწიფო აქამდე იძლეოდა გარანტიას, მაგრამ შემდეგ რაკეტები იცვლებოდა, მაგრამ ახლა მთავრობამ გარანტიები მოგვცა და ავადმყოფი უნდა იყო კაცი, პროექტს მხარი არ დაუჭირო. სასიამოვნოა, რომ პროექტებში ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჩართულია, რადგან ჩემპიონატთან დაკავშირებულ საკითხებში მისი მონაწილეობა ფეხბურთელებისთვის დიდი სტიმულია".

პროექტის დამუშავებულ ვარიანტში ორი მნიშვნელოვანი ცვლილებაა: პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები პლეი ოფში თამაშს განახლებული ქულების ნაცვლად ურთიერთმეგობრებში დაგროვილი ქულებით განაგრძობენ და მე-9-მე-12-ადგილოსნებთან დაგროვილი ქულები აღარ ჩაითვლება.

მომავალი ეროვნული ჩემპიონატი კი 7 აგვისტოს დაიწყება. ასე რომ, 5 ივლისს დაწყების შესაძლებლობა გამოირიცხა, რადგან თაბის გათამაშებაში ჯგუფური ეტაპი გაუქმდა, სათასო შეხვედრების

რაოდენობა შემცირდა და უმაღლესი და პირველი ლიგების გუნდები გათამაშებაში 1/16-ფინალიდან ჩაებმებიან. 2011-12 წლების ევროტურნირების მონაწილე გუნდები კი თაბისთვის ბრძოლას მერვედფინალიდან დაიწყებენ.

1/16-ფინალში გუნდები ერთმანეთს ორჯერ შეხვებიან და გამოავლენენ 12 გუნდს, რომლებსაც 1/8-ფინალში ევროტურნირებში მონაწილე 4 გუნდი დაემატება.

1/8, 1/4 და 1/2-ფინალებში გუნდები ორ შეხვედრას გამართავენ (შინ და გასვლაზე). ფინალში გამარჯვებული კი, ჩვეულებისამებრ, ერთ მატჩში გამოვლინდება.

თაბის გათამაშებაში გუნდები მინიმუმ ორ მატჩს გამართავენ, მაქსიმუმ – ცხრას, ევროტურნირების მონაწილე გუნდები კი – მაქსიმუმ შვიდს.

უმაღლეს ლიგაში დამრჩენი და გადამოსვლილი გუნდები 29-30 მაისს გათამაშებულში გაირკვევა. ორივე მატჩს ეროვნული სტადიონი უმასპინძლებს: 29 მაისს ცხინვალის „სპარტაკისა“ საჩხერის „ჩიხურას“, 30 მაისს კი „სამტრედიასა“ და გორის „დელას“ შეხვედრებს.

საფეხბურთო კლუბების ხელმძღვანელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ პროექტის შესწორებული ვარიანტი მოინწონა, რომელიც აღმასკომის წევრებმა განიხილეს და დაამტკიცეს.

### მერაზ მამულაშვილი

P.S. "ყაფარჯინის პრინციპი" – რაც გვინააღმდეგება, ის შენი დასაყრდენია. ეს გუშინდელ შეხვედრაზეც დამტკიცდა, პროექტის ყველაზე დიდი მონაწილე დევიდ, ილია კოკიას მიერ პროექტის თანადგომა ზვიად სიჭინავასთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ეს იმიტომ, რომ ადამიანურად დაილაპარაკეს, პირდაპირ გვერდზე გადავხედო, საერთო სატკეპარი გაიზარეს. ალბათ, ეს არის სწორი გზა, ფეხბურთშიც, სპორტშიც, ეკონომიკაშიც...



## ილია კოკია: შეიყვანეთ კლუბის მენეჯერი ალმასკოში

ფეხბურთის ფედერაციისა და კლუბების ხელმძღვანელთა შეხვედრაზე "ხესტაფონის" პრეზიდენტმა ილია კოკიამ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას საინტერესო წინადადებით მიმართა.

მისი აზრით, 25 ივნისს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობაზე ასარჩევ ალმასკომის სასურველი იქნებოდა კერძო კლუბების წარმომადგენელთა არჩევა.

"უხერხულია, ალმასკომში არც ერთი კლუბი არ არის წარმოდგენილი. ლაპარაკია იმ ადამიანებზე, რომლებიც წლებია, ქართული ფეხბურთისთვის ბევრამეხს აკეთებენ, მისი პრობლემები და ბედი ადარდებთ. ერთი-ორი ასეთი კაცის არჩევა სასურველი იქნებოდა. ჩემი აზრით, მავალითად, ურიგო არ იქნებოდა, თუ ალმასკომში შევიყვანოთ "ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტ გურამ რუხაძეს, რომელიც ამ დარბაზში მსხდომთაგან ყველაზე მეტხანს პატრონობს საფეხბურთო კლუბს და გამართული მენეჯმენტის მავალითა გვაძლევს. ვფიქრობ, მისი იქ ყოფნა, რჩევები და გვერდში დგომა აღმასკომის სხვა წევრებსაც სჭირდებათ" – თქვა კოკიამ.

შეგახსენებთ, რომ ზვიად სიჭინავას პრეზიდენტობის პირველი ვადის დროს არჩეულ ალმასკომში კერძო კლუბების არც ერთი მენეჯერი არ აურჩევიათ. კოკიას წინადადება კი სასურველი, უფრო მეტიც, ლოგიკურია – აღმასკომზე მათი ხმაც უნდა ისმოდეს, ვინც ფეხბურთს საკუთარი ჯიბიდან ახარჯავს ფულს.

### მერაზ მამულაშვილი

### ტორპედო

### საკართველოს თაბის ფინალის წინ

### ბაბრა

## ბია გიბატაძე: უძლიერესი შეაღებულა მოედანზე, უპრავლესობა ბრიბუნებზე

საქართველოს თაბის ორივე ფინალისტი სეზონის უმნიშვნელოვანესი მატჩისთვის გამალებით ემზადება. გარეული კოლეგის მსგავსად, ოპტიმისტურადაა განწყობილი "ტორპედოს" მთავარი მწვრთნელი ვია გიბატაძე.

- როდის ჩამოვიდა თქვენი გუნდი თბილისში და როგორ რეჟიმში მიმდინარეობს ფინალისთვის მზადება?

- ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩის შემდეგ, როცა სტუმრად "დინამოს" შევხვდით, თბილისი არ დავვიტოვეთ და ფინალისთვის დედაქალაქში ვემზადებთ. დაბინავებულები ვართ სასტუმრო "პატესტაში", ხოლო ვარჯიშებს გლდანში, "ამერის" სტადიონზე ვატარებდით. ფინალის წინა დღეს კი ეროვნულ სტადიონზე ვივარჯიშეთ. გუნდში იდეალური განწყობაა და ფინალისთვის ყველაზე შესაბამისი შემართებით ვემზადებით.

- ყველა ფეხბურთელი მწყობრშია?

- დიახ, საბედნიეროდ, ყველა ჯანმრთელადაა და საფინანსო შემადგენლობის არჩევანში შეზღუდული არ ვიქნები.

- გიორგი მეგრელია ტრავმის გამო ჩემპიონატის ბოლო ტურებში არ უთამაშია. იგი სრულად გამოჯანმრთელდა?

ბული ვარ, "ტორპედოს" ნებისმიერ შემთხვევაში დიდ სამსახურს გაუწევს.

- როგორ შეაფასებთ "ტორპედოს" მიერ ჩატარებულ ბოლო მატჩებს?


- ვფიქრობ, ჩვენი გუნდის პროგრესი თვალსაჩინოა, თუმცა მთავარი მატჩი წინ გვაქვს და მხოლოდ მისი შედეგიდან გამოვძინებ შედეგებს რეალურ პროგრესზე ლაპარაკი. ისე კი, რაღა თქმა უნდა, "დინამოს" დამარცხებამ ბიჭებს საკუთარი თავის რწმენა აუმაღლა. თან ისიც გასათვალისწინებელია, რომ ის შეხვედრა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გარეშე მოვიგეთ.

- როგორ გაიხსენებთ ფინალამდე განვლილ გზას?

- ყველა ეტაპი მიმე ბრძოლით გადავლახეთ, ერთხელ დამატებითი დროც დავგჭირდა, ნახევარფინალში კი "ხესტაფონთან" განსაკუთრებით ძნელი თამაშები ჩავატარეთ. გამარჯვება ორივე გუნდს შეეძლო, მაგრამ ძლიერ მეტოქეს ვაჯობეთ და ფინალის საგზური ჩვენ დავგჭირა. ახლა მთლიანად ფინალის შედეგზე დამოკიდებული, წარმატებული თუ უიღბლო გამოვა "ტორპედოს" მიერ ჩატარებული სეზონი.

- მეტოქეს როგორ დახასიათებთ?

- საქართველოს თაბის ფინალში შემთხვევითი და სუსტი გუნდი ვერ გავა, "გაგრამ" ეს პატივი დამსახურებულად ირგუნა. მან ხომ გზიდან "დინამო" და "ვიტ ჯორჯია" ჩამოიცილა. "გაგრას" თამაშების ვიდეორჩანაწერები დეტალუ-



რად გაეანალიზეთ და დაგრწმუნდით, რომ საქმე გვაქვს შემტევ და ბრძოლიურუნარიან გუნდთან. მისი დამარცხება იოლი არ იქნება, მაგრამ ჩვენ უკანდასახვევი გზა არ გვაქვს.

- ფინალს ფავორიტი თუ ჰყავს?

- ფინალი ყოველთვის სპეციფიკური მატჩია და არა მგონია, აქ ფავორიტის დასახელება ღირდეს, გამარჯვების შანსი ორივე გუნდს აქვს.

- დაძაბულობისა და შეხვედრის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ხომ არ ფიქრობთ, რომ თამაში არცთუ სახანაობრივი იქნება?

- ამის წინასწარ თქმა გამჭირდება. შესაძლოა, უხვგოლიანი მატჩი მართლაც არ გამოდგეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მაყურებელი მაღალი დონის ფინალით ისიამოვნებს.

- ქუთაისიდან, ალბათ, ბევრ კომპაგელით.

- დიახ, ეროვნულ სტადიონზე თავს ისე ვიგრძნობთ, როგორც სახლში, ტრიბუნებზე უპირატესობა გარანტირებული გვაქვს.

### ლევან ჯანაზაშვილი

## ბესიკ ჩიხრაძე: ფინალში თაბაში ჯარ კიდე პარხან ლაზაბაშვი

ფინალისთვის სამზადისზე "გაგრას" პრეზიდენტი ბესიკ ჩიხრაძე საინტერესო ამბებს გვიმხვს:

- აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციისთან ერთად აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის მოზილეზებასა და მატჩზე მოყვანას ვცდილობთ. ჩვენი ვარაუდით, შესაძლოა, მათი რაოდენობა 5-დან 10 ათასამდე იყოს.

- ფინალში ვასვლით "გაგრამ" სახანული მოახდინა, მაგრამ მაინც პირველი ლიგის გუნდია, ფავორიტად კი ყველა ქუთაისის "ტორპედოს" თვლის.

- მესმის, მაგრამ, როდესაც უმაღლესი ლიგადან გავვარდით, ჯერ კიდევ მაშინ დავგვეგმეთ, რომ მინიმუმ თაბის ფინალში უნდა გადასულიყავით და უმაღლესში დავბრუნებულიყავით.


რა თქმა უნდა, ამაში დარწმუნებული არ ვიყავით, მაგრამ საკუთარი გუნდის მჯეროდა. თუ გაიხსენებთ, ანატოლი პისკოვეცი მთავარ მწვრთნელად წინა ჩემპიონატის ბოლოს დავენიშნეთ, მეოთხე ეტაპზე დავგროვილი ქულებით "გაგრა" მესამე ადგილზე იყო. ჩვენი შესაძლებლობები კარგად შევაფასეთ და დარწმუნებული ვიყავით, რომ "გაგრას" დიდი პოტენციალი ჰქონდა.

- ოვონიკოკო თუ დაგტოვებთ, უმაღლეს ლიგაში ბევრად შესუსტებული ითამაშებთ.

- ის ჩვენითვის მართლაც დიდი ძალაა, მაგრამ კიდევ მოდინა საინტერესო მოთამაშეები. ნიგერიელი ბიჭი ჩამოყვანილი, რომელიც 18 წლის მალე გახდება და ვფიქრობ, ოვონიკოკოზე უფრო ნიჭიერია. ჩვენ ისედაც გაძლიერებას ვაპირებთ, მეტსაც ვეტყვი – ორი წლის შემდეგ ჩემპიონობისთვის ბრძოლას ვგეგმავთ. ამისთვის თანდათან უნდა მოვემზადოთ, გავაძლიეროთ მენეჯმენ-

ტი, საკლუბო სტრუქტურები, მოვიზიდოთ შორფესიონალი კადრები და მიზნის მიღწევა შესაძლებელი იქნება.

- კლუბების ხელმძღვანელებთან შეხვედრისას ზვიად სიჭინავამ თქვა, რომ "გაგრას" სტადიონის გადაცემაში დაეხმარება.



- არის ლაპარაკი და იმედია, საკითხი დადებითად გადაწყდება. მაგრამ ადგილის დაკონკრეტებას მოვერიდებით. ჩვენ ავიღებთ საინტერესო ვალდებულებას, რომ ავაშენებთ 3 ათას მაყურებელზე გათვლილ პატარა, მაგრამ კომფორტულ და ლამაზ სტადიონს, სადაც ასაკობრივი ნაკრებებიც ითამაშებენ.

აქვე ახალ პროექტზე მინდა ვთქვა: სახელმწიფო ფეხბურთის განვითარებით დაინტერესდა და ამ შანსის გამოყენებლობა სისულელე იქნებოდა. ვფიქრობ, ეს პროექტი ჩვენი ბავშვების ნიჭის რეალიზების რეალური შანსია, რადგან გუნდების სიმცირე ფეხბურთელების სიმცირესაც ნიშნავს, ახლა კი გუნდების რაოდენობა გაიზარდება, მოთხოვნა კი მინორების გაზრდასაც განაპირობებს.

### მერაზ მამულაშვილი





# ქართული ფეხბურთი

საქართველოს თასი

# დღევანდელი გეგმები და განსაკუთრებული ფაქტები



### გეგმები

დღეს მართლაც განსაკუთრებული ფინალი გველოდება: საქართველოს თასის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როცა ამ პრესტიჟული პრიზის მოსაპოვებლად... პირველი ლიგის გუნდი იბრძოლებს ანუ, როგორც შედეგითაც არ უნდა დასრულდეს დღევანდელი მატჩი, „გაგრა“ ქართული ფეხბურთის ისტორიაში დაიმკვიდრებს ადგილს და ცოტა არ იყოს, ძნელადაც წარმოგიდგენია, რომ უახლოეს წლებში ანალოგიური მიღწევა რომელიმე ჩვენმა პირველილიგელმა გაიმეოროს. რა თქმა უნდა, თასის გათამაშება სპეციფიკური ტურნირია და ისე როგორც სხვა ქვეყნებშიც, სხვადასხვა დროს საქართველოშიც არაერთი სიურპრიზი გვინახავს, მაგრამ „გაგრა“ მაკალი-

თი მინც განსაკუთრებულია; თანაც, „შემთხვევით“ შეიძლება, რომ გუნდმა ერთ-ერთი ეტაპი გადალახოს, მაგრამ თასის ფინალამდე „შემთხვევით“ არ გადაინ და საპატიო პრიზისთვის ბრძოლაც „გაგრამ“, ნამდვილად დაიმსახურა.

1/16 ფინალში „გაგრამ“ ასევე პირველილიგელ „ნორ დინამოს“ რომ აჯობა (3:1), არავის გააკვირვებია, ისე როგორც მერვედფინალში ფოთის „კოლხეთის“ ძლიერად; აი, მომდევნო ორ ეტაპზე კი „გაგრამ“ ზედიზედ ორი სუპერსენსაციის შემოგვთავაზა: ჯერ იყო და ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულური გუნდს „დინამოს“ აჯობა ორი მატჩის ვაშლი, შემდეგ კი გათამაშებიდან იმ დროისათვის თასის მოქმედი მფლობელი „ვიტ ჯორჯია“ გამოთიშა. თანაც, „გაგრამ“ ისე შთამბეჭდავდა ჩაატარა ორივე ნახევარფინალური მატჩი, მეტოქეს, საერთოდ, შანსი რომ არ დაუტოვებია. საერთოდ, ეს სეზონი „გაგრასთვის“ მართლაც გამორჩეულად განსაკუთრებულია: თასის ფინალში გასვლა ხომ ისედაც უდიდესი წარმატებაა, ამას გარდა, გუნდმა პირველი ლიგის გათამაშებამაც გაიმარჯვა და ერთდროს პაუზის შემდეგ ახალი სეზონიდან კვლავაც უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს. ფაქტია, რომ გამოცდილმა უკრაინელმა სპეციალისტმა ანატოლი მისკოვეცმა საკმაოდ ბრძოლისუნარიანი გუნდი ჩამოაყალიბა, არავის და არაფერს რომ არ ეშუება და „გაგრას“ ხელმძღვანელობა, სამწვერთელი მტაბი და ფეხბურთელები ახლა უკვე თასის მოპოვებაზე ფიქრობენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „გაგრა“ მშვენიერი შანსი ეძლევა, კლუბის ხანმოკლე ისტორიაში კიდევ ერთი სასახელო ფურცელი ჩაწეროს და... ევროპის ლიგის საგზური მოიპოვოს!

... მეტოქისაგან განსხვავებით, „გაგრა“ პირველად იასპარეზებს თასის ფინალში და გუნდში ორად-ორი ფეხბურთელია, ასეთი დონის მატჩში რომ უთამაშა: ლადო ნადირაშვილი („ამერიის“ შემადგენლობაში) და დავით გიგაური („დინამოს“ შემადგენლობაში). აი, „გაგრას“ ყველა დანარჩენი ფეხბურთელი კი პირველად იასპარეზებს საქართველოს თასის ფინალში...

### ბიოგრაფია



2010-11 წლების სეზონის დაწყებამდე ქართულ ფეხბურთში უმნიშვნელოვანეს მოვლენად უმაღლეს ლიგაში ქუთაისის „ტორპედოს“ დაბრუნება მივიჩნით! სხვა-ნაირად ვერც იქნებოდა: ტიტულურობის რაოდენობით საქართველოს მეორე გუნდს პირველ ლიგაში არაფერი ესაქმებოდა და საუბედნიეროდ, კომპანია „ვისოლის“ უდიდესი ძალისხმევით „ტორპედო“ უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა. მართალია, ჩემპიონატიდან ევროტურნირების საგზურის მოპოვება ვერ მოხერხდა, სამაგიეროდ ქუთათურებს მშვენიერი შანსი აქვთ, რომ თასის მოპოვებით ასევე გარკვეული პაუზის შემდეგ ევროპაზე იასპარეზონ...

ამ გათამაშებაში „ტორპედომ“ 1/16 ფინალში ოზურგეთის „მერცხალს“ დიდი ანგარიშით (4:0) მოუგო; მერვედფინალსა და მეთხუთედფინალში მეტოქე უპირატესობით აჯობა „ბაიასა“, „სიონს“, აი, ნახევარფინალში კი გია გიგაძის გუნდს მართლაც ურთულესი მეტოქე ჰყავდა „ზესტაფონის“ სახით. ორივე ნახევარფინალური მატჩი უაღრესად დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა, რაც მთავარია, ამ ორივე „იმერულ დერბიმ“ გულშემატკივართა უდიდესი ინტერესი გამოიწვია: ქუთაისში ჩატარებულ პირველ ნახევარფინალურ პაექრობას 15 000 მაყურებელი დაესწრო! ის მატჩი მასპინძლებმა ვეტერანი ფორვარდის, 32 წლის გიორგი მეგრელაძის ერთადერთი გოლით მოიგეს, განმეორებითი შეხვედრა კი, უაღრესად ნერვული რომ გამოდგა, ნულოვანი ფრით დასრულდა და შეიძლება ითქვას, რომ „ტორპედო“ კვლავაც საქართველოს თასის ფინალშია! ჰო, 2004 წელს იასპარეზებს ქუთაისელებმა უკანასკნელად თასის ფინალში, როცა „დინამოსთან“ 1:2 წააგეს. თუმცა, ამის გარდა, „ტორპედო“ კიდევ ოთხჯერ იყო ფინალში გასული და ორჯერ შეძლო საპატიო პრიზის მოპოვება — 1999 და 2001 წლებში. აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში „ტორპედომ“ პენალტების სერიაში შეძლო მეტოქეთა დამარცხება: მესაბამისად, „სამგურალსა“ და „ლოკომოტივს“ მოუგო.

საინტერესოა, რომ „ტორპედოს“ დღევანდელ შემადგენლობაშია ფეხბურთელი, მართლაც „მორეულ“ 1999 წელს თასი რომ მოიპოვა — გიორგი მეგრელაძე ზე მოგახსენებთ. ვისთვისაც დღევანდელი მატჩი მეოთხე ფინალი უნდა იყოს. თუმცა, „ტორპედოს“ სხვა რეკორდსმენი ფეხბურთელებიც ჰყავს, მართლაც უნიკალური მაჩვენებლით რომ მოიწონებენ თავს: გუნდის კაპიტანმა, 35 წლის სევასტი თოდუამ ჩემპიონატი ყველა მატჩი შეუცვლელად ხომ ჩაატარა, დღეს თავის მერვე (!) ფინალს ითამაშებს. თოდუამ სამი ფინალი „ტორპედოს“ მისულობით ჩაატარა, ოთხიც, როგორც „ზესტაფონის“ ფეხბურთელმა და ასეთი სოლიდური მაჩვენებლის მიუხედავად, მხოლოდ ორჯერ შეძლო ფინალში გამარჯვება. არაანაკლებ გამორჩეული მაჩვენებლით შეუძლია იამაყოს „ტორპედოს“ კიდევ ერთ ნამყვან ფეხბურთელს, 27 წლის თენგიზ ჩიკვილაძეს, რომელიც მეექვსედ იასპარეზებს ფინალში. თანაც, თიკვილაძე წინა ხუთ ფინალში 4 სხვადასხვა გუნდის მისულობით იასპარეზებდა: „ზესტაფონის“, „ამერის“, „ოლიმპისა“ და „დინამოსი“: თოდუასა და ჩიკვილაძის გარდა „ტორპედოს“ შემადგენლობაში სხვა ფეხბურთელებიც არიან, სხვა გუნდების სახელით რომ უასპარეზობთ ფინალში: გრიგოლ დოლიძე (სამჯურ), გიორგი სეთურიძე (ორჯერ), ლაშა ქებაძე, ვახტანგ კვარაცხელია, ნოდარ მაჭავარიანი, დავით დიღმელაშვილი, რევაზ გოცირიძე, გიორგი დათუნაიშვილი (ყველა-თითო-თითოჯერ). სხვათა შორის, სწორედ გიორგი დათუნაიშვილის ერთადერთი გოლის წყალობით შარშანდელ ფინალში „ვიტ ჯორჯიამ“ თავის ისტორიაში პირველად შეძლო თასის მოპოვება...

### განხილვა

დღემდე საქართველოს თასის ფინალში თორმეტ გუნდს უთამაშია. რეკორდსმენია თბილისის „დინამო“ — 11 ფინალში ცხრა გამარჯვება! „დინამო“ ფინალში მხოლოდ ორჯერ (1998 და 2010 წლებში) დამარცხდა. თბილისის და ბათუმის „დინამო“ თასის ფინალში ერთმანეთს ხუთჯერ შეხვედნენ (აქედან, ოთხჯერ — ზედიზედ); სამჯერ შეხვედნენ ერთმანეთს ფინალში ქუთაისის „ტორპედო“ და თბილისის „ლოკომოტივი“, აგრეთვე — „ამერი“ და „ზესტაფონი“. სულ კი, გუნდების სათასო მონაგარი ასე გამოიყურება: თბილისის „დინამო“ — 11 ფინალი (9 გამარჯვება), ქუთაისის „ტორპედო“ — 5 ფინალი (2 გამარჯვება), ბათუმის „დინამო“ — 5 ფინალი (1 გამარჯვება), თბილისის „ლოკომოტივი“ — 4 ფინალი (3 გამარჯვება), „ზესტაფონი“ — 4 ფინალი (1 გამარჯვება), თბილისის „ამერი“ — 3 ფინალი (2 გამარჯვება), სოხუმის „ცხუმე“ — 2 ფინალი (ორივე წაგება). თითო-ჯერ იყვნენ ფინალში: წყალტუბოს „სამგურალი“, რუსთავის „მეტალურგი“, რუსთავის „ოლიმპი“, ბოლნისის „სიონი“, ლანჩხუთის „გურია“, „ვიტ ჯორჯია“. აქედან გამარჯვება მხოლოდ „გურია“ და „ვიტ ჯორჯიამ“ მოიპოვეს.

### შედეგები

2005 წლიდან საქართველოს თასის გათამაშებას ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის დავით ყიფიანის სახელი ეწოდა. აღსანიშნავია, რომ დავით ყიფიანის ხელმძღვანელობით გუნდებს ოთხჯერ მოუგიათ საქართველოს თასი, სამჯერ რეგულარულად ეს საპატიო პრიზი აქვთ მოპოვებული. ორ-ორჯერ — გივი ნოდინასა და გიორგი ჩხინაძეს, თითო-ჯერ — გიგლა იმნაძეს, შოთა ჭიჭიშვილს, ჯემალ ხერხაძეს, სერგო კოტრიკაძესა და გია ჯიმკარიანს (ერთად მუშაობდნენ), ივო შუშკას, გია გეგუჩაძეს, ნოდარ აკობიას, თემურ მახარაძეს, კახა კაჭარავას, გელა გომელაურს. გიორგი ჩხინაძეს საქართველოს თასის ისტორიაში უნიკალური მიღწევა აქვს: ერთადერთია, ვისაც ჯერ ფეხბურთელის რანგში მოუგია თასი, შემდეგ კი — უკვე როგორც მწვრთნელს. ივო შუშკა კი ერთადერთი უცხოელი მწვრთნელია, ვისაც საქართველოს თასის გათამაშებაში გაუმარჯვია.

### ლეგიონერები

საქართველოს თასის გათამაშების 21-წლიანი ისტორიის განმავლობაში ფინალურ შეხვედრებში რამდენიმე ლეგიონერს უასპარეზია: რობერტას ფრიდრიკას, რიმას მაჟეიკის (ორივე-ლიტვა), ანდრე პოროშინს (უკრაინა), კარლოს, რამონს, ვიერას, ჟონატას, რობერტინოს (ყველა-ბრაზილია), პოლ კესანის, ერნესტ აკუსას-გას, ჯორჯ აკრემის (სამივე-გაბონი), სერგეი ნუდნის (მოლდოვა), დონალდ ჯუისის (კამერუნი), დანილო ტომიჩს (ჩერნოგორია), ალექსანდრ კრსტესკის (მაკედონია), დენილსონს (გვინეა-ბისაუ). 2007 წლის თასის ფინალს კი („ამერი“ — „ზესტაფონი“) თურქ მსაჯთა ბრიგადა ემსახურებოდა.

### არბიტრაჟი

ამ ოცდაერთი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ იყო, ფინალს უცხოელი მსაჯები რომ წარუძღვნენ. დანარჩენ შემთხვევებში ქართველი არბიტრები მსაჯობდნენ და ამ მხრივ აბსოლუტური რეკორდსმენი სერგო კვარაცხელია — ექვსი ფინალი აქვს ნამსაჯი! სამჯერ იმსაჯეს ფინალური მატჩი მერაბ მალაღურაძემ და ლევან ფანიაშვილმა, ორჯერ — თამაზ ლაცაბიძემ და ლაშა სილაგავამ, თითო-ჯერ — მალხაზ კობიაშვილმა, ოთარ გუნთაძემ, კახა მესხმა, გიორგი ვადაჭკორიამ. ... 2006 წლის ფინალურ მატჩში („ამერი“ — „ზესტაფონი“) არბიტრმა გიორგი ვადაჭკორიამ ორივე გუნდის ფეხბურთელებს 11 ყვითელი ბარათი უჩვენა, რაც თასის გათამაშების ისტორიაში სარეკორდოა; სამაგიეროდ, ისეთი ფინალიც ყოფილა (1994 წელს, „დინამო“ — „მეტალურგი“), როდესაც არბიტრმა თამაზ ლაცაბიძემ არც ერთი ფეხბურთელი არ გააფრთხილა! არანაკლებ „უნიკალური“ შედეგია ფინალურ მატჩში გაძევების მხრივაც: წინა 20 ფინალურ შეხვედრაში მხოლოდ ორი ფეხბურთელს უჩვენეს წითელი ბა-

ვჯია. ასევე სამი სხვადასხვა გუნდის შემადგენლობაში უასპარეზობთ ფინალში: სანდრო ბურნაძეს („მეტალურგი“, „სამგურალი“, „სიონი“), სულიკო დავითაშვილს („ლოკომოტივი“, „ტორპედო“, „ოლიმპი“). დღევანდელ ორ რეკორდსმენზე, სევასტ თოდუასა და თენგიზ ჩიკვილაძეზე კი ზემოთ ვისაუბრეთ...

### გოლები, ანგარიშები

დღემდე ჩატარებულ ფინალებში ყველაზე პოპულარული ანგარიშია 1:0 — ასეთი შედეგით 7 მატჩი დასრულდა. სამჯერ დაფიქსირდა 2:1, ორ-ორჯერ — 2:0 და 3:1, ერთხელ კი — 4:2. შვიდ შემთხვევაში გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი დრო დანიშნა, ხუთჯერ კი — პენალტების სერიაში გამოავლინა თასის მფლობელის ვინაობა. ყველაზე უხგოლიანი ფინალი 1992 წლის 26 მაისის მატჩი იყო, როდესაც თბილისის „დინამომ“ ბათუმის „დინამოს“ 4:2 მოუგო. აღსანიშნავია, რომ ბათუმელთა კარში ოთხივე გოლი ძმებმა არველაძეებმა გაიტანეს! რეზომ ორი გოლი გაიტანა, შოთა და არჩილა — თითო-თითო. აღსანიშნავია, რეზო ყველაძის შედეგი დღემდე სარეკორდობს რჩება — ფინალში „დუბლი“ აღარავის



2010 წლის 26 მაისი, დინამო-ვიტ ჯორჯია 1:1

რათი: ზვიად ჯელაძეს (1998 წელს) და გურამ კაშიას (2009 წელს).

### ფანსპირთაობა

საქართველოს თასის გათამაშების აბსოლუტური რეკორდსმენი ირაკლი ზიოძე გახლავთ — ცხრა ჩატარებული ფინალი და შვიდი გამარჯვება! არანაკლები შედეგი აქვთ გივი დიდავას და ზურაბ იონანიძეს — სხვადასხვა გუნდების შემადგენლობაში ორივეს რვა-რვა ფინალი აქვთ ნათამაშები (დიდავამ ხუთჯერ გაიმარჯვა, იონანიძემ — სამჯერ). აღსანიშნავია, რომ დიდავას საქართველოს თასის ფინალში სამი სხვადასხვა გუნდის (დინამო, „ტორპედო“, „ამერი“) შემადგენლობაში გაუმარ-

შეუსრულებია. ასევე სარეკორდობს რეზა ბუბა ტყავაძის შედეგიც: 1990 წლის თასის გათამაშებაში „მრეტების“ მამინდელმა თავდამსხმელმა მეტოქეთა კარში 18 გოლი გაიტანა.

დაბოლოს, კიდევ ორ რეკორდსმენზეც; სულიკო დავითაშვილს ფინალურ მატჩებში სამი გოლი აქვს გატანილი („ლოკომოტივის“, „ტორპედოს“ და „ამერის“ მისულობით); ზურაბ იონანიძემ კი სხვადასხვა დროს ოთხი გოლი გაიტანა, მაგრამ აქედან მხოლოდ ერთხელ (2006 წელს) მოახერხა ძირითად დროში, დანარჩენი სამი გოლი კი მატჩის შემდგომ პენალტების სერიაში გაიტანა.

გვერდი მოაზრება  
გია ტუხაშვილმა

# იპოვეთ

## გაუსსრო

### თანამგზავრზე

TURKSAT 3A 42.0°E  
12592V, SR 2220, FEC 5/6

იპოვეთ ნამდვილი აზგაბის არხი



მანჩესტერ იუნაიტედი

ახსოვნი ფეხბურთი

# ფიქრი კლუბის ახლები ფინალის წინ

## დეხა

„მანჩესტერ იუნაიტედი“ თავაკაცმა სერ ალექს ფერგიუსონმა დაადასტურა, რომ ინგლისის ჩემპიონთა შემდეგე მკერე, 20 წლის ესპანელი დავიდ დე ხეა იქნება. ინგლისის ჩემპიონმა ესპანეთის ჩემპიონატში მუშაობდა ადგილზე გასულ მადრიდის „ატლეტიკოს“ მის სანაცვლოდ 18,3 მილიონი ფუნტი ანუ თითქმის 21 მილიონი ევრო გადაუხადა. შეგახსენებთ, რომ „იუნაიტედის“ ახლანდელი გოლკიპერი, 40 წლის პოლანდიელი ედვინ ვან დერ სარი შაბათს, ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც ითამაშებს და კარიერას დაასრულებს.

ინგლისურ პრესაში კარგა ხნის წინ ეწერა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ და დე ხეას კლუბმა, მად-

და. მიდის ედვინ ვან დერ სარიც და შეიძლება პოლ სტოულზიც დაგვემშვიდობოს. ამიტომაც, გასული წლის განმავლობაში ძალიან ბევრს ვმუშაობდით, რათა ზუსტად განგვესაზღვრა რომელი პოზიციებზე გვჭირდებოდა შევსება და კერძოდ, რომელი ფეხბურთელების ყიდვა გვინდა. ფაქტია, ალექს ფერგიუსონმა თითქმის 25 წლის განმავლობაში დაამტკიცა, რომ ახლების ძველებთან თანდათანობით, უმტკივნეულოდ შერწყმის დიდოსტატია. ბუნებრივია, ამ მიმართულებით კვლავ ძველებურად გავაგრძელებთ მუშაობას. როდესაც გუნდში მალაი დონის ფეხბურთელები მოგყავს, ტრადიციულად, დიდი გადახალისება იწყება და ეს ახალი სისხლის გადასხმას ჰგავს — თქვა გილმა.

## გიგზის სკანდალი

რაიან გიგზის გარშემო ამტყდარი სკანდალის ამბავი მოგახსენებთ: გაირკვა, რომ ფეხბურთელი, რომელიც ცოლს უელსელ მოდელ აიშოგენ ტომასთან ღალატობდა და რომლის ვინაობასაც, სასამართლოს ბრძანების შესაბამისად, მასმედია დიდხანს მალავდა, „იუნაიტედის“ 37 წლის ვეტერანია. ასეთი ხმაური, სერ ალექს ფერგიუსონს ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ, რასაკვირველია, ხელს არ აძლევს და ამიტომაც ის ყოველმხრივ ცდილობს, გუნდი დაიცვას. კერძოდ, მოტლანდიელმა მწვრთნელმა მოახერხა, რომ „იუნაიტედის“ ვარჯიშებზე ფოტო და ტელევიზორტიორები არ დაეშვათ. ფერგიუსონი ყველა ღონეს ხმარობს, რათა პრესკონფერენციებზე ამ თემამ სხვა თემები არ გადაფაროს. გთავაზობთ დიალოგს, რომელიც „იუნაიტედის“ თავაკაცსა და „ასოშიეტივდ პრესის“ ჟურნალისტ რობ ჰარისს შორის, შემდეგ კი ფერგისა და მის პრესოფიცერს შორის გაიმართა.

ჰარისი: „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელი რაიან გიგზია. რამდენად მნიშვნელოვანი როლი დაეკისრება მას შაბათს „ბარსელონასთან“ შეხვედრაში?

ფერგიუსონი: ჩვენთვის ყველა ფეხბურთელი მნიშვნელოვანია.

ამის შემდეგ ფერგიუსონი თავის პრეს-ოფიცერს მიუტრიალდა და „დეილი მელის“ ინფორმაციით, მათ შორის სიტყვასიტყვით ასეთი ლაპარაკი გაიმართა:

ფერგიუსონი: ვინ არის აი, ის ბიჭი, გიგზზე რომ მკითხა...  
 პრესოფიცერი: რომელი?  
 ფერგიუსონი: ახლახან რომ მკითხა.  
 პრესოფიცერი: მერე გეტყვით.  
 ფერგიუსონი: ვინ არის?  
 პრესოფიცერი: მერე გეტყვით.  
 ფერგიუსონი: პარასკევის პრეს-კონფერენციაზე მოდის?  
 პრესოფიცერი: ლეპტოპიანზე მკითხებთ, არა?  
 ფერგიუსონი: ჰო, ლეპტოპიანზე. პარასკევის პრესკონფერენციაზე არ შემოუშვით. აუკრძალეთ დასწრება.

ალსანიშნავია, რომ ფერგიუსონმა სამი მანჩესტერელი ჟურნალისტი უკვე მოკვთა პრესკონფერენციებიდან, თუმცა შემდეგ გაარკვია, რომ პარასკევის პრეს-კონფერენციაზე ხალხის დაშვება არ დაშვება მისი გადასაწყვეტი არ არის - ჩემპიონთა ლიგის ფინალს უფა ატარებს და აკრედიტაციებსაც ის ანაწილებს. რასაკვირველია, რეაქცია მოჰყვა რომ ჰარისის წინააღმდეგ გამოსვლასაც. „ასოშიეტივდ პრესის“ მენეჯერ-რედაქტორმა, ლუ ფერარამ განაცხადა: „რობ ჰარისის თავის საქმეს აკეთებდა, მან კითხვა დასვა. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ მას უფრო მეტი კითხვის დასმის შესაძლებლობა მიეცემოდა, რადგან ის მსოფ-



რიდის „ატლეტიკომ“ საერთო ენა გამონახეს. მაშინვე თითქმის სწორად ასახელებდნენ თანხასაც — 17,8 მილიონი ფუნტი, რაც ევროებში 20,5 მილიონამდეა.

ფერგიუსონმა, ჟურნალისტებთან შეხვედრისას თქვა: „დე ხეას თვალი კარგა ხანია დაეადგიო. ის სწრაფი და, იმავდროულად, მშვიდია. ჩინებულად ეხერხება დაცვის ხელმძღვანელობა. ამ თვალსაზრისით ედვინს ძალიან ჰგავს“.

ერთადერთი, რაც მანჩესტერელ ფანებს შეიძლება არ ესაიამოვნოთ, ის ვახლავთ, რომ გასულ სეზონში ლიგაში საჯარიმოს გარედან ყველაზე მეტი გოლი სწორედ დე ხეამ გაუშვა. მეორე მხრივ, ეს ახალგაზრდა მკერე გამორჩეული რომ არის, ფაქტია, რომელსაც ვერსად გავეცევით. მან ძალიან მოკლე ხანში დაიმკვიდრა „ატლეტიკოს“ შემადგენლობაში ადგილი. სხვათა შორის, დაძლია ტრავმები და მათ მიერ გამოწვეული წინააღმდეგობებიც. საბოლოოდ, „მანჩესტერ იუნაიტედზე“ ესპანელმა უფრო კარგი შთაბეჭდილება დატოვა, ვიდრე „შალკეს“ კარის მცველმა, 25 წლის მანუელ ნოიერმა, რომელიც მომავალ სეზონში „ბაიერნი“ ითამაშებს.

„ატლეტიკოს“ აღმასრულებელმა შეფმა მიგელ ანხელ ხილ მარინმა აღნიშნა, რომ აპრილში მათ ორჯერ სცადეს დე ხეასთვის ახალი კონტრაქტი შეეთავაზებინათ:

„ახალი პირობების შესათანხმებლად მას ორჯერ შევხვდით. ახლანდელი ხელშეკრულების თანახმად დე ხეამ „ვისენტე კალდერონზე“ კიდევ სამი წელიწადი უნდა გაატაროს, ამიტომაც დრო იყო ხელფასის გაზრდა შევეთავაზებინა — მისი დღევანდელი შემოსავალი აშკარად არ შეესაბამება იმ ფეხბურთის, რომელსაც დავიდით თამაშობს. თუმცა, კონტრაქტი არ განახლებულა, რადგან დავიძმა გადაწყვიტა დავტოვო“.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ და ესპანელმა მკერემ ხუთწლიანი თანამშრომლობა გადაწყვიტეს.

თუმცა, დე ხეა ნამდვილად არ იქნება ერთადერთი ფეხბურთელი, რომელსაც სერ ალექსი ზაფხულში გადაიბირებს. აქტიურად ლაპარაკობენ, რომ მომავალი სეზონში „ოლდ ტრაფორდზე“ „ინტერის“ 26 წლის გამოთამაშებულს, პოლანდიელ ვესლი სნაიდერსაც ვინილავთ. კიდევ ასახელებენ „ტოტენჰემ სპითსპურის“ ფეხბურთელებს, 25 წლის ხორვატ ნახევარმცველ ლუკა მოდრიჩსა და 21 წლის უელსელ გარეთ ბეილს. თითქოსდა გადაწყვეტილია „ასტონ ვილას“ 25 წლის გარემარბის ეშლი იანგის ამბავიც - „იუნაიტედმა“ „ლივერპულს“ აჯობა და იანგი დაიბევა.

ალსანიშნავია, რომ „იუნაიტედის“ საკლუბო ტელევიზიით გამოსვლისას აღმასრულებელმა შეფმა დევიდ გილმა თქვა, რომ გულშემოტკივარი ჩვეულებრივზე დატვირთულ ზაფხულს უნდა ელოდოს. „ბოლო პერიოდში გუნდიდან გარი ნევილი ნაი-



## რა უთხრა ფარბიზ ბარჩელო ლიანის?

საფეხბურთო ცხოვრება, განსაკუთრებით კი სატრანსფერო ზაფხული, იმით არის ძალიან საინტერესო, რომ უამრავ მოულოდნელობას გვთავაზობს. აი, მაგალითად, ფერგიუსონმა თქვა, რომ კრიშტიანო რონალდოსთვის „იუნაიტედის“ კარი მუდამ ღიაა. კიდევ უფრო საინტერესო ის არის, რომ ეს მოტლანდიელმა სპეციალისტმა თავის იტალიელ მეგობარ მარჩელო ლიანის უთხრა. შეგახსენებთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ რონალდო 2009 წელს 80 მილიონ ფუნტად მიჰყიდა „რეალს“.

ლიანმა, ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა: „ალექსმა მითხრა, რომ რონალდოს ხვალე სიამოვნებით დაიბრუნებდა. პორტუგალიელთან დაკავშირებით მე და ის ერთხანად ვფიქრობთ. ჩვენი აზრით კრიშტიანო განსაკუთრებული ფეხბურთელია, რომელსაც გარემარბობის ნიჭიც აქვს და ცენტრალურ თავდასხმელადაც შესანიშნავად შეუძლია თამაში. თუმცა ამ ორს მისი მესამე და მთავარი უნარი ალბათაა — რონალდოს ყოველთვის, ყველა პოზიციიდან გააქვს გოლი“.

შეგახსენებთ, რომ კრიშტიანო რონალდომ ესპანეთის ახლდასრულებულ ჩემპიონატში „ლა ლიგას“ რეკორდი დაამყარა — ამ ქვეყანაში ერთ ჩემპიონატში 40 გოლი არასდროს არავის გაუტანია. სხვა საქმეა, რომ მისი ურთიერთობა „რეალის“ თავაკაც უოზე მოურიანოსთან ძველებური ველარ არის და ფეხბურთელი არ მალავს, რომ თავისი „დიდი მოძღვარი“ - სერ ალექს ფერგიუსონი ენატრება.



ლიოს ყველაზე პოპულარულ სახეობაზე წერს“.

და მართლაც, ჰარისს, რასაკვირველია, არაფერი დაუშავებია. ყველაფერს აჯობებდა, გიგზს სკანდალში არ გავყო თავი: ან ცოლისთვის არ ელატა ან მოდელთან რომანის ამბავი კარგად დაემალა.

ერთი სიტყვით, გიგზის გარშემო მართლაც დიდი ვნებათაღელვაა და ამის დასტური მისი სახლის წინ ჩამსხვრეული მანქანებიც ვახლავთ. ეს ნიღბიანი აღამიანების ჯგუფმა პაპარაცების დასაძინებლად გააკეთეს. პოლიციის მონაცემებით, ნიღბიანთა ჯგუფს ექვსი მანქანა ემსხვერპლა. დამნაშავეები გიგზის სახლთან „ფორდ ტრანზიტი“ მივიდნენ, მანქანიდან გადმოვიდნენ, ვანდალიზმის აქტი ჩაიდინეს და თავიანთი მანქანითვე გაუჩინარდნენ.

## მანჩესტერ იუნაიტედი

„მანჩესტერ სიტის“ იტალიელი მწვრთნელი რობერტო მანჩინი აბუ დაბიში გაფრინდა, რათა ისტენდელთა თავმჯდომარე ხალდუნ ალ მუბარაქს კლუბში ჩამოყალიბებული ურთიერთობების შესახებ ელაპარაკოს. საქმე ის ვახლავთ, რომ ბოლო დროს საგრძნობლად დაიძაბა ურთიერთობა მწვრთნელსა და აღმასრულებელ დირექტორ გარი კუკს შორის. მუბარაქი „სიტის“ აღმინისტრატორ ბრაიან მერველსაც გაუბრალებია. მერველს უთქვამს, რომ გუნდს სასწრაფო პროფილაქტიკა სჭირდება, არადა, ლაპარაკია „მანჩესტერ სიტზე“, რომელმაც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი მოიგო და პრემიერ-ლიგაში მესამე ადგილზე გავიდა.

მანჩინი ჩივის, რომ ზაფხულის სატრანსფერო აქტივობასთან დაკავშირებით მის შეხედულებებს არც კუკი იზიარებს და არც მერველი. მოგახსენებთ, შემდეგ სეზონში ისტენდელები ჩემპიონთა ლიგაში გამოვლენ.

## არსენი და ქარიში

„არსენალის“ თავაკაცი არსენ ვენგერი „რეალისგან“ 23 წლის ფრანგი თავდასხმელის ქარიშ ბენზემას ყიდვას ცდილობს. მეთოფეები აცხადებენ, რომ ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე უკიდურესად აქტიურები იქნებიან. ცნობისათვის: ბენზემა დაახლოებით 35 მილიონი ფუნტი ანუ 40 მილიონი ევრო ეღირება.

ბენზემას, რომელმაც გასულ სეზონში, „რეალის“ შემადგენლობაში, 48 შეხვედრაში 26 გოლი გაიტანა, მწვრთნელ უოზე მოურიანოსთან ცუდი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა. ვენგერმა თქვა: „ქარიშის ყიდვა სულაც არ არის წარმოუდგენელი. ამასთან, ბენზემა სწორედ იმ სტილის ფეხბურთელია, მე რომ მიყვარს. ის ჭკვიანია. მისი გადაადგილება კომბინაციის საშუალებას იძლევა. ამასთან, ქარიშს შეუძლია ინდივიდუალური გარდევებითაც მიაღწიოს შედეგს და მატჩის ბედი გადაწყვიტოს. ერთი სიტყვით, მე თუ მკითხავთ, ბენზემა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდასხმელია“.

არსენ ვენგერს ახალი მოთამაშეების მოზიდვის გარდა, ძველების შენარჩუნებაც სჭირდება. ასე მაგალითად, „არსენალიდან“ 25 წლის გაელ კლიში აპირებს წასვლას. კლიში, რომელიც ვენგერისა და ზემოთ ნახსენები ბენზემას თანამემამულეა, „ინტერი“ და „ბაიერი“ ეპატივებია. მას „არსენალიში“ ერთი წელიწადი დარჩა გასატარებელი. მისი საბაზრო ფასი დაახლოებით 7 მილიონი ფუნტი ანუ 8 მილიონ ევროზე ცოტა მეტია.

## ვილიდი და აფერისტაბი

„მანჩესტერ იუნაიტედი“ სერბი მცველი, 29 წლის ნეშანი ვიდიჩი ამბობს, რომ შაბათს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში, მისი გუნდი ბარსელონელ აფერისტებს მოუგებს. ვიდიჩმა თქვა:

„მთავარია სრული კონცენტრაციით ვითამაშოთ და მაშინ ზუსტად ის გამოვა, რაც ჩვენ გვინდა. ყურადღება კი მრავალი მიზეზით და მიმართულებით არის საჭირო. „ბარსელონას“ ფეხბურთელებს ჩვენგან ძალიან განსხვავებული მენტალიტეტი აქვთ. ისინი, რასაკვირველია, ყველაფერზე იკამათებენ და არც სიმულაციას და აკლებენ, მაგრამ ჩვენ ამას არ უნდა ავყვეთ — მშვიდად უნდა განვაგრძოთ ჩვენი საქმე. იმედი მაქვს, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში მსაჯსაც საუკეთესოს დანიშნავენ და ის ბარსელონელების ანკესზე არ წამოეგება“.

კიდევ, ვიდიჩს სწამს, რომ მეტოქე მათი გუნდის ახალგაზრდა და ფიცი ფეხბურთელების პროვოცირებას შეეცდება, რასაც ასევე დიდი თავშეკავება სჭირდება:

„ჩემი თანაგუნდელების მენტალიტეტი ეჭვი არ მეძარება. მე მათ კარგად ვიცნობ და ვენდობი, ისევე, როგორც ისინი მენდობიან მე. „მანჩესტერ იუნაიტედი“ ერთსულოვანი გუნდია“ — ამბობს ის.

## უალასო აბრამოვიჩი

„ჩალსის“ მეპატრონე რომან აბრამოვიჩს ბრალად ფეხბურთის შეურაცხყოფას და ცუდ მმართველობას სდებენ — ინგლისური საფეხბურთო საზოგადოება სასტიკად აღაშფოთა მის მიერ კარლ ანჩელოტის სასმასურადან გამეცხვამ. ინგლისის ლიგის მწვრთნელთა ასოციაციის თავმჯდომარე რიჩარდ ბიენემა თქვა, რომ იტალიელის გადგებამ „პირში ცუდი გემო დატოვა“.

„ბატონ აბრამოვიჩს მრჩეველების კარგად შერჩევა სჭირდება, რადგან თავად „ჩალსის“ ძალიან ცუდად ხელმძღვანელობს. ასეთი მუშაობა ფეხბურთის აზარალებს. ყველაფერი, რაც მან კარლოს გაუყვია, ადასტურებს, რომ ამ კაცს კლასი აკლია“ — თქვა ბიენემა.

გვერდიშორება  
 ილია ბაპუნაშვილი





# უახლოესი ფაქტობრივი

## ინტერვიუ. თომას მიულერი



# ჯერ კიდევ ბავშვი ვარ

თვალის დახამხამება და თომას მიულერის არგენტინისთან ანგარიშს გახსნის

**2010 წლის 3 ივლისს კეიპტაუნში არგენტინა-გერმანიის თამაშში "ბაიერნის" 20 წლის უნივერსალის თომას მიულერის ბენეფისი შედგა. ამ მატჩს წინ დიდი ისტორია უძღვრება. ნევილის დაპირისპირება იმავალ წლის 3 მარტსაც შედგა. მატჩამდე დანიშნულ პრესკონფერენციაზე მარადონამ თომასს "ვერ იცნო" და დარბაზიდან მისი გასვლა მოითხოვა. თომასმა არგენტინელს თამაშით სწორედ მსოფლიოს ჩემპიონატზე უპასუხა - სამხრეთამერიკელთა განადგურებას დაუდო სათავე... რამდენიმე დღის წინ ბასტიან შვაინშტაიგერის ინტერვიუ შემოგთავაზებთ, რომელიც მას რუსულმა "სპორტ ექსპრესმა" ჩამოართვა. მიულერთან ინტერვიუც ამ ციკლის ნაწილია. როგორც ჩანს, პეტერბურგში მიუნხენელთა გაზეთებს მდიდარი მასალა ჩაუვდო ხელთ.**

**- თქვენ პირველი გოლი "ბაიერნის" სარეზერვო შემადგენლობაში 2008 წლის მარტში გაიტანეთ, გახსოვთ?**  
- რა თქმა უნდა. ეს იყო მატჩი "უნტერჰაინგის" წინააღმდეგ.  
**- რას ფიქრობთ ტიმოშჩუკის როლზე "ბაიერნში"?**  
- ტიმო კარგი ბიჭია. თამაშობს აგრესიულ და კარგ ფეხბურთს. ჩვენი გუნდისთვის ის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. შემთხვევითი არ არის, რომ ბოლო ხუთ ტურში, როცა ჩვენ მესამე ადგილი ვავინალებდით, ის სასტარტოში გამოდიოდა.  
**- 2010 წლის მარტში გერმანიის ნაკრებში სადებიუტო მატჩის წინ მარადონამ თქვენ ვერადით დაჯდომაზე უარი თქვა?**  
- დიახ, მან არ იცოდა, ვინ ვიყავი. რამდენიმე თვეში ალბათ მიცნობდა და იმედა, მეტად აღარ ვეგონები ბურთის მიმწოდებელი ბიჭი.  
**- 4:0-ის შემდეგ მარადონა თქვენთან ბოდიშის მოსახდელად არ მოსულა?**  
- არა.  
**- მეტოქის დამრიგებლის ასეთი ქცევა იყო თუ არა თქვენთვის დამატებითი მოტივაცია?**  
- ეს მხოლოდ პრესისთვის იყო დიდი ისტორია. ჯერ კიდევ მეოთხედფინალამდე გაიხსენეს ეს ისტორია და ამაზე მოგვიანებითაც წერდნენ. მით უფრო, რომ მსოფლიოზე არგენტინელებთან პირველი გოლი მე გავიტანე. მასმედია ბევრი იხალისა ამ ამბებზე.

**- ნახევარფინალი ესპანეთთან ყველაზე ბარათების სიმრავლის გამო გამოტოვებულხარ. ძალიან განაწყენდით?**  
- ვერ ვიტყვი, რომ ძლიერ დალონებული ვიყავი. საერთოდ არ ვარ ის ტიპაჟი, ვისაც მონაცემი სჩვევია. გული მხოლოდ იმიტომ მეტკინა, რომ არგენტინისთან ყველაზე ბარათს არ ვიმსახურებდი.  
**- გერმანიამ თქვენი არყოფნის გამო წააგო?**  
- ეს შეიძლება თქვენ დაწეროთ, მაგრამ მე ამის თქმის უფლება არ მაქვს. უბრალოდ ესპანეთთან ისე აგრესიულად არ ვითამაშეთ, როგორც წინა მატჩებში. ისინი ძალიან ძლიერები არიან და მათთვის ბურთის წართმევა უაღრესად ძნელია. პრობლემა ისიც, რომ შეიძლება ფეხით თამაშში დაგჩაგრონ და გამარჯვების გოლი თავით გაიტანონ.  
**- არ გაგიკვირდათ, როცა ლიოპმა განაცხადათ შეგიყვანათ?**  
- ვერ ვიტყვი, რომ დარწმუნებული ვიყავი, მაგრამ მინევეს კი ველოდი. "ბაიერნს" კარგი სეზონი ჰქონდა, მე კი სულ ერთი შეხვედრა გამოვტოვე. მქონდა განცდა, რომ ეროვნული გუნდის დახმარება შემიძლო.  
**- თქვენი აზრით, ვინ იმსახურებდა შარშან "ოქროს ბურთს"?**  
- ვფიქრობ, ამ ტიტულის მესისტვის გადაცემა უცნაური გადაწყვეტილება იყო. ჩავი და ინიესტა ხომ მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ. მესი ჩემთვის პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელია, მაგრამ "ოქროს ბურთი" არა უბრალოდ საუკეთესო, არამედ სეზონის ყველაზე სასარგებლო ფეხბურთელს ეკუთვნის.  
**- დედ-მამამ როგორ მიიღო თქვენი წარმატების ამბავი?**  
- ბედნიერები არიან და ჩემით ამაყობენ. მით უფრო, რომ მე ჩემი გოლებით გერმანიას ბრინჯაოს მედლის მოპოვებაში დავეხმარე. მათთვის კრიზისის ხანა ივლისის მეორე ნახევარში დადგა, როცა ჩვენს სახლს ჟურნალისტების ზღვა მიანყდა. მათ ჩემზე ათასობით შეკითხვაზე პასუხის გაცემა მოუხდათ. იქამდე მათ ასეთი რამ ვერ წარმოედგინათ.  
**- მშობლები სად მუშაობენ?**  
- მამა მიუნხენში BMW-ს ცენტრში, მოტოციკლების განყოფილებაში. დედამ კი ჩემი და ჩემი ძმის დაბადების შემდეგ ჩვენი ალზრდის გარდა არაფერი უკეთებია. სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ დავეყენებინეთ ფეხზე. მას ყოველ დღიას დავეყავდი საფეხბურთო სკოლაში. შინ კი მამასთან ერთად ვბრუნდებოდი. გზას მანქანით სრულ ერთ საათს ვანდომებდით.  
**- თქვენ "ბაიერნის" სკოლის გაზრდილი ხართ. რაშია მისი ეფექტურობის საიდუმლო?**  
- კლუბში ჩვენთან უამრავი უცხოელი ფეხბურთელია და თუკი აკადემიის აღზრდილი ძირითად გუნდში მოხვდება, ეს ნიშნავს, რომ ის ამათ მართლა იმსახურებს. ვალდებული ხარ, რომ რაღაც დონის ქვემოთ არ დაეშვა. თუკი ცოტას მოუკლებ, უმალ დაკარგავ ადგილს ძირითადში მიუხედავად იმისა, რამდენჯერ ხარ მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი. საიდუმლო კი იმ კარგ მწვრთნელებშია, რომლებიც ჩვენთან მუშაობენ.

**- ერთ-ერთი ასეთი ლეგენდარული თავდამსხმელი გერმ მიულერია...**  
- დიახ, ის "ბაიერნის" დუბლეში მთავარი მწვრთნელის თანაშემწე იყო.  
**- ერთად მუშაობის პერიოდში "ნაციის ბომბარდირი" თქვენ მიმართ განსაკუთრებული სითბოთი გამოიჩინოვდა?**  
- დიახ, ასე იყო, მაგრამ გვარის გამო კი არა, იმის ნყალობით, რისი კეთებაც მინდორზე შემეძლო. კარგია, რომ კარგი ურთიერთობები ჩამოგვიყალიბდა.  
**- მსოფლიოს ჩემპიონატზე თქვენ სწორედ გერმანიის ნაკრების 13-ნომრიანი მაისურა გეცვათ. განგებ აირჩიეთ?**  
- ეს იყო ფორმა "ადიდასისა" და ნაკრების ჭკვიანური მარკეტინგული სვლა. მეც ვიცოდი ამ ნომრის ისტორია და გადავწყვიტე მეცადა. სასურველი ნომრები ჯერ გამოცდილმა ფეხბურთელებმა აირჩიეს. საქმე ჩემზე როცა მიდგა, ოლი ბირჟოფმა შემომთავაზა და უარი არ მითქვამს.  
**- თქვენი საყვარელი პოზიცია რომელია? თავდასხმასა და ნახევარდაცვაში ხომ პრაქტიკულად ყველგან გითამაშიათ.**  
- მარტივად გიპასუხებთ: შემტევი სტილის ფეხბურთელი ვარ, მაგრამ ზუსტად სად არის ჩემი ადგილი მინდორზე, თავადაც არ ვიცი, რადგან პრაქტიკულად ყველგან შემიძლია ასპარეზობა. თავს ყველგან კომფორტულად ვგრძნობ.  
**- ვან გაალი ამბობდა, რომ თქვენ ძალიან ძლიერი მენტალიტეტი გაქვთ.**  
- დიახ, ვფიქრობ, რომ მენტალურად საკმაოდ ძლიერი ვარ. უპირველესად იმიტომ, რომ არასოდეს მადლელებს, რადონის მატჩია, ვინაა მეტოქე, რამდენად დიდია ჟურნალისტების ყურადღება და ასე შემდეგ. მე უბრალოდ თომას მიულერი ვარ, გამოვდივარ მინდორზე და ფეხბურთს ვთამაშობ.  
**- ვან გაალი სწორედ ის ადამიანია, ვინც თქვენ ძირითად შემადგენლობაში ადგილი განდით.**  
- ჩემს განვითარებაში ვან გაალმა დიდი როლი ითამაშა. მან ბევრ საფეხბურთო საიდუმლოს მაზიარა. ერთი სიტყვით, მასზე მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია.  
**- თქვენ "ბაიერნში" 11 წლისა მოხვედით. ფიქრობთ თუ არა, რომ შეიძლება მშობლიურ კლუბში მთელი კარიერა გაატარებთ?**  
- დიახ. თუმცა მომავალში რა მოხდება ნამდვილად არ ვიცი. შეიძლება დადგეს მომენტი, როცა ძალების სხვაგან მოსინჯვა მომიხდება, თუმცა დღეს ბუნდესლიგა ჩემთვის იდეალური ადგილია. ამიტომ ახლა სწორედ იმაზე ვოცნებობ, რომ კარიერის ბოლომდე "ბაიერნში" ვითამაშო. სხვაგან წასვლა თუ დამჭირდება ახალი ენის სწავლა მომიწევს, არც ოჯახი მეყოლება ახლოს.  
**- ინტელსის კარგად ფლობთ. როგორ მოახერხებთ?**  
- როგორც ყველა, სკოლაში ვსწავლობდი. სიმართლე რომ გითხრათ, შეფასება ყოველთვის დამამკაყოფილებელი მყავდა, თუმცა ხომ ხედავთ, თქვენთან ურთიერთობაში ეს ხელს არ მოშლის.  
**- 20 წლის ასაკში უკვე გყავდათ მეულლე, რაც თქვენი თაობისთვის დამახასიათებელი სულაც არ არის.**  
- არ ვიცი, ასე ადრე რატომ მოვიყვანე ცოლი, მაგრამ სწორი ნაბიჯი რომ გადავდგი, მაგამი კი დარწმუნებული ვარ. მეოჯახის როლში თავს მშვენივრად ვგრძნობ. ქორწინების შემდეგ მე და მეულლეს ერთი პრობლემაც კი არ გვქონია.  
**- შეილება ჯერ არ გიფიქრიათ?**  
- არა, ჯერ რა დროს ბავშვია, მე თავად ბავშვი ვარ.  
**- რომელიც კარლოსისთვის მთავარი მოტივაცია მშობლებისთვის კარგი სახლის ყიდვა იყო...**  
- "ბაიერნში" 2000 წლიდან ვარ და მხოლოდ ბოლო ორი წლიდან ვიყავი დარწმუნებული, რომ პროფესიონალი გავხდებოდი. იქამდე კი ფეხბურთის მხოლოდ გასართობად ვთამაშობდი და არ ჩვენზე სერიოზულ არც მიფიქრია. თუმცა ფეხბურთის ახლაც მხოლოდ სიმოწვევისთვის ვთამაშობ.  
**- რაზე ოცნებობთ?**  
- ბუნდესლიგის მომდევნო გათამაშების მოგებაზე და რაც მთავარია, ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება მინდა, ფინალი ხომ მიუნხენში გაითარებთა.

## ახსებენ



# შპს-ში სკანდალში

ეს ნამია, შტურმმა ვინერ ნოიშტადის კარში პენალტი გაიტანა

ავსტრიის ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე ოქროს მედლისთვის სამი კლუბი იბრძვის. ესენი არიან: გრაცის "შტურმი" (63 ქ), ვენის "აუსტრია" (61) და ზალცბურგის "რედ ბული" (60). საქართველოსი არ იყოს, როგორც ჩანს, არც ავსტრიაში მიდის საფეხბურთო საქმეები ისე, როგორც საქართველოში. სწორედ ამის გამო, რომ "შტურმისა" და "ვინერ ნოიშტადის" მატჩის ბედით ავსტრიის პროკურატურა დაინტერესდა. სამართალდამცავებს საფუძვლიანი ეჭვი აქვთ, რომ გასულ შაბათს გამართული მატჩი ჩანაწერი იყო. მატჩის 87-ე წუთზე გრაცელებმა ედინ სალკინის მიერ უწყინარ სიტუაციაში ხელის თამაშის გამო დანიშნული პენალტით მოიგეს. ამ შემთხვევაში საინტერესო რამდენიმე ფაქტორია: 1. სალკინი კონტრაქტით "შტურმს" ეკუთვნის და "ვინერ ნოიშტადში" იჯარით თამაშობს. 2. აზიურ ტრადიციულად აღნიშნულ შემდეგზე 8-ჯერ მეტი თანხა შევიდა, ვიდრე ჩვეულებრივ ასეთ მატჩებზე იდგება ხოლმე. ბუნებრივია, ამ ყოველივეს შემდეგ ტრადიციული ხატორის შემთხვევა ინფორმაცია შესაბამის ორგანიზაციას მიიწოდეს. ავსტრიული პროკურატურის ინფორმაციით, სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრულია.  
ჯერ კიდევ გამოძიებულების ბაზაზე ვიხსენებ "ვინერ ნოიშტადის" ხელმძღვანელებმა ედინ სალკინი დაკითხვა მოუწყვეს. ფეხბურთელი ამტკიცებს, რომ ის ამ საქმეში უბრალოა და მზადყოფნა გამოთქვა, მთელი საუბრის და გულიანო ითქვამს რომლის პოლიციასთან". მეტიც, მან დაადასტურა მზადყოფნა, რომ საკუთარი საბანკო ანგარიშების შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია საჯარო გახადოს, რათა მასზე გაჩენილი ეჭვის უსაფუძვლობა დაამტკიცოს.

## დეზუვი სპარბაში?

"აიშის" ცენტრალური ნახევარმცველი დემი დე ზეუვი შეიძლება სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე მოსკოვის "სპარტაკში" გადავიდეს. მოსკოველები ნახევარმცველით ვეროპის ლიგის მატჩებისას მოიხიბლენ. ყოფილ მეტოქეებს 27 წლის ფეხბურთელში ისინი ექვს მილიონ ევროს სთავაზობენ, ხოლო თავად დემის ხელფასი ორი მილიონი ევროთი განისაზღვრება. - გვამცნობს "დე ტელეგრაფი".  
"აიშის" ერედვიზიონის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის ტეო იანსენის გადასვლისა და სიმ დე იონგის ნახევარდაცვაში დაბრუნების შემდეგ ჰოლანდიის ნაკრების ოდინდელი კანდიდატისთვის შეიძლება ძირითადში ადგილი არ გამოიხატოს. შესაბამისად, დე ზეუვმა ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება მართლა მიიღოს.

## სხაარსი ვსვ-ში?

"ვინდოვნი" "ალკმარისა" და ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველის სტინ სხაარსის გადაბრუნებას შეეცდება. - გვამცნობს ჰოლანდიური გამოცემა "დე ტელეგრაფი". ჰოლანდიის მრავალჯერ ჩემპიონებს სტინის შექენა ჯერ კიდევ მარშალ სურდათ, მაგრამ მამინ "ალკმარმა" ფეხბურთელი ძალიან ძვირად შეაფასა და ვარიგება არ შედგა. ახლა კი, როცა სხაარსს კონტრაქტში ერთი წელი აქვს დარჩენილი, კლუბს მისი გაყიდვა რეალურ ფასად მოუხვეს, თუმცა მათ უკვე მიაინსნეს, რომ ბრძოლის გარეშე დახეობას არ აპირებენ და ფეხბურთელს კონტრაქტის გახანგრძლივება შესთავაზეს.  
დე ზეუვი ამჟამად ბერტ ვან მარვიკთან ერთად შეკრებაზეა და ბრაზილიისა და ურუგვაის ნაკრებებთან დაპირისპირებისთვის ემზადება. ჟურნალისტების შეკითხვაზე მან ლაკონური პასუხი გასცა: "ვინდოვნი" ინტერესზე მეც მსმენია, მაგრამ ამწუთას ამისთვის არ მცალია. ნაკრებთან ერთად სამხრეთამერიკული ტურნესთვის ვემზადები".



# შამახი: ჭორებს ნუ დაუჯერებთ

ლონდონის "არსენალის" მარკო კელმა თავდამსხმელმა მარუან შამახმა კატეგორიულად უარყო ხმები მარსელის "ოლიმპიკში" შესაძლო გადასვლის შესახებ. აი, რა განაცხადა ფეხბურთელმა: "ასეთი ინფორმაცია მეც წავიკითხე, მაგრამ მგონია, რომ მხოლოდ ჭორია. უახლოეს წლებში მე "არსენალიდან" წასვლას არ ვაპირებ და რაც მთავარია, ერთადერთი ფრანგული კლუბი, სადაც ოდესმე შეიძლება კიდევ ვითამაშო, ეს "პორტო"ა".  
შეგახსენებთ, რომ მარუანი "პორტოში" 2003-10 წლებში ირიცხებოდა და მის შემადგენლობაში 230 თამაშში 56 გოლი აქვს გატანილი.



გერმანია

# წყალში გადაყრილი მილიონები

## გუნდების ყველა დროის 20 ყველაზე ფლოკ-ტრანსფერი

### ხუან პაბლო სორინი (პამპურები)

სორინი „პამპურები“ 2006 წლის მუნ-დიალის შემდეგ გადავიდა და ჩრდილო-გერმანელებმა მის სანაცვლოდ „ვილიარვალს“ 3 მილიონი ევრო ჩაუთვალეს. ის მამინ არგენტინის ნაკრების კაპიტანი გახლდათ (76 მატჩი ეროვნულ გუნდში). ხუანს თვეში 300 000 ევროს უხდიდნენ და ასე განსაჯეთ, ბოლო სეზონში მოედანზე მხოლოდ 119 წუთი გაატარა. გამოდის, რომ ორი წლის განმავლობაში 7 მილიონი ევრო ფაქტობრივად ტყუილად მიიღო და როცა კონტრაქტი გაუნაწილეს (2008), „პამპურები“ იძულებული გახდა, კომპენსაციის სახით 1.5 მილიონი გადაეხადა.

### იან შივაკი (ლევერკუზენი)

2002 წელს „ლევერკუზენმა“ „ჰანოვერს“ ამ ფეხბურთელის სანაცვლოდ 6.5 მილიონი ევრო გადაუხადა. ზუსტად ერთ წლის შემდეგ, შივაკი „ბაიერნიდან“ 550 000 ევროს სანაცვლოდ გაიყიდა (!) - მოთამაშის ასეთი სწრაფი და დიდი გაუფასურება ოდესმე გსმენიათ? ერთ დროს ახალ მარადონად ნოდებულმა პლეიმეიქერმა მას მერე პრალაშიც ითამაშა მერე ბუნდესლიგაშიც, სადაც გასულ სეზონში, ქართველებთან ერთად იენის „კარლ-ცაისის“ ლისრებას იცავდა. მასზე მოთხოვნა ისევე გაჩნდა - შივაკი „შტუტგარტში“ გადავიდა, მაგრამ იმედები იქაც ვერ გაამართლა. ამ სეზონში იანი „მაინცის“ საკუთრება გახლდათ, მაგრამ ისევე იმედგაცრუება.

### ალექს ალვეზი (პარტი)

ეს თავდამსხმელი ბერლინის „ჰერტაში“ 2000 წელს, „კრუზიერიდან“ გადაიბირა. ბერლინელებმა ალექს ალვეზში 7.6 მილიონი გადაიხადეს. ერთადერთი ხეირიანი რამ, რაც ამ ფეხბურთელმა „ჰერტაში“ თამაშის პერიოდში გააკეთა, გახლდათ ის, რომ „კიოლნს“ გაუტანა გოლი, რომელიც ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა 2000 წლის საუკეთესო გოლად აღიარეს.

### იორგ ალბერტი (პამპურები)

ეს იყო ფეხბურთელი, რომელზეც „პამპურების“ ფანები უდიდეს იმედებს ამყარებდნენ. HSV-მ იორგ ალბერტი 2001 წელს, გლაზგოს „რეინჯერსიდან“ 5 მილიონ ევროდ იყიდა. მაგრამ თავდამსხმელმა (ხაზს ვუსვამთ: თავდამსხმელმა) 2 წლის მანძილზე მხოლოდ 6 გოლის გატანა შეძლო და 2003 წელს „შანხაიში“ გაუშვეს. უფასოდ!

### პარლოს ალბერტი (პარტი)

ბრაზილიელი კარლოს ალბერტი ბრემენის „ვერდერის“ ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული შენაძენი იყო და ამავე დროს, გუნდის ყველა დროის ყველაზე დიდი შეცდომა გახდა! 2007 წელს „კორინთიანსმა“ ამ ნახევარმცველის სანაცვლოდ 8.5 მილიონი ევრო მიიღო. „მუსიკოსებს“ ამდენი ფული მანამდე არც ერთ მოთამაშეში არ ჰქონდათ გადახდილი. კარლოს ალბერტს ხელფასიც დიდი დაუნიშნეს: 2 მილიონი წელიწადში. მაგრამ მან „ვერდერში“ მხოლოდ სკანდალები მიიტანა და სულ რაღაც 2-ჯერ ათამაშეს ძირითად შემადგენლობაში! სხვათა შორის, მარკო არნაუტოვის აქვს შანსი, რომ კარლოს ალბერტის გადაუფაროს...

### პარლ დელკვი (ბაიერნი)

ეს უკანასკნელი 1980 წელს მიონხენგლადბახის „ბორუსიიდან“ „ბაიერნიში“ გადავიდა და რეკორდმანსტერმა მასში 650 000 ევრო გადაიხადა, რაც იმ დროისათვის ბავარიული კლუბისთვის რეკორდი გახლდათ. ფეხბურთელმა 5 წელიწადში 7 გოლის გატანა შეძლო...


გუშინდელ ნომერში ბუნდესლიგის ყველა დროის საუკეთესო ტრანსფერები ჩამოვთვალეთ, დღეს კი ყველაზე დიდ იმედგაცრუებებს გავიხსენებთ. თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა, გასული სეზონის მთავარ იმედგაცრუებად ბრემენის „ვერდერის“ ავსტრიელი თავდამსხმელი მარკო არნაუტოვიჩი დაასახელეს - ფორვარდი, რომელიც „მუსიკოსებმა“ ერთი წლის წინ დიდი ზარ-ზეიმით იყიდეს. „ვერდერს“ არნაუტოვიჩის ტრანსფერი 10 მილიონი ევრო დაუჯდა (მარკო ბრემენში „ტვენტედან“ გადავიდა), ავსტრიელს კი ერთი ევროს საქმეც კი არ გაუკეთებია. არადა, ბრემენული კლუბის ხელმძღვანელები ადრე შესანიშნავ ტრანსფერებს ახორციელებდნენ ხოლმე, ამ ბოლო დროს კი, სპორტულ დირექტორ კლაუს ალოფსს ყნოსვა აშკარად აღარ უვარგა.

ბუნდესლიგის ისტორიაში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც გუნდმა ამა თუ იმ ფეხბურთელში მილიონები გადაიხადა, ძალიან მაღალი ხელფასი დაუნიშნა, ხოლო ფანებმა უდიდესი იმედები დამყარეს, მოთამაშემ კი კლუბს და ქობაგებს მოუდინდა სამაგიერო ვერ გადაუხადა.

მოდით, გავიხსენოთ გერმანიის ბირველი ყველაზე უდიდესი ტრანსფერები. საინტერესოა, თქვენ თუ გეხსოვებათ ყოველი მათგანი. მას ასე: ბუნდესლიგის ყველა დროის 20 ყველაზე ფლოკ-ტრანსფერი.



იური ჯორკაევი



კარლოს ალბერტი



ხუან პაბლო სორინი



ვიქტორ იკუბა



ალექს ალვეზი



ანდრეს დ'ალესანდრო

### ჯოლტან შაბუზენი (ლევერკუზენი)

„ლევერკუზენმა“ ეს ფეხბურთელი 2001 წელს „ვოლფსბურგიდან“ 6 მილიონად შეიძინა. 32 მატჩის შემდეგ, შეგუშნა კარიერა დაასრულა! დღესდღეობით, „შტუტგარტერ კიკერსში“ მუშაობს, სადაც ბავშვებს სწორის.

### იგორ გელანოვი (გლადბახი)

ეს უკანასკნელი მიონხენგლადბახის „ბორუსიაში“ 1989 წელს 1 მილიონის სანაცვლოდ გადავიდა. ეს გახლდათ პირველი ფეხბურთელი ბუნდესლიგაში საბჭოთა კავშირიდან. ორწლიან ნახევრის განმავლობაში მან მხოლოდ 4 გოლი გაიტანა და რა გასაკვირია, რომ 1991 წელს გაუშვეს.

### დარკო პანჩევი (დიუსელდორფი)

1995 წელს, უფასო თასის მფლობელი დარკო პანჩევი „ინტერიდან“ დიუსელდორფში გადაბარდა და გერმანულ კლუბს მისი შეძენა 600 000 ევრო დაუჯდა. პანჩევის შედეგი: 14 თამაში, 2 გოლი.

### მარკო რაიხი (კიოლნი)

2001 წელს, 3 მილიონად „კაიზერს-ლაუტერნიდან“ „კიოლნიში“ გაიყიდა და მას მერე მოედანზე 90 წუთი მხოლოდ 4-ჯერ გაატარა.

### იური ჯორკაევი (კაიზერსლაუტერი)

1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 1999 წელს ოტი რეჰაგელმა 1.8 მილიონის სანაცვლოდ „ინტერიდან“ „კაიზერსლაუტერნიში“ წაიყვანა. „წითელი ემპაქების“ რიგებში ჯორკაევი 55 თამაშში 14 გოლი გაიტანა და იმედგაცრუებად შეირაცხა.

### თომას ბერთოლდი (ბაიერნი)

თომას ბერთოლდი 1991 წელს „რომადან“ „ბაიერნიში“ უფასოდ გადაბარდა და იმის გამო, რომ ძალიან ძვირფასი ფეხბურთელი იყო, უდიდესი ხელფასი დაუნიშნეს. უკვე მეორე სეზონში, მას რეკორდმანსტერის რიგებში არც ერთი შეხვედრა აღარ ჩაუტარებია და ფეხბურთიდან გოლფში გადაინაცვლა.

### იონ დალ ტომასონი (შტუტგარტი)

2005 წელს, „შტუტგარტის“ თავაჯცმა ჯოვანი ტრატონიმ დაუნიშნა მოთხოვნა დანიელი თავდამსხმელის, იონ დალ ტომასონის შეძენა, რომელიც იმხანად „მილანის“ ლისრებას იცავდა. შეაბებმა „როსონერის“ 7.5 მილიონი ევრო გადაუხადა და ტომასონი იყიდეს. თანაც, დანიელს წელიწადში 4.5 მილიონი დაუნიშნეს. ტომასონმა VFB-ში 30 თამაში ჩაატარა და მხოლოდ 8 გოლი გაიტანა.

### ვიქტორ იკუბა (დორტმუნდი)

1999 წელს დორტმუნდის „ბორუსიაში“ (მაშინ BVB-ს ძალიან ბევრი ფული ჰქონდა და კარგადაც ფლანგავდა) „მონაკოს“ ვიქტორ იკუბას სანაცვლოდ 7.5 მილიონი გადაუხადა. ნიგერიელმა თავდამსხმელმა ორწლიან ნახევრის განმავლობაში მხოლოდ 3 (!) გოლი გაიტანა და მერე არაბეთში გადაიხვეწა...

### ალან ბაკინელი (ბაიერნი)

1989 წელს „ბაიერნს“ მისი შეძენა 1.65 მილიონი დაუჯდა. სამი წლის მანძილზე მაკინელიმ ოდენ 10 გოლს მოუყარა თავი. რეკორდმანსტერის ფანებმა მას ამის გამო „მაკნული“ შეარქვეს.

### ანიგალ მატელანი (გლკი)

2001 წელს „შალკემ“ ამ არგენტინელ მცველში 4.8 მილიონი გადაიხადა და უაღრესად ნიჭიერი ანიგალ მატელანი „ბოკა ხუნიორსიდან“ იყიდა. ფეხბურთელს წელიწადში 1.3 მილიონი დაუნიშნეს. 43 თამაშის შემდეგ მან „შალკე“ უფასოდ დატოვა.

### ბენიაინს ლაუთი (პამპურები)

ბენი ლაუთი ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ გერმანულ ფეხბურთელად მიიჩნეოდა, როცა „პამპურებმა“ 2004 წელს „მიუნხენ 1860-ს“ მასში 4.1 მილიონი ევრო გადაუხადა. ორწლიან ნახევრის მანძილზე ლაუთმა მხოლოდ 10 გოლი გაიტანა. მერე „ჰანოვერში“ გაუშვეს, მაგრამ ველარც იქ გამოიჩინა თავი. ბენი ახლა ისევე „მიუნხენ 1860-შია“ და სხვათა შორის, ნორმალურად თამაშობს. თუმცა არა ისე, როგორც მისგან მთელი საფეხბურთო გერმანია ელოდა.

### ანდრეს დ'ალესანდრო (ვოლფსბურგი)

2003 წელს, „ვოლფსბურგმა“ ყველა-სათვის მოულოდნელად, ძალიან ხმაურიანი ტრანსფერი გაჩაჩხა: „მგლებმა“ 9 მილიონ ევროდ იყიდეს არგენტინელი სუპერ-ტალანტი ანდრეს დ'ალესანდრო, რომელზეც ევროპული გრანდები ნადირობდნენ. არგენტინელს წელიწადში 1.8 მილიონი დაუნიშნეს. ტრანსფერმა ვერ გაამართლა - დ'ალესანდრო ვერ შედგა შესანიშნავი პლეიმეიქერი.

### ბენტ კრისტინსენი (შალკე)

1991 წელს „შალკემ“ ამ ფეხბურთელში 2.5 მილიონი გადაიხადა. კრისტინსენი გელზენკირხენულ კლუბში „ბრონდბიუდან“ გადავიდა. 2 წლის განმავლობაში მის ანგარიშზე მხოლოდ 8 გოლი იყო.

### ლუიზაო (პარტი)

2002 წელს, როცა მსოფლიოს ჩემპიონი ლუიზაო „ჰერტაში“ უფასოდ გადავიდა, ბერლინში უდიდესი ზეიმი გაიმართა. მაგრამ ჩამრგვალებულმა თავდამსხმელმა 26 შეხვედრაში სულ რაღაც 4 გოლის გატანა შეძლო.

### გერმანიის ნაკრები




სვენ ბენდერი

### პრობლემატი ნახევარდაცვის ხეობაში შვინდტიგბაისა და ხელირას შემდეგ, განდარიც დაშავდა

მისაღებ პალასს გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იოახიმ ლიოვი ყურადღებას აღარ აქცევდა, მასტიან შვინდტიგბაის ტრავმირებულია, სამი ხელირას თამაში კი ბუნდესგუნდის მოახლოებულ მატჩებში უდიდესი კითხვის ნიშნის ქვეშაა. ამ საკადრო პრობლემების ფონზე, იოგისთვის ორმაგად სამწუხაროა ის, რომ გერმანიის ნაკრებს ურუგვაისთან, აზერბაიჯანთან და ავსტრიასთან შეხვედრებისთვის დორტმუნდის „ბორუსიას“ საყრდენი ნახევარმცველი სვენ ბენდერიც გამოაკლდა. გერმანიის ჩემპიონის მთავარმა ექიმმა მარკუს ბრაუნმა გერმანიის ნაკრებში მომუშავე კოლეგა პანს-ვილჰელმ მიულერ-ვოლფარტს გუნდში შეატყობინა, რომ ახალგაზრდა ნახევარმცველი სასწრაფოდ საოპერაციო გახდა. ბენდერმა უკვე გაიკეთა ოპერაცია. ბენდერს ბუნდესგუნდში აქამდე მხოლოდ ერთი მატჩი აქვს ჩატარებული, მაგრამ შვინდტიგბაისა და ხელირას არყოფნაში, მნიშვნელოვანი როლი დაეკისრებოდა. ახლა კი, ლიოვის განკარგულებაში მხოლოდ სამი ჯანმრთელი საყრდენია: ტონი კროსი (ბაიერნი), სიმონ როლფსი (ლევერკუზენი) და კრისტინსენი (შტუტგარტი). სვენ ბენდერი, რომელმაც გასულ სეზონში ბუნდესლიგაში 31 მატჩი ჩაატარა (კიკერის საშუალო შეფასება: 2.72), სრული დატვირთვით ვარჯიშს ზუსტად ერთ თვეში დაიწყებს. ლიოვი დღეს გადაწყვეტს, გამოიძახოს თუ არა ახალი საყრდენი ნახევარმცველი. გვირგვინი მუხამადა გოტფრიდ ლინცმა





რეპორაჟი

ლეგიონერები



ქუბრიაშვილი-პირველი ქართველი ბარბაროსები

საბრტყელის ნაკრებისა და საფრანგეთის ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ტულონის“ შერკინების ბურჯი დავით ქუბრიაშვილი პირველი ქართველი მორაგბეა, რომელიც „ბარბაროსების“ შემადგენლობაში სათამაშოდ მიიწვიეს.

„ბარბაროსები“, რომლებიც, ტრადიციულად, ყოველ წელსინადას სეზონის მიწურულს იკრიბებიან, კვირას, 29 ივნისს „თიქენებზე“ ინგლისის ნაკრებს დაუპირისპირდებიან. ჩვენებურთან ერთად „პომეზის“ წინააღმდეგ არაერთი სახელოვანი მორაგბე ითამაშებს. ესენია: შუამარბი მატითი ბასტარო, მგეზავი ფრედერიკ მიშალაკი (ორივე-საფრანგეთი), ცხრა ნომერი რუან პინარი (სამხრეთ აფრიკა), იტალიელი პირველხაზელები სალვატორე პერუჯინი და ლეონარდო ჯილარდინი, მესამეხაზელები ჯო ფან ნიკერკი (სამხრეთ აფრიკა), ჯორჯ სმიტი (ავსტრალია), სერჯო პარისე (იტალია), მარტინ ვილიამსი (უელსი).

შეგახსენებთ, რომ ინგლისის ნაკრები ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასის გათამაშებაში, საქართველოს ეროვნული გუნდის მეტოქეა. „პომეზი“ კვირას „ბარბაროსებთან“ სათამაშოდ ექსპერიმენტულ შემადგენლობას გამოიყვანენ. გამოცდილი და სახელოვანი მხოლოდ ჩარლი ჰიჯსონი, უგო მუნი, ჯეიმზ სიმსონ-დენიელი და მეთ ბანაჰანი იქნებიან.

ინგლისელთა გუნდს A ნაკრების მწვრთნელი სტიუარტ ლანკასტერი უთავაყვანებს. მან გუნდში ახალგაზრდულ ნაკრებმოვლილი რვა მოთამაშე მიიწვია. მათთან ერთად ნაკრებში იქნებიან სხვა ახალგაზრდა მოთამაშეებიც, ვინც წლეულს თავი გამოიჩინა. „ბარბაროსებთან“ მატჩში სერიოზული პრობლემები შეგვექმნება. მათ შემადგენლობაშიც ბევრი გამოცდილი, მაღალი დონის მორაგბე ითამაშებს, თუმცა წლეულს ინგლისურ რაგბიში

მსოფლიო ალფა

მორაგბეები ქალთა მიმართ ძალადობას ებრძვიან

სასტუმრო „რედისონში“ გაეროს ქალთა ორგანიზაციამ გამართა პრესკონფერენცია, რომელიც მიეძღვნა თბილისში მიმდინარე „მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფში“ მონაწილე გუნდების მორაგბეების განწევრიანებას გაეროს გენერალური მდივნის გლობალური კამპანიაში - „გავერთიანდეთ ქალთა მიმართ ძალადობის დასაძლევად“. ღონისძიება ტარდება გაეროს ქალთა ფონდის პროექტის „ოჯახში ძალადობის პრევენციისა და დაძლევისთვის საქართველოში“ მხარდაჭერით. 2008 წლის თებერვალში გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი-მუნმა წამოიწყო მრავალწლიანი გლობალური კამპანია ქალთა მიმართ ძალადობის დასაძლევად, რომელიც 2015 წლამდე გაგრძელდება. კამპანიის მიზანს წარმოადგენს საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია იმის უზრუნველსაყოფად, რომ გადან-

ბევრი კარგი ახალი მოთამაშე გამოჩნდა, რომლებსაც თავისი პოტენციალის წარმოჩინების შანსი უნდა მიეცეთ.

სწორედ ასე აღმოვაჩინეთ ისეთი მოთამაშეები, ბენ იანგ ზი, კორტნი ლოუ და ალექს კორბშირი რომ არიან. ბევრი ახალბედა, რომელიც ეროვნული გუნდის კვარტს პირველად მორაგბებს, სულ ახლახან ინგლისის ჩემპიონატისა და ევროთასების ბატალიეში იღებდა მონაწილეობას. ამიტომ, ვფიქრობ, მათ სათანადო გამოცდილება და დაუფრგოვდა და კარგად აცნობიერებენ, რომ შანსი ეძლევათ ინგლისის ნაკრების მთავარ მწვრთნელს მარტინ ჯონსონს თავი მოახიზონ. - თქვა სტიუარტ ლანკასტერმა.

ბარბაროსები

- 15. ნიკოლა ჟანჟანი, 14. პოლ სასკი, 13. ბენუა ბაბი, 12. მატითი ბასტარო, 11. ტიმ ვიზერი, 10. ფრედერიკ მიშალაკი, 9. რუან პინარი. 1. სალვატორე პერუჯინი, 2. ლეონარდო ჯილარდინი, 3. დავით ქუბრიაშვილი, 4. ვრიკ ლინდი, 5. პოლ ტიტო, 6. ჯო ფან ნიკერკი, 7. ჯორჯ სმიტი, 8. სერჯო პარისე.

- 16. სებასტიან ბრუნო, 17. კარლ ჰეიმანი, 18. ქვენტინ გელდენჰაუზი, 19. მარტინ ვილიამსი, 20. სებასტიან ტილუს-ბორდე, 21. ვილი მესონი, 22. სერუ რაბენი.

ინგლისის ნაკრები

შპრკინება: დეივ ეთუდი, კირან ბრუკსი, კალუმ კლერკი, პოლ დორან-ჯოუნზი, კარლ ფონსი, ჯეიმზ გასკელი, ჯო გრეი, ტომ ჯონსონი, გრემ კიტჩინერი, ჯო მარლერი, მეტიუ მილერი, მეტიუ მალენი, ლუკ ნარავაი, დევიდ ჰეისი.

შპანა სპანი: მეთ ბანაჰანი, მაიკ ბრაუნი, რორი კლეგი, ლეი დიკსონი, პოლ ჰოჯსონი, ჩარლი ჰოჯსონი, უგო მუნი, სტივენ მილერი, ჯეიმზ სიმსონ-დენიელი, ჰენრი ტრინდრი, ჯორდან ტერნერ-ჰალი.

ამბაჯი

მაქოუა ხალი ოთხნობიანი მონაწილე

ახალი ზელანდიის ნაკრების ლიდერმა და კაპიტანმა რიჩი მაქოუმა ქვეყნის რაგბის კავშირთან ახალი ოთხნობიანი ხელშეკრულება გააფორმა. რიჩი დენ კარტერის შემდეგ მეორე დიდი ახალზელანდიელი მორაგბეა, ვინც თავისი მომავალი კარიერა „ოლ ბლექსს“ დაუკავშირა.

კონტრაქტი გათვალისწინებულია ასევე მაქოუსთვის მოკლევადიანი, ეგრეთ ნოდებული შევებულების, ანუ საზღვარგარეთულ კლუბში თამაშის უფლების მიცემა.

„ყოველთვის ვამბობდი, რომ სანამ ახალი ზელანდიის ნაკრებში თამაშის საშუალება მაქვს, უცხოეთში არასდროს წავალ. ძალიან მინდა „ოლ ბლექსში“ ვითამაშო. როგორც მოთამაშეს, ვფიქრობ, კიდევ უფრო მეტის მიღწევა შემიძლია.“ - თქვა რიჩი მაქოუმ.



რიჩი მაქოუ

ახალი ზელანდიის რაგბის კავშირი ამ ფაქტმა, ცხადია, ძალიან გაახარა:

„მაქოუ ჩვენი ნაკრების სული და გულია. ის „ოლ ბლექსის“ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კაპიტანია. მას შეუძლია, ახალი ზელანდიის ნაკრებს მომავალ ოთხ წელიწადში მდგრადი საფუძველი ჩაუყაროს.“ - თქვა ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა სტივ ტიუმ.

მსოფლიო თასი მილენიუმის უმასპინძლებს

შუალის დედაქალაქ კარდიფში მდებარე ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სარაგბო სტადიონი „მილენიუმი“, რომელიც 74 500 მაყურებელს იტევს, 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების მატჩებს უმასპინძლებს.

„მილენიუმი ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი სარაგბო კერა მსოფლიოში. აქ უამრავი უმაღლესი რანგის რაგბობა გამართულა, მათ შორის 1999 და 2007 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების მატჩები. ამასთან მას შესანიშნავი ტევალობა აქვს და ინფრასტრუქტურაც ბრწყინვალედაა აწყობილი.“ - თქვა რაგბის საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტმა ბერნარ ლაპასემ.

„ჩვენი მიზანია, ისეთი ტურნირი მოვაწყოთ, რომლის ბადალიც მანამდე არ ყოფილა. საამისოდ, ცხადია, ყველაზე მთავარია, გუნდებს კარგ სტადიონებზე ვუმასპინძლოთ. ვფიქრობ, „მილენიუმი“ ერთ-ერთი საუკეთესო არეზა მსოფლიოში და მოხარული ვართ, რომ ინგლისში გასამართ მსოფლიოს თასს ეს სტადიონი უმასპინძლებს.“ - თქვა ინგლისის რაგბის კავშირის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.

ლეგიონერები

კოლელიშვილი და ჯაშიაშვილი საფრანგეთის რეპრონები არიან

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში პლეი ოფის მეოთხედფინალის პირველი მატჩები გაიმართა, სადაც ქართველ მორაგბეთა საში გუნდი ასპარეზობს.

შალვა სუთიაშვილის, დავით აშვეთიას, არჩილ კობაურისა და ალექსანდრე ესაკიას „მასი“ სტუმრად ეთამაშა „ლიმოსს“ და მინიმალური სხვაობით დამარცხდა - 18:19. აღსანიშნავია, რომ ჩვენებურთა გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში ანგარიში მუდამ წინ იყო. მასპინძლებმა გამარჯვება შეხვედრის ბოლო ნუთზე ტიმ კლარკის საჯარიმოს წყალობით მოიპოვეს.

სუთიაშვილმა სრულად ითამაშა, აშვეთია 46-ე ნუთზე შეცვალეს, კობაური თამაშში 75-ე ნუთიდან ჩაერთო და ორ ნუთში არბიტრმა სინბინში გაუშვა, ესაკია განაცხადში არ იყო. საპასუხო შეხვედრას პარიზელები მომავალ უქმეებზე შინ გამართავენ.

„მასიზე“ უკეთესი შედეგი აჩვენა გასვლით მატჩში „ბობინისთან“ თედო ზიზიბაძის, ალექსანდრე მარგველაშვილის, დავით დადუნაშვილისა და ირაკლი ნინიძის „პერიგომ“. ჩვენებურთა გუნდმა, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში მდევრის როლში იყო, ფრეს გამოჰკრა ხელი - 22:22.

ზიზიბაძემ, რომელმაც თავიდან ბოლომდე ითამაშა, 47-ე ნუთზე ლელო გაიტანა, მარგველაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 62-ე ნუთზე ნინიძემ შეცვალა, დადუნაშვილს არ უთამაშია.

განმეორებით შეხვედრებში წარმატების შემთხვევაში „პერიგო“ და „მასი“

ნახევარფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან.

ლაშა მალალურაძისა და გიორგი მჭედლიშვილის „ბეზიემ“ სტუმრად წააგო „ბურგ ან ბრესთან“ - 9:23 და ახლა, განმეორებით შეხვედრაში, დიდი ძალისხმევა დასჭირდება თოთხმეტეულიანი ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად.

მალალურაძე სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში მე-60 ნუთიდან ჩაერთო, მჭედლიშვილს არ უთამაშია.

კიდევ ერთ მეოთხედფინალურ წყვილში „ვანმა“ შინ წააგო „ტიროსთან“ - 9:12. ლანგდოკელები ნახევარფინალში გასვლის შემთხვევაში, სწორედ ამ წყვილში საუკეთესოს შეხვდებიან.

კალი ოჩი

გიორგიშვილი

ლიმოჟი-მასი 19:18, ბობინი-პერიგო 22:22, ბურგ ან ბრესი-ბეზიემ 23:9, ვანი-ტიროსი 9:12

ესპუარტა, ანუ სათადარიგო გუნდების ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი დაუპირისპირდა. ვიქტორ კოლეიშვილისა და გიორგი ჯაშიაშვილის „კლერმონმა“ კონსტანტინე მიქაუტაძისა და ლევან ჩილაჩავას „ტულონს“ 19:26 მოუგო.

ამრიგად, კოლეიშვილი და ჯაშიაშვილი საფრანგეთის სათადარიგო გუნდების ჩემპიონატის გამარჯვებულები არიან. მიქაუტაძესა და ჩილაჩავას ამ შეხვედრაში არ უთამაშიათ, რადგან საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებში გაისარჯნენ და კანადელ თანატოლებს ითხო ლელო გაუტანეს.



ტრანსფერები

ოთხი ქართველი ელიტა ოჩი

საფრანგეთში სატრანსფერო ფანჯარა უკვე გახსნილია და მოთამაშეთა გუნდიდან გუნდში გადასვლების შესახებ ინფორმაცია ყოველდღე ქვეყნდება. ცხადია, ჩვენი ქართველი მორაგბეების ბედი გვანუხებს.

საფრანგეთის ელიტურ, მეორე დივიზიონში მოასპარეზე „ორიაკმა“, რომელმაც წლევეანდელ გათამაშებაში მე-7 ადგილი დაიკავა, ერთბაშად სამი ქართველი დაიმატა. საქართველოს ნაკრების მეორეხაზელები ლევან დათუნაშვილი ამ გუნდს, ერთნობიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა. ახლახან მისი თანაგუნდელი

გაბდა საქართველოს A ნაკრების შერკინების ბურჯი კარლენ ასკიშვილი, რომელიც აქამდე ფედერალ 1-ის „ორტეზში“ ასპარეზობდა. ყოფილი ლოკომოტიველი, ასევე შერკინების ბურჯი გიორგი ნაცარაშვილი „ორიაკთან“ კონტრაქტს თვის ბოლოს გააფორმებს.

ელიტური, მეორე დივიზიონის „პომი“ ჩაირიცხა თბილისის „ლოკომოტივის“ პირველხაზელები ზერო პეტრიაშვილი. „პომ“ ახლახან დასრულებულ რეგულარულ გათამაშებაში მე-9 ადგილი დაიკავა.

გვირდი მოამზადა ზესიკ ჯანაშვილი



ინტერვიუ არვიდას საბონისთან

# ლიგვას ოქრო, საქართველოს იღბალი



თბილისში ვიზიტის მეორე დღე ლიტვური კალათბურთის ლეგანდამ არვიდას საბონისმა ევრობასკეტის პრეზენტაციით გახსნა. ქართველთათვის ლიტვის ევრობასკეტის წარდგენის შემდეგ საბონისმა სპორტის სამინისტროს მიაშურა და მის ხელმძღვანელ ლადო ვარძელაშვილს შეხვდა. საქმიანი საუბრის შემდეგ ლიტვურმა დელეგაციამ დაათვალიერა ქართული სპორტის მუზეუმი და კულტურული ღონისძიებები მცხეთაში გასულით განაგრძო...

საბარტოვილი ბევრმა იცის, ვინ არის არვიდას საბონისი, თუმცა შეიძლება არ იცოდეს, რომ ლეგენდარულ ლიტველ ცენტრს უთამაშია როგორც ნიკოლოზ დერიუგინის, ასევე მეორე ქართველი ნიკოლოზის, ცეტიშვილის წინააღმდეგ. არადა, ცეტიშ 1983 წელსა და დაბადებული, საბონისმა კი მსოფლიო ჩემპიონატი 1982 წელს მოიგო...

არვიდასი NBA-ში 2003 წლამდე თამაშობდა, „პორტლენდის“ ღირსებას იცავდა. გუნდი რომ დატოვა, მის ნაცვლად „პორტლენდის“ ხელმძღვანელობამ ვლადიმერ სტეფანია აიყვანა. ვოვაშვიც სწორედ საბონისის 11-ნომრინი მისიურა აირჩია.

ლიტველ გიგანტს სწორედ NBA-ელ ქართველებზე ვკითხეთ.

– სიმართლე გითხრათ, რაც ამერიკიდან წამოვედი, NBA-ს კალათბურთის დიდ ფურადლებას აღარ ვუთმობ. პეიჯი ოფის მატჩებსაც იშვიათად ვუყურებ. დაიწყება NBA-ს ფინალური სერია და აუცილებლად მივუჯდები ტელევიზორს. შესაბამისად, ვერც ზაზა ფაჩულიაზე ვილაპარაკებ ბევრს, თუმცა მისი რამდენიმე მატჩი ნანახი მაქვს, ვიცი, რომ საქართველოს ნაკრების ლიდერია და ამერიკაშიც კარგად თამაშობს.

– NBA-ში ვლადიმერ სტეფანიას წინააღმდეგ გითამაშიათ.

– მისი გარჯა მახსოვს, მაგრამ უშუალოდ ჩემს წინააღმდეგ არ თამაშობდა...

– როგორ? ამპლუით ორივე ცენტრი იყავით...

მის, რომ საშინაო კედლები შესაძლოა ერთგვარ დაბრკოლებად იქცეს. ამიტომ მთავარია, კალათბურთელებმა ფსიქოლოგიური ბარიერი დაძლიონ. ასევე უნდა ითქვას, რომ ევროპის ჩემპიონატზე თამაში გაცილებით რთულია, ვიდრე მსოფლიოზე, რადგან მუნდიალზე აზიის და აფრიკის გუნდებიცაა...

– მიგაჩნიათ, რომ ევრობასკეტზე სუსტი გუნდები არ იქნება? გასათვალისწინებელია: მონაწილეთა რაოდენობა 16-დან 24-მდე სწორედ ლიტვაში გასამართი ევროპის ჩემპიონატის წინ გაზარდეს.

– არც გამოკვეთილი ფავორიტია და არც აუტსაიდერი. საერთოდ, მიმაჩნია, რომ 24-მდე გუნდების რაოდენობის გაზრდა კალათბურთის წინსვლის საქმეში წინ გადადგმული ნაბიჯია. ევრობასკეტზე მოხვედრის შემდეგ ამ თუ იმ ქვეყნის მთავრობა მეტად დაინტერესდება კალათბურთის განვითარებით, რაც მისასალმებელია. ჩვენთვის, ლიტველებისთვის გუნდების მომატებით სამუშაო კი გაიზარდა, მაგრამ მაინც დადებითად ვუყურებთ - ევრობასკეტზე 16 გუნდი რომ ყოფილიყო, ჩვენი ძველი მეგობრები (საქართველო, უკრაინა) და მეზობლები ლიტვაში ვერ ჩამოვიდოდნენ...

– ჩემპიონატის ფავორიტები კმაყოფილებით ნამდვილად არ შეხვედრიან გუნდების რაოდენობის 24-მდე გაზრდას.

– ისინი ამბობენ, აუტსაიდერებთან მატჩებში ტრავმის მიღების ალბათობაა... ჯერ ერთი, ტრავმები ყველა მატჩში შეიძლება მიიღო და მეორეც: უკვე ვთქვი, რომ ევრობასკეტზე მოხვედრილ გუნდთაგან ბევრი თანაბარი ძალის გუნდია - გამოკვეთილი აუტსაიდერი არ არის. ჩვენს ჩემპიონატზე სიბალეცია: განაცხადებ 12-ის ნაცვლად 14 კალათბურთელის შეყვანა შესაძლებელი. ასე რომ, თუ ღირსეული შემცველი ევოლუცია, ერთი მოთამაშის ტრავმა გუნდს არ უნდა დაეცეს.

– საქართველოს ნაკრებსა და მის მეტოქეებზე რას ფიქრობთ?

– საინტერესოა ჯგუფია. სერბეთთან, ლიტვასთან, ესპანეთთან და თურქეთთან ერთად თქვენი ჯგუფის ბინადარი სლოვენია ჩემპიონობის რეალურ პრეტენდენტად მიმაჩნია. საერთოდ კი თანაბარი ჯგუფია და მომდევნო ეტაპზე გასვლა ყველას შეუძლია. ცხადია, საქართველოს ნაკრებსაც. თუმცა, ჩემპიონატზე საჭიროა ცოტა სპორტული იღბალი და კარგი მომზადება... რაც შეეხება გულშემატკივრობას, ყველაზე მეტი ბილეთი ქართველებს გაქვთ და კლიაბედაში ისეთ ატმოსფეროში ითამაშებთ, როგორც თბილისშია. კარგად მახსოვს „უალგარისთან“ ერთად საქართველოში რომ ჩამოვდიოდით, დარბაზი პირთამდე იესებოდა. ასეთ ვითარებაში თამაში და გამარჯვება ყოველთვის რთულია.

ვაჟა სიმონიშვილი



## ლიგველები გავაოცაით: ბილეთების 40% ქართველებსაა, 12% რუსებსა...

ჯერსათაურზე შეეჩერდეთ. „თბილისი-მერიტოში“ ლიტველებმა ევრობასკეტი-2011-ის პრეზენტაცია მოაწყვეს, რომლის მსვლელობისას ევროპის ჩემპიონატის ოფიციალურმა ელჩმა არვიდას საბონისმა საინტერესო ამბავი გვითხრა:

– D ჯგუფის ყველა მატჩის ბილეთი გაყიდულია, მათგან 40 პროცენტი ქართველებისაა. ასე რომ, კლიაბედაში როგორც მინ, ისე ითამაშებთ.

ევროპის ჩემპიონატის წარმომადგენლებმა ჩვენი ჯგუფის სხვა ნაკრებების (სლოვენია, ბულგარეთი, რუსეთი, ბელგია, უკრაინა) ქომაგთა მიერ შესყიდული ბილეთების პროცენტული მაჩვენებლებიც გვანახეს. თვალში მოგხვდებოდათ რუსების „აქტიურობა“: მათ მხოლოდ ბილეთების 12 პროცენტი აქვთ ნაყიდი. ლიტველმა სტუმრებმა კიდე ერთ საინტერესო ფაქტზე გაამახვილეს ყურადღება - მეორე ეტაპის მატჩებზე ქართველები ბილეთებს არ უყვეთავნო...

არადა, ჩვენი გუნდი ჯგუფის აუტსაიდერთა შორის ნამდვილად არ მოიპოვებდა, რაზეც კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელმა ბესიკ ლაპარტელიანმაც გაამახვილა ყურადღება:

– ლეგენდარული კალათბურთელის, არვიდას საბონისის ჩამოსვლა ჩვენთვის დიდი პატივია. საქართველოს ნაკრები ევრობასკეტის დებიუტანტია და ამდენად ძალიან მნიშვნელოვანია ლიტველთა თანადგომა. ურიგო გუნდი არ გვყავს, ვეცდებით ჩვენს გულშემატკივარსაც და ევროპასაც დავანახოთ, რომ ჩემპიონატზე შემთხვევით არ მოხვედრილივართ. ქართველების გარდა ლიტველთა გულშემატკივრობის იმედიც გვაქვს.


ვაჟა სიმონიშვილი

## გოლიათების გავაოცაუი

ევროპული კალათბურთის გიგანტი, ლიტველი არვიდას საბონისი დიდ სპორტში ჯერ კიდევ პირველ ნაბიჯებს დგამდა, ლელოს კორესპონდენტ ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტობიუტირის არეში რომ მოექცა. მას შემდეგ ფოტორეპორტიორს ბალტიისპირელის მეტოქეებთან პაექრობა და შეუდარებელი ფარქვემა გარღვევები არაერთხელ აღუბეჭდავს ფირზე. სანდრიკას მახვილ თვალს, ცხადია, არც ქართული კალათბურთის ბრწყინვალე წარმომადგენლის, იჩქთა და ოსტატობით გამორჩეული ნიკოლოზ დერიუგინის ტალანტი გამორჩენია.

გუმინ არვიდას საბონისი და ნიკოლოზ დერიუგინი თბილისში კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, ოღონდ არა სპორტულ სარბიელზე - კალათბურთელთა 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის ელჩი საქართველოს დედაქალაქს სამდლიანი საქმიანი ვიზიტით ეწვია. ალექსანდრე კოტორაშვილმა გოლიათ ლეგენდებს ჭაბუკური წლების გასახსენებლად უნიკალური ფოტოები აჩუქა და ამ შეხვედრის აღსანიშნავად მათთან სამახსოვრო სურათიც გადაიღო, რომელსაც დღეს ვთავაზობთ ლელოს მკითხველებს.

ვაჟა დანელია



მარცხნიდან: არვიდას საბონისი, ალექსანდრე კოტორაშვილი და ნიკოლოზ დერიუგინი

## ლაპრონი ფინალისკენ ბოისათი

სლოვენის ჩემპიონატის ნახევარ-ფინალური სერია მოგებით გახსნა „ოლიმპიამ“ - ლიუბლიანაში „ჰელიოსს“ 74:59 აჯობა. საყურადღებოა, რომ სანჯისი 30 წუთის შემდეგ წინ ჰელიოსელები იყვნენ (52:47), თუმცა ბოლო რაუნდში მასპინძლებმა 27:7 იმარჯვეს და სერიაში 1:0 დანინაურდნენ. განმეორებითი მატჩი დღეს „ჰელიოსის“ მოედანზე გაიმართება. სერია ორ მოგებადგა.

სტუმრები მეოთხე პერიოდს უფრო დიდი უპირატესობით რომ არ შეხვდნენ - გარკვეულწილად ვლადიმერ ბოისას დამსახურებაა, რომელმაც მეორე პერიოდში 10 ქულა ჩააგდო. სულ 12 წუთი ითამაშა და 10 ქულას 4 მოხსნა წაუმატა. „ოლიმპიას“ მეორე ქართველი გიორგი შერმაღანი სათადარიგო იყო. მან 14 წუთში 1 ქულა და 4 მოხსნა გაიფორმა.

ვაჟა სიმონიშვილი



# ქართული სპორტი

● **თავისუფალი ჰიდრობა**  
**გერმანიის ტურნირი**

## შენსევაილი გურნირის გასოცხლება

ამ დღით თავისუფალი სტილით მოქმედებდა ახალგაზრდული ნაკრები გერმანულ პლაუნში გაფრინდა, სადაც 27-28 მაისს თანატოლთა მსოფლიოს თასზე იჭიდავებს. ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ნუგზარ სხირელმა გერმანიაში ლევან როჭიკაშვილი (50), ლაშა ლომთაძე (55), ზურაბ იაკობაშვილი (60), დავით გალავაშვილი (66), ბექა პეტრიაშვილი (74), ალექსანდრე ამინაშვილი (84), ომარ გუსოშვილი (96) და გიორგი ასლანიშვილი (120) წაიყვანა.

ეს ტურნირი ადრეც იმართებოდა, მერე კარგა ხანს შეწყვეტილი იყო, ახლა კი საერთაშორისო ფედერაციამ ისევ აღადგინა. ის ზუსტად იმავე ფორმატით ტარდება, როგორც - უფროსების ანალოგიური შეჯიბრება - ესეც გუნდური პრინციპისაა ანუ „გუნდი გუნდზე“ იმართება, მონაწილეთა რაოდენობა კი აქაც ლიმიტირებულია. თუმცა ჩვენებს უახლოეს თვე-ნახევარში კიდევ ორი საპასუხისმგებლო შეჯიბრება ელოდებოდა და ამიტომ სხირელს სათანადო მონაწილე არც მიჰყავს.

უფროსთა დარად, ამ ტურნირის მონაწილენიც მსოფლიოს შარშანდელი ახალგაზრდული პირველობის შედეგებით შეირჩა, რჩეულთა სიაში კი საქართველოს გარდა აზერბაიჯანის, რუსეთის, ირანის, თურქეთის, აშშ-ს, იაპონიისა და თავად გერმანიის გუნდები მოხვდნენ. ისინი ორ ჯგუფად გაიყოფიან და 27 მაისს პირველი ეტაპის შეხვედრებსაც გამართავენ, ხოლო დანარჩენს - მეორე დღეს.

ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა უკვე გაიარა მორიგი შეკრება დუშეთში, თუმცა მისი უმთავრესი მიზანი არა ამ შეჯიბრების, არამედ ევროპისა და მსოფლიოს პირველობებისთვის მომზადება იყო. ის ასპარეზობები სულ რაღაც სამკვირიანი ინტერვალით იმართება და მწვრთნელები ორ-ორ შემადგენლობას არჩევენ. გერმანული ტურნირიც საკადრო

შემომების ერთ-ერთი ეტაპია. არსებითად, ევროპა-მსოფლიოზე წამსვლელი ფალანგები მწვრთნელს უკვე შერჩეული ჰყავს, მაგრამ დასახელებას ჯერ არ ჩქარობს. საერთაშორისო უმრავლეს ნონებში კანდიდატები ერთმანეთს შეცვლიან ანუ ერთი ევროპის იჭიდავეს, მეორე - მსოფლიოს. თუმცა ზოგიერთ ნონაში იმდენად მძაფრი კონკურენციაა, ლიდერი აქამდე ვერ გამოიკვეთა. მაგალითად, 66 კილოგრამში დღემდე გრძელდება გალავაშვილი და დავით ტლაშაძის პაექრობა ლიდერობისთვის. ორივე გორელია, სხირელის მოსწავლე და მწვრთნელი კარგად იცნობს მათ შესაძლებლობებს. საქართველოს ჩემპიონატზე ტლაშაძემ ფინალში მოუგო გალავაშვილს, მაგრამ სხირელი იმთავითვე ამბობდა, რომ ისინი დაახლოებით თანაბარი დონის მოჭიდავეები არიან და იმ შეხვედრაში უპირატესობა არც ერთს არ უჭირია, რის გამოც ორივეს გამოცდიდა საერთაშორისო ტურნირებში.

დრომ მისი სიტყვები დაადასტურა - უცხოურ შეჯიბრებებში ისინი მართლაც დაახლოებით ერთნაირ შედეგებს აჩვენებდნენ. რაც მთავარია, ყოველთვის მონაწილეთა შორის იყვნენ ანუ კარგ მომზადებას ავლენდნენ. აქედან გამომდინარე, არცაა გასაკვირი, სხირელი თუ ევროპა-მსოფლიოზე ორივეს გამოიყენებს. ნაკრებში არის ნონით კატეგორიები, სადაც სამი სრულფასოვანი კანდიდატიცაა. ასეთ შემთხვევებში ტურნირები უფრო თანაბრად გადაწინააღმდეგება - ერთი ამ თასზე გამოვა გერმანიაში, ისორი კი ევროპა-მსოფლიოს „გაიყოფს“.

სხირელი ამგვარად ცდილობს კადრების ისე გადაწინააღმდეგებას, პირველხარისხოვან შეჯიბრებებზე თავის გამოჩენის შანსი ყველას მისცეს.

მოგესხენებათ, წლეულს ახალგაზრდულ ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესია - გუნდიდან წავიდა ევროპისა და მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი დავით ხუციშვილი (74) და ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი გიორგი საკანდელიძე (120), მათი შემცვლელ-

ებთან ერთად, წლეულს ახალგაზრდულ ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესია - გუნდიდან წავიდა ევროპისა და მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი დავით ხუციშვილი (74) და ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი გიორგი საკანდელიძე (120), მათი შემცვლელ-

ებთან ერთად, წლეულს ახალგაზრდულ ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესია - გუნდიდან წავიდა ევროპისა და მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი დავით ხუციშვილი (74) და ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი გიორგი საკანდელიძე (120), მათი შემცვლელ-

27. Bis 28. Mai 2011  
1. TEAM WELTCUP JUNIOREN -FREISTIL-  
Einheit-Arena Plauen  
WiederstraÙe 11 - 08525 Plauen  
DRB  
27. Mai 2011  
12.00 Uhr Offizielle Eröffnung  
18.30 Uhr 1. Runde  
28. Mai 2011  
09.00 Uhr 2. Runde  
13.00 Uhr 3. Runde  
17.00 Uhr Finale Platz 7-8  
17.30 Uhr Finale Platz 5-6  
18.00 Uhr Finale Platz 3-4  
18.30 Uhr Finale Platz 1-2  
www.drb.org

ბით კი მწვრთნელი მთლად კმაყოფილი ვერაა. განსაკუთრებით - მძიმე ნონაში, სადაც რამდენიმე კანდიდატი გამოსცადა. არადა, ეს ნონა შარშანდელის ნამდვილი ჯოკერი იყო - საკანდელიძის გარდა, აქ ლევან ბერიანიძეც ჰყავდა, რომელსაც, მართალია, ახალგაზრდულში არ მოუწია ჭიდაობამ, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, უფროსებში მსოფლიოს პირველობაზე ბრინჯაოს მედალი მოეპოვებინა. თან ისეთი გამოცდილი ფალანგი დამარცხებინა, როგორც ირანელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ფარიდ მასოუმ ვალადია.

წლეულს ბერიანიძემაც დამთავრა გამოსვლა ამ გუნდში და უფროსებში გადავიდა. ახლა ეროვნულ ნაკრებში ყველაზე დიდი კონკურენცია სწორედ მძიმე ნონაშია, მაგრამ ეს ახალგაზრდულის პრობლემებს ვერაფერს შეეცვლის.

სხირელისთვის დამაიმედებელია ის გარემოება, რომ გუნდში კვლავაც რჩებიან ახალგაზრდებში მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი და ევროპის ვერცხლის მედალოსანი ვლადიმერ ხინჩევაშვილი (55) და ამავე ასაკში ევროპის 2009 წლის ვიცე-ჩემპიონი დავით მარსაგიშვილი (84). ორივე ფალანგმა წარმატებით დაიწყო წლეუანდელი სეზონი - ევროპის პირველობის ვერცხლის მედალოსნები უკვე უფროსებში გახდნენ. ეჭვი არაა, მათი სახით სხირელს კვლავაც მოეპოვება ჯოკერები. მით უფრო, რომ სამწვრთნელო შტაბმაც მონახა კონსუსუსი და ეს ბიჭები ახალგაზრდულ გუნდსაც დაეხმარებიან. საქმე ისაა, რომ მათი სამსახური თურთულ ნაკრებშიც სჭირდება ზაზა თურმანიძეს, რადგან ისინი თავიანთი ნონების ლიდერებად იქცნენ, იქაც უნდა იჭიდაონ მსოფლიოს პირველობაზე, თუმცა მანამდე მოსამზადებელი ეტაპებიც უნდა გაველოთ. აი, აქ იქნებოდა საშიშროება, რომ ერთბაშად ორ ნაკრებში გამოსვლა სპორტსმენებს გადადლიდა, მაგრამ ამ საკითხზე შეთანხმებას მიაღწიეს.

ისე, აქ ერთსაც შევნიშნავთ - გვესმის, რომ სპორტსმენი მანქანა არაა და შეიძლება, მართლაც გადაიღლოს, მაგრამ ეს საფრთხე ასე მწვავედ არ დგას უცხოელთა წინაშე. მაგალითად, აზერბაიჯანელი ტოგრულ ასგეროვიც ხინჩევაშვილის თანატოლია და შარშანდელი ფინალშიც შეხვდნენ ერთმანეთს, თუმცა ის ბიჭი ზედიზედ ორი წელიწადია, შეუსვენებლად ჭიდაობს უფროსებშიც და ახალგაზრდებშიც. ამ პერიოდში ერთი ტურნირიც კი არ ჩაუტოვია და თან თითქმის ყველგან შედეგი გააკეთა. მხოლოდ წლეულს დამარცხდა უფროსთა ევროპის პირველობაზე, თუმცა იქ ახალ ნონაში იჭიდავა - 60-ში გადავიდა. სხვათა შორის, ის პლაუნშიც იქნება და კვლავაც 60-ში გამოვა.

ირაკლი თაბაძე

## ● 2011 წლის

# გორაკლთა სიურპრიზები

თბილისის სამბოს სასახლემ საქართველოს 2011 წლის უნივერსიადის მონაწილეებს უმასპინძლა. გამარჯვებულები და პრიზიორები 8 ნონით კატეგორიაში გამოვლინდნენ. განსაკუთრებით გორის უნივერსიტეტის სამბისტებმა იყოჩაღეს: მათ სამი ოქროს და ამდენივე ვერცხლის მედალი მოიხვეჭეს და 36 ქულით გუნდური პირველი ადგილიც დაიკავეს. 32 ქულით მეორე ადგილზე აგრარული უნივერსიტეტი (2 ოქრო და 6 ბრინჯაო) გავიდა. 25 ქულით მესამე ადგილი სტუ-ს (2 ვერცხლი, 5 ბრინჯაო) ხვდა. პირად ჩათვლაში ნონით კატეგორიების მიხედვით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: ზურაბ ქიზიყვაშვილი (57 კგ, აგრარული უნივერსიტეტი), იაკობ ვანდელიანი (62, აგრარული), შმაგი კაპანაძე (68, გორი), მიხეილ გიორგაძე (74, გორი), ვახტანგ სარაჯიშვილი (82, თელავი), ზაზა დავაძე (90, გორი), ირაკლი ქობლანიძე (100, ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტი), არჩილ სალინაძე (+100, ქუთაისი).

ბრძენთა თამაშის მოყვარულთა პაექრობები ჭადრაკის სასახლეში გაიმართა. აქ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: გოგონები. 1. ნინო კეკელიძე-6 ქულა (აგრარული უნივერსიტეტი), 2. მადონა ბოკუჩავა-5,5 (თსუ), 3. ეკა გოგლიძე-5,5 (გორის უნივერსიტეტი). ვაჟები. 1. ირაკლი ჯანიაშვილი-6,5 (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი), 2. გაიოზ ნიგალიძე-6 (ბათუმის უნივერსიტეტი), 3. არჩილ ამირხანაშვილი-5,5 (თსუ).

თოთხმეტი სახეობის შემდეგ საერთო გუნდურ ჩათვლაში 10-10 ოქროს მედლით საქართველოს ტექნიკური და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტები მენჩინაველბენ. 9 ოქროს მედლით აგრარული უნივერსიტეტი მესამე ადგილზეა.

ვაჟა დანელია

## ● ქაღრაქი

# ჯობავენ წელიწადი ურავია

ჩერნიგოვის „ა დან დოს“ მოჭადრაკებმა შარშანდელში ევროპის საკლუბო ჩემპიონატში შვიდ ტურში თერთმეტი ქულა მოაგროვეს და მეორემეხუთე ადგილები გაინაწილეს, დამატებითი მაჩვენებლებით კი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. ამ წარმატებაში მან წვლილი შეიტანა ქართველმა დიდოსტატმა ბადურ ჯობაძემ, რომელმაც ბულგარეთში ჩერნიგოველთა პირველ დაფაზე ითამაშა. ამ დღეებში მან კიდევ ერთხელ დაიცვა „ა დან დოს“ სპორტული დირსება, ოღონდ უკრაინის საკლუბო ჩემპიონატში. 10 გუნდი (თითოეულში 6-6 ძირითადი და 4 სათადარიგო მოთამაშე) წრეული სისტემით შეხვდა ერთმანეთს. ჩერნიგოველებმა ცხრავე პაექრობა მოიგეს და 18 ქულით ჩემპიონობა მოიპოვეს. ჯობაძემ ოთხ გამაწყვეტ ტურში მიიღო მონაწილეობა. პირველ დაფაზე 3 პარტიამი წარმა-



ბადურ ჯობაძე

ტებას მიაღწია: დაამარცხა ლეონიდ მუხტაროვი, გამი ხადერი და სერგეი სტრელნიკოვი, ხოლო 16 ქულით მეორე ადგილზე გასული ხარკოვის „იურიდიული აკადემიის“ ნევერ ალექსანდრე მოსიენკოსთან კი წავიდა. 12 ქულით მესამე ადგილი ხმელნიცკის „პოდოლიერევიონს“ ხვდა.

ვაჟა დანელია

## ● ქრივი




რამაზ ფალიანი

საქართველოს მოკრეფთა ნაკრებმა ამას წინათ ყაზახეთში მასპინძლებთან ერთად გაიარა საწვრთნელი შეკრება და იქვე საერთაშორისო ტურნირშიც იასპარეზა. ჩვენმა ბიჭებმა 3 მედალი მოიპოვეს, ნაკრების თავკაცი რამაზ ფალიანი კი ტურნირის საუკეთესო მწვრთნელად დასახელეს.

ალმათიდან დაბრუნების შემდეგ ტყავის ხელთათმანის ქართველმა ოსტატებმა დუშეთის ოლიმპიურ ბაზაში მიამურეს და ახლა იქ ვარჯიშობენ. გუშინ რამაზ ფალიანს შეეხვინა.

დუშეთში უფროსებისა და ახალგაზრდული ნაკრების წევრები არიან შეკრებაზე, სულ 21 მოკრეფი, რომლებსაც ჩემთან ერთად თემურ ოჩიგავა და ბექან ჭიჭინავა ავარჯიშებენ. ამჯერად ჩვენი მიზანია, ევროპის ჩემპიონატისთვის საფუძვლიანად მოვემზადოთ. ამ შეჯიბრებას თურქეთის დედაქალაქი

ირაკლი თაბაძე



## ● მშვილდოსნობა

# ქალები აზიაში იასპარეზებენ

დღეს დილით ქალ მშვილდოსანთა ნაკრები ბანგლადეშში გაემგზავრა, სადაც 27 მაისიდან აზიის თასის რიგით მესამე გაათამაშებამი გამოვა. ნაკრების კორეულ თავკაც ან იონ სეუნის გადამწყვეტილებით, აზიაში კვლავაც ძველი სამეული წავიდა - ხათუნა ნარიანიძე, ქრისტინე ესებუა, ასმათ დიასამიძე. თავდაპირველი გეგმით, ჩვენები ამ დღეებში არა ბანგლადეშში, არამედ საფრანგეთში უნდა წასულიყვნენ, სადაც ქალაქ ბოეში უკვე დაიწყო ევროპის თასის გათამაშება. გეგმების

შეცვლა აზიელთა უფრო სარფიანმა წინადადებათ გამოიწვია - ადგილზე ცხოვრების ხარჯებს საკუთარ თავზე იღებენ, ჩვენებს კი მხოლოდ გზის ფული დარჩათ გადასახდელი.

ჯერ არ ვიცით, როგორი შემადგენლობა შეიკრიბება ბანგლადეშის დედაქალაქ დაკაში, მაგრამ, წესით, ფრანგულ ტურნირზე უფრო ძლიერი უნდა გამოვიდეს - მშვილდოსნობაში სწორედ აზიური სკოლა ლიდერობს, იქაურები კი საკუთარ შეჯიბრებაზე, ალბათ, უკლებლად გამოვლენ.

ამ ტურნირის შემდეგ ჩვენებს მალევე ელოდებოდა კიდევ უფრო პრესტიჟული შეჯიბრება - 6-12 ივნისს ანთალიაში ამჯერად უკვე მსოფლიოს თასი ტარდება, რაც სეზონში ამ რანგის რიგით მეორე ასპარეზობაა. საერთაშორისო, იქ ქალთა ტურნირში ზემოდასახელებული ტრიო გამოვა, თუმცა კორეელი, ალბათ, ბევრად უფრო დიდ გუნდსაც წაიყვანს თურქეთში - ამათ ქალებსაც დამატებს და ვაჟებსაც, რომლებსაც აშკარად მოწყალე თვალთ უყურებს.

ირაკლი თაბაძე

# საპროკოლ ემზადებიან

ანკარა 15-23 ივნისს უმასპინძლებს. უკვე დაკომპლექტებულია ეროვნული გუნდი. კონტინენტის ჩემპიონატზე ჩვენი ქვეყნის სპორტულ დირსებას დაიცავენ: ალექსანდრე ჭუბაბრია (48 კგ), ლევან კილანავა (52), ნიკოლოზ იზორია (56), კობა ფხაკაძე (60), ბაკურ გოგოჭყორი (64), ზაალ კვაჭატაძე (69), ჯაბა ხოსიტაშვილი (75), იაგო კიხორია (81), ლევან გულედანი (91) და მიხეილ ბახტიძე (+91). ნაკრების წევრი კახა ფუჟანია (69) ჯერ კიდევ ხელის ტრავმას იძულებს და მხოლოდ ევროპის პირველობის შემდეგ შემოგვიერთდება.

ამ ეტაპზე ბიჭები ურიგოდ არ არიან მომზადებული, რადგან ერთობლივი საწვრთნელი შეკრებები ჩაეტარებოდა სომხეთში, აზერბაიჯანში, ბულგარეთსა და ყაზახეთში და იმავე ქვეყნებში საერთაშორისო ტურნირებზეც მოვსინჯეთ ძალები. თითოეული შეჯიბრებიდან 3-4 მედალი წამოვიღეთ. რაც შეეხება თურქულ ბატალიებს, ორი მედლის მოპოვებას იქაც ვეგეგმავთ. რინგზე მამარ კონკურენციასთან ერთად, მოგესხენებათ, ასეთ დიდ ასპარეზობებზე მიკერძოებულ მსაჯობასაც ვებრძვით ხოლმე. ანკარაში უფრო იმედინად ვიქნებით, რადგან იქ ტექნიკურ დედეგატად არის მივლინებული საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალური მდივანი ვლადიმერ ახალკაცი და მისი ობიექტურობის იმედი გვაქვს...

საუბრის დასასრულს რამაზ ფალიანიმა გვითხრა, რომ ნაკრები 2 ივნისიდან თურქეთში გამგზავრებამდე თბილისში განაგრძობს წვრთნას.

ვაჟა დანელია



# ქართული სპორტი

## ოლიმპიური ფასტივალი



# ევროპის ოლიმპიური კომიტეტის კომისია ქაყოფილი ღარჯა

„სინამაჟიმში“ შეიძლება ვთქვათ, რომ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი ოლიმპიურ მოძრაობაში ჩემი მოღვაწეობის ერთ-ერთი უმთავრესი მონაპოვარია“- ეს სიტყვები ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი პატრიკ შიკმა მარშან იანვარში თბილისში ვიზიტის დროს განაცხადა, რამდენიმე თვის შემდეგ კი საქართველოს დედაქალაქს 2015 წლისთვის სწორედ აღნიშნული ფესტივალის ჩატარების უფლება მიანიჭეს.

როდესაც ამა თუ იმ ქალაქს ასეთი მასშტაბური სპორტული ფორუმის ჩატარებას დააკისრებენ, დროდადრო შესაბამისი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციიდან სპეციალური მონიტორინგის ჯგუფი ჩამოდის, რომელიც სპორტული ინფრასტრუქტურისა თუ ზოგადად ფესტივალისადმი მზადების მიმდინარეობას აკვირდება.


გუშინ გამთენიისას, თბილისში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის კომისიის თავმჯდომარე, ბელგიელი გვიდო დებონდტი და უშუალოდ „თბილისი-2015“-ის კოორდინატორი, სლოვაკი ჟოზეფ ლიბა ჩამოვიდნენ და სხვადასხვა სპორტული ბაზა დაათვალიერეს. ევროპელ კომის-

რებს მასპინძლობას სეოკ-ის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი**, პირველი ვიცე-პრეზიდენტი **რამაზ გოგლიძე**, მერიის სპორტის სამსახურის უფროსი **მერაბ ჩიქობავა**, „თბილისი-2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე **რევაზ ჩომახიძე** და სპორტული დირექტორი **შოთა ხაბარელი** უწევდნენ. მათ თბილისის ფესტივალისთვის გათვალისწინებული ყველა სპორტული ობიექტი დაათვალიერეს და ზოგადად კმაყოფილება გამოთქვეს, თუმცა, რა უნდა გამოსწორდეს, ისიც მიგვითითეს. მსგავსი რანგის შეჯიბრებისთვის უმთავრესი კომპონენტი სპორტსმენთა საცხოვრებელი, ანუ ოლიმპიური სოფელია, რომელიც თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდება და ფესტივალის დასრულების შემდეგ სტუმრებს ქალაქის მერმა **გიგა უგულავამ** გააცნო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ოლიმპიური ფესტივალის ისტორიაში აღნიშნული ოლიმპიური სოფელი ერთ-ერთი საუკეთესო იქნება.

სეოკ-ის პრეზიდენტი

## მოგზაობა

# იგალიასა და მუხრანში



მაკა ჩახნაშვილი

ეს კვირა მოვლენებით მნიშვნელოვანია ქართველი მოყვარულებისთვის - სულ ორი ჩვენებური აგრძელებს თამაშს: **მაკა ჩახნაშვილი** (234) და **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (651).

ჩახნაშვილი იტალიურ გრადოში, 25-ათასიან ტურნირში თამაშობს. პირველ ნრეში ის იოლად გაუსწორდა მასპინძელ **ჯულია მაირს** (228) - 6:2, 6:1. დიდი შანსია, მერვედფინალში ჩვენებური ტურნირის პირველ ნოვან **ივონ მოიზბურგერს** (124) გადაეყაროს. წვეილთა ბადეში ჩახნაშვილმა და ბულგარელმა **ელიცა კოსტოვამ** (189) იტალიელებს (**კლერიკო რემონდინა**) ორ სეტში მოუგეს - 6:3, 6:4.

მექსიკის ქალაქ გუადალახარაში (10 ათასი დოლარი) ბასილაშვილმა პირველ ნრეში მასპინძელ **მიგელ გალიარდო-ვალესს** (584) მოუგო - 6:1, 7:5. მეორე ნრეში ქართველის მეტოქე მე-5 ნომრად განთავსილი **ეკვადორელი ივან ენდარაა** (445).

ნიკოლოზ ნაჭარიძე

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტის **რამაზ გოგლიძის** დედის **თამარ ძმინიძის** გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვილი: 26, 27.05; დაკრძალვა: 28.05. 14 საათზე. მისამართი: გაგარინის, 25.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო უსამძიმრებს სეოკ-ის პირველ ვიცე-პრეზიდენტს **რამაზ გოგლიძეს** **ღეღის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს **ღეღის** გარდაცვალებით გამოწვეულ ღრმა მწუხარებაში სეოკ-ის პირველ ვიცე-პრეზიდენტს **რამაზ გოგლიძეს**.

საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირი თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველ ვიცე-პრეზიდენტს **რამაზ გოგლიძეს** **ღეღის** გარდაცვალების გამო.

„ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას **რამაზ გოგლიძეს** **ღეღის** გარდაცვალებით გამოწვეულ ღრმა მწუხარებაში.

# ქართული სპორტის ღრმადი

## მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

# გიორგი სხირტლაძე

დაიბადა 09. 11. 1932, მთისკალთა, ონი. თავისუფალი ჭიდაობა (79 კგ). მსოფლიოს ჩემპიონი (1959) და მეორე პრიზიორი (1957). 1960 წლის რომის ოლიმპიური თამაშების მეორე და 1956 მელბურნის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი. სსრკ სამგზის ჩემპიონი (1954, 57, 60), ორგზის მეორე (1953, 58) და მესამე (1955) პრიზიორი, სსრკ ხალხთა I სპარტაკიადის ჩემპიონი (1956) და II სპარტაკიადის მესამე პრიზიორი (1959). შეედეტის, უნგრეთისა და აშშ-ის ტურნირებში გამარჯვებული. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ვახტანგ გორგასლის II ხარისხისა და ღირსების ორდენების კავალერი.



## პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** მოციგურავე დამოუკიდებელი საქართველოდან, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში (1994 წ), იყო **ბესარიონ ცინცაძე**.

**პირველებმა** სპორტის ოსტატების ნორმატივი საქართველოს მოფარიკავეებიდან შეასრულეს **ოთარ დიდბუღიძემ** და **ბორის ბონდარევამ** (1941), ქალებში - **იზოლდა ესაიაშვილმა** (1958).

**პირველად** საერთაშორისო მატჩი თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა ჩატარეს 1954 წლის 29 მარტს. ლენინგრადში სსრ კავშირის ზამთრის პირველობის დღეებში თბილისელები ბულგარეთის ნაკრებს შეხვდნენ ამხანაგურ მატჩში და 30 ქულის სხვაობით დაამარცხეს მეტოქე.

## სადაურსა სად ნაიყვან...

1984 წელს ტაშკენტში მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადის დღეებში სპორტულ ბაზებზე ხშირად შეხვდებოდით ქართველ სპორტსმენებს და სპეციალისტებს, რომლებიც სპარტაკიადაზე სხვადასხვა რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის წევრები იყვნენ. მაგალითად, უზბეკეთის მოკრივეთა გუნდში გამოდიოდა ტაშ-

კენტელი მოსწავლე **ალექსანდრე გუგუშვილი**, ძიუდოში ლატვიის ნაკრების ღირსებას იცავდა **კახა დათი-აშვილი**, ესტონელებისას - **გიორგი ბარკალაია**, აზერბაიჯანელ მოკრივეებს სპარტაკიადაზე მწვრთნელად ახლდა **ბორის ყიფიანი**, ხოლო ტაჯიკეთის გუნდს მეთოდისტად - **სტანისლავ გვალაია**.

## მატიანი

# ბრაზილიელეზუზა ადრე

შეიძლება ბევრმა გაიკვიროს, მაგრამ ფაქტია: ქართველ ფეხბურთელებს 2 წლით უფრო ადრე აქვთ ნათამაშები საერთაშორისო მატჩი, ვიდრე... ბრაზილიელებს.

ცნობილია, რომ ქართველი ფეხბურთელები 1912 წელს თბილისში ეთამაშნენ ბაქოში მომუშავე ინგლისელ მენავთობეთაგან შემდგარ გუნდს და სძლიეს კიდევ 2:1. ამავე ქვეყნის წარმომადგენლებს კი ბრაზილიელები პირველად მხოლოდ 1914 წელს შეხვდნენ საფეხბურთო მოედანზე.

## იყო ასეთი შემთხვევა

# პენალტიც მოიგებია

მეორე მსოფლიო ომში სსრ კავშირის ჩართვამდე 20 წლით ადრე ფეხბურთში საკავშირო ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში ლენინგრადში თბილისის „დინამოს“ ადგილობრივი „ზენიტი“ მასპინძლობდა. თბილისე-

ლებმა ეს შეხვედრა 4:1 მოიგეს. ორი გოლი სტუმართაგან **ვიქტორ პანიუკოვმა** გაიტანა, ხოლო შემდეგ, შეცვალა რა მოედნიდან გაძევებული მეკარე, თბილისელმა პენალტიც მოიგებია.

# კროსპორდი

1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	
13		12			
16		14		15	
17			18		
20	21			22	19
24					
26					
		27			
28					

**თარაზულად:** 1. მორაგბე დავით ზირაქაშვილის ფრანგული გუნდი; 4. კახა კალაძის თანაგუნდელი მეკარე „მილანში“; 7. ესპანეთის კლუბი, სადაც შოთა არველაძე საფეხბურთო კარიერის დასრულებამდე თამაშობდა; 9. თბილისის „დინამოს“ ყოფილი ბერძენი ფეხბურთელი; 12. ტყორცებში სპორტული იარაღის მოძრაობის გზა; 13. საფრანგეთში მოთამაშე თბილისელი ფრენბურთელი ქალი; 15. რუსეთის საფეხბურთო კლუბი, რომელშიც გოჩა გორგოჯიანი თამაშობდა; 16. საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ყოფილი კაპიტანი; 17. ქაბუკი სპორტსმენი; 18. მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ქართველი ჩემპიონი ბერძულ-რომაულ ჭიდაობაში; 21. ალპინისტთა ლამის გასათევად ან დასასვენებლად გამოილი ბანაკი; 23. ნარდში და სხვა თამაშებში ფსონის გაორმაგება; 24. ოლიმპიური ჩემპიონი ..... კახიაშვილი; 25. თავდაცვიდან მეტევა; 26. პროფესიონალ სუმოსიტთა ტურნირი; 27. სპორტული ცურვის ყაიდა; 28. „ვიტ ჯორჯის“ სტადიონი მცხეთაში.

**შეუღალა:** 1. ივივეა, რაც ბოდიბოლდინგი; 2. მოძრავი განივი ძე-ლი ანძაზე, რომელზეც იალქანია მიმავრებული; 3. სპორტში დახელოვნების ნიშანი; 5. ვლესიბურთი ტურნირი ჭადრაკში; 6. რუსთავის „ოლიმპის“ ყოფილი თავდამსხმელი ... აკინო; 8. სერბეთის საფეხბურთო კლუბი, სადაც გიორგი მერებაშვილი თამაშობს; 10. საქართველოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბე; 11. პოლანდიური „ვიტისისა“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველი; 14. ავტობოლოში: მძღოლი; 18. ტყვის მიმართულების შეცვლა რამე საგანთან შეჯახების შემდეგ; 19. ცხენის ულაგამო აღკრი; 20. ზუგდიდის „ბაის“ მცველი; 21. რუსი მოჭადრაკე, რომელსაც ნონა გაფრინდაშვილმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ჩამოართვა; 22. ძალისანთა ცნობილი მწვრთნელი... გრიგორი; 23. იახტის აცდენა კურსიდან ქარის გავლენით.

შეადგინა ლალი ჭიჭინაძე





ახსოვარი ფაქტებით

სატრანსფერო ანგარიშები

# პირლო სამი წლით იუზუში გალიანი პოატიანი და პალოსკი გამოიხადა

„მილანის“ სატრანსფერო სიახლეები იტალიურ საფეხბურთო საზოგადოებაში უდიდეს ინტერესს იწვევს. ლომბარდიული გრანდის მესვეურები უკვე შეუდგნენ აქტიურ მუშაობას და სათქმელიც ბევრი დაგროვდა. ყველაზე მთავარი სიახლე ის გახლავთ, რომ **ანდრეა პირლო** ჩაივია ტურინში და „იუვენტუსთან“ 3-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. კარგა ხნის წინ გაცხადდა, რომ ანდრეა „ბიანკონერის“ მაისურს მოირგებდა, მაგრამ კონტრაქტზე ხელის მოწერის ფაქტზე აუცილებლად უნდა გავამახვილოთ თქვენი ყურადღება. პირლოს ხელშეკრულებას სამი წლის განმავლობაში ექნება ძალა და 2014 წლის 30 ივნისს დასრულდება. ამ საკითხზე „იუვენს“ სპორტულმა დირექტორმა **ჯუზეპე მაროტამ** ისაუბრა:

„ანდრეა პირლო მსოფლიო დონის ვარსკვლავია და მისი დამატებით გუნდი საგრძობლად გააძლიერეთ. „მილანს“ სურდა ანდრეას შენარჩუნება და შესთავაზა კიდევ ახალი კონტრაქტი, თუმცა მან ჩვენთან გადმოსვლის გადაწყვეტილება მიიღო. მიზეზი? - ერთი, რომ ლომბარდიელებმა მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტი დაუდეს მაგიდაზე, თანაც შემცირებული ხელფასით და მეორე, პირლო დიდი სიმპათიით არის განწყობილი „იუვენტუსის“ მიმართ და ჩვენთან თამაშის პერსპექტივამ მოიხილა. ეს არც არის გასაკვირი, „იუვენს“ ხომ ნახევარი იტალიის ნაკრები თავმოყრილი და ანდრეას ყველანი დიდი სითბოთი მიიღებენ“.

**ადრიანო გალიანი**მ დაადასტურა, რომ პირლოს მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზა და თანაც შემცირებული ხელფასით - სწორედ ამის შემდეგ მიიღო ანდრეამ საბოლოო გადაწყვეტილება და ტურინს მიაშურა. ღიად რჩევა კიდევ ერთი ვეტერანის, **კლარენს ზედორფის** საკითხი, რომელიც პირლოსი არ იყოს, კოლოსალურ გასამრჯელოს იღებს და „როსონერის“ მესვეურებს მისი შემცირება სურთ - ამ საკითხზე გალიანი შემდეგს აცხადებს: „კლარენს უახლოეს პერიოდში შევხვდები და ყველაფერზე დეტალურად დავილაპარაკებ. დიდი სურვილი მაქვს, რომ მასთან ახალი ხელშეკრულება გააფორმოთ და იმედია, ეს ასეც მოხდება. ხელფასების შემცირების პროცესი მხოლოდ რამდენიმე ფეხბურთელს შეეხო, რომლებიც განსაკუთრებულად დიდ გასამრჯელოს იღებენ - ეს მიმდინარეობს რეფორმამ გვაიძულა, რომელიც არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ გასაყალი მეთი გვეჩვენდეს, ვიდრე შემოსავალი. რაც უნდა უსასყიდლოდ უნდოდეს სილვიო ბერლუსკონის კლუბში ფულის ჩადება, ამას



პირლო უკვე იუვენს ფეხბურთელია

უბრალოდ ვერ გააკეთებს. ამიტომ, გარკვეული ზომების მიღება საჭირო იმისთვის, რომ შემდეგ სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობი ვიყოთ“.

გალიანი „ჯენოას“ პრეზიდენტ **ენრიკო პრეციოზის**თან შეხვედრაზე ისაუბრა, რომლის შემდეგაც ბევრ კითხვას გაეცა პასუხი. მაგალითად იმას, რომ **სოკრატის პაპასტატოპულოსი** მომდევნო სეზონში „ჯენოას“ ღირსებას დაიცავს და სავარაუდოდ, **კახა კალაძეს** შეუწყვილდება დაცვის ცენტრში. ამ კლუბს რამდენიმე ფეხბურთელზე თანაბარი უფლებები ჰქონდა და გალიანის ინფორმაციით, „მილანმა“ მათი სრულად გამოსყიდვა მოახერხა - აქვე, ამ მოთამაშეების ჩამონათვალი: **ჯანმარკო ძიგონი, ნამდი ოდუამანი, მარკო ამელია, ალბერტო პალოსკი და კევინ პრინც ბოატენგი**. მოუუსმინოთ გალიანის:

„ბოატენგმა გასული სეზონი უმაღლეს დონეზე ჩაატარა და ბუნებრივია, მისი გამოსყიდვა ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანა იყო. მარკო ამელიამაც შესანიშნავად წარმოაჩინა თავი და მისი დატოვებაც ერთხმად გადაწყვიტეთ. განსაკუთრებულად მისარია ის, რომ მომდევნო სეზონში ალბერტო პალოსკიც ჩვენთან ერთად იქნება, რომელიც ძალიან ნიჭიერია და დარწმუნებული ვარ, შეტევით ხაზს საგრძობლად გააძლიერებს. თანაც, კოპა ამერიკას გამო, გარკვეული პერიოდით ალემანდრე პატოს და რობინიოს გარეშე მოგვიწევს ფონს გასვლა - სწორედ ამ დროს მიეცემა შანსი პალოსკის და მჯერა, რომ გამოიყენებს კიდევ მოკლედ, რამდენიმე კარგი საჭმე უკვე გავაკეთეთ, თუმცა მთავარი, რა თქმა უნდა, წინ გველის“.

ბოლოს, გალიანი **რიკარდო მონტოლივოს** „მილანში“ გადასვლასთან დაკავშირებით გააკეთა კომენტარი და ზღაღან იბრაჰიმოვიჩის შესაძლო გასვლის თემასაც შეეხო: „მონტოლივოს მიმართ დიდი სიმპათიით ვარ განწყობილი, მაგრამ მის გადმობირებაზე ნამდვილად არ გვიფიქრია. მიზეზი მარტივია - ფლორენციელი საყრდენ ნახევარმცველად თამაშობს, ამ პოზიციაზე კი ჩვენთან ისედაც დიდი არჩევანია. მართალია, ანდრეა პირლომ დაგეტოვა, მაგრამ სამაგიეროდ, მასიმო ამბროზინისთან და მარკ ვან ბომელთან ახალი ხელშეკრულებები გააფორმეთ. რაც შეეხება იბრაჰიმოვიჩის „რეალში“ გადასვლის პერსპექტივებს, პირდაპირ გეტყვით, რომ ეს გამოირიცხებულია“.

ლამა ნიკლაური

ნაკოლი

# დე ლაურენსის დიდი მიზნები

## ერთი მცველი, ორი ნახევარმცველი და ერთი თავდასხმელი

სერია A-ს 2010/2011 წლების სეზონი „ნაკოლისთვის“ ძალიან წარმატებული გამოდგა - მართალია, ერთი ხანობა სამხრეთელებს სასკუდეტო ამბიციებიც კი მოეძალათ, მაგრამ საბოლოო ჯამში, ჩემპიონთა ლიგის საფეხურის მოპოვებით დაკმაყოფილდნენ და ამ ფაქტითაც უზომოდ გაიხარეს. ვალტერ მაძარის კონკურენტუნარიანი გუნდი ჰყავს, მაგრამ მომდევნო სეზონში ორ ფრონტზე მოუწევს მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა, რაც გაძლიერების გარეშე ფაქტობრივად წარმოუდგენელია. სწორედ ამიტომ, იტალიელი უურნალისტები კლუბის პრეზიდენტს შეეხმიანნენ და ზაფხულის სატრანსფერო გეგმებზე, ასევე სხვა საინტერესო საკითხებზე დაეკითხნენ. ქვემოთ, აურელიო დე ლაურენტისის მოსაზრებებს გავცნობთ.



აურელიო დე ლაურენტისი

### გასული სეზონი

სეზონის წინ, ულაპარაკოდ მოვანერდით იმაზე ხელს, რომ ჩემპიონთა ლიგის საფეხური მოგვეპოვებინა, თუმცა შემდეგ სკუდეტოსთვის ბრძოლაში ჩავეებით და თამასა კიდევ უფრო ავიწყეთ. მიუხედავად ამისა, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ სამეულში მოხვდით და მომდევნო სეზონში ევროპის უმრავლესეს საკლუბო ტურნირზე ყველანაირი საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე ვიასპარეზებთ.

ერთი კონკრეტული თამაში ხშირად დასრულებულია არალოგიკური შედეგით, მაგრამ როდესაც ერთწლიანი მართონზე გვაქვს ლაპარაკი, იქ ყველაფერი ლოგიკურად ჯდება. როდესაც გასულ სეზონში ოთხხელს მიღმა დავრჩით, პირდაპირ ვთქვი, რომ ჯერ მზად არ ვიყავით ჩემპიონთა ლიგაში საასპარეზოდ,

დღეს კი განსხვავებული ვითარებაა - ჩვენ ნამდვილად დავიშახურეთ ის ადგილი, რომელიც სატურნირო ცხრილში დავიკავეთ. ასეთი შედეგი სწორმა და დაულალავმა შრომამ მოიტანა - თავის დროზე ათიანში გავარტყით, როდესაც მთავარ მწვრთნელად ვალტერ მაძარი მოვიწვიეთ, რასაც რამდენიმე წარმატებული ტრანსფერი დაემატა. ცალკე სალაპარაკო თემაა ედინსონ კავანი, რომელმაც უმნიშვნელოვანესი კონტრაქტი გაიტანა და ლომის წილი დაიდო მიღწე-

ულ წარმატებაში. ერთხელ ვთქვი, რომ ედინსონი კეთილი ჯადოქარია, რომელსაც ყველაზე რთულ ვითარებაშიც კი შეუძლია სასწაული მოახდინოს.

### ზაფხულის გეგმა

ჩემი აზრით, მინიმუმ ოთხი მაღალი კლასის ფეხბურთელი უნდა დავიმატოთ და ამ მიმართულებით აუცილებლად ვიმუშავებთ. რა პოზიციებზე? - ერთი მცველი, ორი ნახევარმცველი და ერთი კარგი ფორვარდი, რომელიც სეზონში

ორნიშნა რაოდენობის გოლებს გაიტანს. კონკრეტული გვარების დასახელების განდღეს თავს შეეკავებ, რადგან ამ საკითხზე მაძარისთან ჯერ არ მისაუბრია.

გეკპან ინლერი? - კარგი ფეხბურთელია, მაგრამ შეეჭვება, რომ ჩვენი პრობლემების გადაჭრა მოახერხოს, ასე რომ, ნაკლებად სავარაუდოა მის გადაბირებაზე ვიმუშაოთ. ჩემი აზრით, კიდევ უფრო ძლიერი მოთამაშეები გვჭირდება, რომლებიც გუნდს საგრძობლად გააძლიერებენ. ერთი სიტყვით, გეგმები სერიოზული გვაქვს და გულშემატკივრებს კარგ ტრანსფერებს ვპირდებით.

### ვალტერ მაძარი

ზემოთაც აღვნიშნე, რომ ათიანში გავარტყით, როდესაც არჩევანი მაძარიზე შევჩერეთ. იდეალურად გაუძღვა გუნდს და მიღწეულ წარმატებაში მისი როლი ნამდვილად განუზომელია. ბევრს საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ სეზონის დასრულებისთანავე დატოვებდა ნეაპოლს და ევროპული ფეხბურთის რომელიმე გრანდს ჩაუდგებოდა სათავეში. რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა, ჩვენ ახალ კონტრაქტს მოვანერეთ ხელი და ვალტერი კიდევ მინიმუმ ორი წლის განმავლობაში უთავკაცებს „ნაკოლის“.

გადანწყვეტილების მიღება არ გავგჭირვებია, პირადად შევხვდი მაძარის და ყველა იმ საკითხზე ვილაპარაკეთ, რომელიც მოცემული მომენტისთვის აქტუალური იყო. მას მართლაც ჰქონდა შეთავაზება „იუვენტუსისგან“, მაგრამ ტურინში წასვლის დიდ სურვილი არ გამოუხატავს. შეხვედრამ გულდასმით ატმოსფეროში ჩაიარა, რომლის ბოლო კორდი ხელის ჩამორთმევა და ახალი ხელშეკრულების გაფორმება გახლდათ.

ლამა ნიკლაური



### როსი ბარსაზა ალაპარაკდა

„ვილაარეალი“ იტალიელმა ფორვარდმა **ჯუზეპე როსიმ** საინტერესო განცხადება გააკეთა - ის ამბობს, რომ დიდი სიამოვნებით ითამაშებს „ბარსელონაში“. ასე რომ, ჭირი „ბარსელონას“ ინტერესის შესახებ მართლდება. ამბობენ, 24 წლის ფორვარდი უახლოეს კვირებში გადამწყვეტს მომავალი კარიერის ბედს: „ბარსელონა“ მსოფლიოს საუკეთესო გუნდია. ნებისმიერი ფეხბურთელი იქ მოხვედრას ოცნებობს და მადე შორის მეც ვარ. ძალიან ბევრს ვემუშობ, რომ მეც დავიმსახურო „ბარსაში“ თამაში“, - განუცხადა როსიმ „კატალუნია რადიოს“.

როსიმ იქვე აღნიშნა, რომ მას ჯერ არანაირი მოლაპარაკება არ გაუმართავს „ბარსელონასთან“, რომ კატალონიურ გრანდში თამაში მხოლოდ მისი სურვილია.

### ნაკარაღან მილიან

ის, რომ ურუგვაელი ვალტერ პანდიანი „ოსასუნას“ ტოვებს, გუშინაც გაუწყეთ, თუმცა ვეტერანი ფორვარდი ერთადერთი არაა, რომელიც ნაკარაღან კლუბში აღარ ითამაშებს, გუნდიდან მიდიან მცველი **ხოსენი რომერო** და ნახევარმცველი **ფერან კორინიანი**. სამივეს კონტრაქტი 30 ივნისს ეწყობება და კლუბის ხელმძღვანელობამ სამივეს აუწყა, რომ ხელშეკრულების გაგრძელებას არ აპირებს. პანდიანიმ გუშინ პამპლონაში გამოსათხოვარი პრესკონფერენცია გამართა.

### ისკვ ეპერი

„ვალენსიას“ თავკაცმა **უნი ემერი**მ კიდევ ერთი სეზონით გაახანგრძლივა კლუბთან კონტრაქტი. „უნი ემერიმ მიანლია მიზანს, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საფეხური ბევრს ნიშნავს ჩვენთვის. ის საკმაოდ ამბიციური, ჩვენ კი მიზნად ვაზრდა და უკეთესი შედეგების მიღწევა დავისახებთ“, - ვკითხულობთ „ლაპურების“ ოფიციალურ განცხადებაში.

„ბედნიერი ვარ, რომ ვაგრძელებ მუშაობას „ვალენსიაში“. ეს ხომ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია. ჩემი მიზანი, და ამაზე ხშირად მითქვამს, ყოველთვის კლუბის განვითარების პროექტის განხორციელება იყო. ჩვენ ყოველწლიურად წინ მივდივართ“, - განაცხადა უნი ემერიმ „ლაპურების“ ოფიციალურ საიტთან ინტერვიუში.

### სუსაბა საოპერაციო

ბილბაოს „ატლეტიკის“ ნახევარმცველი **მარკელ სუსაბა** საოპერაციოა. მას 5 მაისს პნევმონური შეტევა მოუვიდა, რომელიც 10 დღის შემდეგ გაუმეორდა. ექიმთა დასკვნით, ოპერაცია აუცილებელია, რომ მომავალში ფეხბურთელს გართულებები არ შეექმნას ჯანმრთელობაზე. ოპერაცია დიდ ხანს არ გავრძელებოდა, თუმცა სუსაბას გარკვეულ ხანს ვარჯიშს უკრძალებენ.

ნიკოლოზ ნაწარია



არგენტინა. კლასურა. XV ტურის მიმოხილვა

# გრონდონა, მიხედავ ბრიზუნებს და მსაჯებს! რივერი დიდ გასაჭირშია



არეულობები ტრიბუნებზე, არგენტინის პირველობის მთავარი პრობლემა

<b>ნიუელსი-ოლ გოისი</b>	<b>1:0</b>
გოლები: 1:0 სკიავი (28)	
გაძევება: ჯილიოტი (90, ოლ ბოისი), ფი-დელევი (90, ნიუელსი)	
<b>ბანფილი-გოლოი კრუსი</b>	<b>1:1</b>
გოლები: 1:0 აჩუკარო (16), 1:1 სივალი (59)	
გაძევება: სივალი (69, გოლოი კრუსი)	
<b>ტიგრე-ლანუსი</b>	<b>0:3</b>
გოლები: 0:1 რომერო (16), 0:2 რომერო (50), 0:3 რომერო (56)	
<b>არსენტინოსი-ოლივო</b>	<b>0:1</b>
გოლი: 0:1 აგირე (84)	
<b>ურაკანი-სტუდენტისი</b>	<b>გადაწილი</b>
<b>ინდეპენდიენტა-კოლონი</b>	<b>3:1</b>
გოლები: 1:0 პარა (19), 2:0 პ. როდრიგესი (22), 2:1 ფურტესი (63), 3:1 სილვერა (85)	
<b>კილმისი-რასინგი</b>	<b>2:0</b>
გოლები: 1:0 კაუტერუკო (55), 2:0 კანეო (74)	
<b>ველესი-სამარინა</b>	<b>2:0</b>
გოლები: 1:0 ს. სილვა (25), 2:0 მორალესი (81-პენ)	
<b>რივერი-სან ლორენსო</b>	<b>1:1</b>
გოლები: 1:0 კარუსო (29), 1:1 ფერარი (74)	
გაძევება: ხიმენესი (88, სან ლორენსო)	
<b>არსენტინა-ბოკა</b>	<b>2:2</b>
გოლები: 1:0 ობოლი (23), 1:1 ვიატრი (53), 2:1 ლ. ლოპესი (60), 2:2 მოურე (81)	

არგენტინის მორიგი ჩემპიონატის დასრულებამდე 4 ტურიდან რჩება და ჩემპიონობის მანის (ზოგს პრაქტიკული, ზოგს მხოლოდ თეორიული) პრიმერადი-ვიზიონის 20 მონაწილედან 15-ს ვერ კი-დევე შერჩა! აი, ასე დაძაბულად მიმდინარეობს კლასურა სამხრეთ ამერიკის ამ ქვეყანაში. მოდი, მე-15 ტურის საინტერესო პერიოდები შევჯავმოთ...

## ტურის მოვლენები

„ველეს სარსილი“ უახლოეს მდევარს სამი ქულით უსწრებს. ლიდერმა „ხიმენასიას“ ბრძოლაში, მაგრამ დამაჯერებლად მოუგო. შეგახსენებთ, რომ სწორედ „ხიმენასია“ ის გუნდი, რომელთანაც საბედისწერო ფრემ „ველესს“ აპურტურა არ მოაგებინა. ამჯერად, მასპინძლებს ნახევარი წლის წინანდელი შეცდომები არ გაუმეორებიათ.

პრიმერაში ერთი მატჩი ჩაიშალა - „ურაკანი“-„ესტუდიანტისი“. 32-ე წუთზე, როცა სტუდენტები 2:0-ს იგებდნენ, ტრიბუნებზე დიდი არეულობა დაიწყო და შეხვედრის არბიტრმა დელფინომ თამაში შეწყვიტა. რამდენიმე წუთში ყველაფერი კი ჩანყნარდა, მაგრამ მსაჯმა თამაშის განახლება მაინც აღარ გარისკა. ახლა გრონდონას სწორად აკრიტიკებენ, ზოგი რის და ზოგი რის გამო, ბოლო ხანს „რივერ პლეიტის“ ხელმძღვანელები არგენტინის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტს „ბოკა ხუიორსის“ მიმართ სიმპათიებში ამხელენ, თუმცა, ჩვენი აზრით, გასაპროტესტებელი სწორედ ესაა - ხულო გრონდონამ მმართველობის 32 წლის განმავლობაში არათუ ვერ აღკვეთა არეულობები არგენტინის საფეხბურთო სტადიონებზე, არამედ, არც კი უცდია. „რივერ პლეიტამ“ ვერ მოიგო და კვლავ გასაგარდნი პლეი ოფის ზონაში იმყოფება (მოუხედავად იმისა, რომ კლასურაზე მე-5 ადგილზეა და ლიდერს მხოლოდ 7 ქულით ჩამორჩება). მისმა კონკურენტმა „ოლიმპომ“ მოიგო და შედეგად სახეზეა. მომდევნო ტურში სწორედ ეს გუნდები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს და უშუალო შეხვედრა ბევრ რამეს გადანყვეტს.

## ტურის ციფრები

9 მატჩში 21 გოლი გავიდა (საშუალოდ 2,33 გოლი შეხვედრაში). 12 გოლი მასპინძლების ანგარიშზეა, 9 სტუმრების. ბუნებრივია, აქ „ესტუდიანტისის“ მიერ გატანილი 2 გოლი არ მიგვიტოვია, რადგან ის მატჩი ჩაიშალა. დღეობი არავის შესრულება, თუმცა გვყავს შუთ თრიკის ავტორი - სილვიო რომერო. „ლანუსის“ ფორვარდი სეზონის მეორე შუთ თრიკის ავტორია „ტიგრეს“ შემტევი დენის სტრაკვალურსის შემდეგ. სხვათა შორის, დენის დიდი ხანია არ გაუტანია, თუმცა ბომბარდირთა დევაში ტოუ გუტიერესთან ერთად 9-9 გოლით ლიდერობს.

## ტურის მატჩი

**ინდეპენდიენტა VS კოლონი**  
მართლაც ბრწყინვალე მატჩი გამოვიდა, რომელიც მასპინძელთა გუნდმა 3:1 მოიგო, შესანიშნავი ინტრიგა მატჩში, ბრწყინვალე გოლები. მოკლედ, ყველაფერი იყო, რაც ფეხბურთს ამშვენებს.

## ტურის გმირი

**პატრისიო როდრიგესი**  
„ინდეპენდიენტის“ ლიდერმა აჯობა ისეთ კონკურენტს, როგორც შუთ თრიკის ავტორი რომეროა. „პატიტო“ ბრწყინვალე ფორმაშია. წინა ტურში მან მეტოქის კარში საოცარი გოლი გაიტანა, გზად ორი მცველი და მეკარე მოატყუა. როდრიგესმა ახლაც გაიტანა, შედარებით ნაკლებ ეფექტური გოლი, მაგრამ ახლა საგოლე პასიც მიითვალა.

## ტურის სკანდალი

ასეთი ამ ტურში ორი იყო, პირველზე უკვე დავხსენეთ - მატჩი არეულობის გამო ჩაიშალა. მეორის „შემოქმედი“ კი „ბანფილი“-„გოლოი კრუსის“ მატჩის არბიტრი საულ ლავერნია. ის ამ შეხვედრაში სამჯერ შეცდა უხეშად და სამივეჯერ „გოლოი კრუსის“ წინააღმდეგ: 1. არ ჩათვალა ვილიარის გოლი, ბურთი ხარისხის მოხვდა და შემდეგ კარის ხაზს უკან დაეშვა; 2. სრულიად უმიზეზოდ გააძევა გოლის ავტორი ლეანდრო სივალი; 3. არ დადო ნაღდი პენალტი ნავაროს ნაქცევითვის. თამაშის შემდეგ ლავერნიმ ორი შეცდომა აღიარა: გოლი უნდა ჩამეთვალა და პენალტიც უნდა დამედო, მაგრამ არაფრით ახსნა, რატომ გააძევა სტუმართა ნახევარმცველი. ამით მსაჯმა „გოლოი კრუსს“ საჩემპიონო რბოლაში შანსები ძალიან შეუმცირა.

## ტურის კურიოზი

„რივერ პლეიტის“ გოლკიპერი ხუან პაბლო კარისო მთლად „აიჭრა“. ზედიზედ მეორე ტურია ის უხეშად ცდება. წინაზე ის „სუპერკლასიკოზე“ შეცდა, ახლა - „კლასიკოზე“. სტუმარმა ჯონათან ფერარიმ ძალიან შორიდან დაარტყა, მაგრამ კარისომ ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა. თამაშის შემდეგ გოლკიპერი ტრიბუნებმა სტვენით გააცვილეს, რასაც მანაც უკმაყოფილო შესტიკულაციით უპასუხა და მცირე დებოში მოაწყო, სანამ გასახდელში ჩავიდოდა.

„ურაკანის“ მეკარე გასტონ მონსონს კარგი რეპუტაცია აქვს, თუმცა ამ ტურში მან ძალზე უხეშად შეცდომა დაუშვა, როცა ჩანოდეტულ ბურთს ვერ მისწვდა და მეტოქის ფორვარდს გაატანა.

## ტურის გოლები

სანტიაგო სილვა (ველესი): პირველი გოლი „ხიმენასიას“ კარში.  
პატრისიო როდრიგესი (ინდეპენდიენტი): მეორე გოლი „კოლონის“ კარში.  
ლეანდრო კარუსო (რივერი): პირველი გოლი „სან ლორენსოს“ კარში.

## გავარდნის კლასიფიკაცია

გუნდი	კოეფიციენტი
14. ოლივო	1,264
15. არსენტინა	1,263
16. ტიგრე	1,263
17. რივერი	1,254
18. ურაკანი	1,119
19. ხიმენასია	1,109
20. კილმისი	1,029

პრიმერა B-დან ელიტაში აღზევების უფლება უკვე მოიპოვა „ატლეთიკო რაფაელუმ“. კარგად მიდის სანტა-ფეს „უნიონის“ საქმეებიც.

## ველესი ორ ფრონტზე

„ლიბერტადორესის“ თასზე წინ ნახევარფინალშია და იქ მხოლოდ ერთი არგენტინული კლუბია - „ველესი“.

## ყველა გზა რომში მიდის?

„რივერ პლეიტის“ გამთამაშებელი ერიკ ლამელა ახლოსაა „რომში“ გადასვლასთან. რომელი კლუბის სპორტული დირექტორი ვალტერ საბატინი სამხრეთ ამერიკაში იმყოფებოდა და „რივერისა“ და „სან ლორენსოს“ თამაშსაც დაესწრო. ფეხბურთელების მამამ განაცხადა, რომ საბატინის მის შვილს აკვირდებოდა. ვალტერ საბატინი მოკლე კომენტარით შემოიფარგლა: „ლამელას თამაში მომწონა“.

„ველესმა“ გამოაცხადა, რომ სურს რიკი ალვარესის შენარჩუნება, მაგრამ თუ მისი ნახვლა მაინც გადანყვეტილია, არგენტინული კლუბი ლონდონის „არსენალს“ ალვარესის ნახაცვლოდ 14 მილიონ ევროს მოსთხოვს.

## ტურის სიგოლური ნაპრაბი

GOALCOM 3-4-1-2

**ლაუარანო ტომასონი** (ოლიმპო) - **ლი-სანდრო ლოპესი** (არსენტინა), **ალექსის ვარა** (რივერი), **როლანდო სანიანი** (ნიუელსი) - **გვიმო პისარო** (ლანუსი), **მაურო კამპარანსი** (ლანუსი), **მარტინ ბაიჩა** (ოლიმპო), **ვიტორ სანაბა** (ველესი) - **მიგელ კანეო** (ოლიმპო) - **სანტიაგო სილვა** (ველესი), **სილვიო რომერო** (ლანუსი).

	მ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ველესი	15	9	3	3	29-14	30
2. ბოლივო	15	8	3	4	27-22	27
3. არსენტინა	15	7	5	3	22-13	26
4. ოლივო	15	7	4	4	26-20	25
5. რივერი	15	6	5	4	12-11	23
6. ინდეპენდიენტა	15	5	7	3	22-17	23
7. რასინგი	15	7	1	7	21-18	22
8. არსენტინოსი	15	5	7	3	12-9	22
9. ბოკა	15	6	4	5	18-17	22
10. სან ლორენსო	15	5	5	5	17-13	20
11. ტიგრე	15	5	5	5	20-21	20
12. კოლონი	15	6	2	7	18-22	20
13. ესტუდიანტისი	14	5	4	5	14-15	19
14. ბანფილი	15	5	4	6	16-20	19
15. ოლ გოისი	15	5	4	6	11-15	19
16. კილმისი	15	4	4	7	20-23	16
17. არსენტინა	15	3	6	6	20-21	15
18. ხიმენასია	15	3	6	6	15-20	15
19. ურაკანი	14	2	5	7	14-27	11
20. ნიუელსი	15	3	2	10	14-30	11

ბომბარდირები: 9 - სტრაკვალური (ტიგრე), გუტიერესი (რასინგი); 8 - ფურტესი (კოლონი), კამპარანსი (ურაკანი); 7 - ობოლი (არსენტინა).

## მოვლენა გარი

28 მარტი: კოლონი-არსენტინოსი, სან ლორენსო-არსენტინა, ოლ ბოისი-კილმისი, რასინგი-ბანფილი. 29 მარტი: ტიგრე-ველესი, ესტუდიანტისი-ინდეპენდიენტი, ბოკა-ნიუელსი, ოლიმპო-რივერი. 30 მარტი: ლანუსი-ურაკანი, გოლოი კრუსი-ხიმენასია.

## ამბები

### სანტიაგო სილვა

მაღრიდის „ატლეთიკოს“ 22 წლის არგენტინელი ფორვარდი სერხიო აგუერო კლუბს სთხოვს, პატივი სცეს მის გადაწყვეტილებას და გაუშვას სხვა გუნდში. შეგახსენებთ, რომ ორი-ოდე დღის წინათ, პრიმერადივიზიონის დასრულებისთანავე, აგუერომ თავის ეგზიტივს დაწერა, რომ „ატლეთიკოდან“ ნახვლა გადაწყვიტა. ამ განცხადებას მადრიდულ კლუბში ცუდად შეხვდნენ, თუმცა ფეხბურთელი დანებებას არ აპირებს და ამბობს, რომ „ატლეთიკოს“ მაისურით ბოლო თამაშში უკვე ითამაშა. ამ სეზონში აგუერომ ყველა შეჯიბრებაში ჯამში 26 გოლი გაიტანა, რითაც ათლეტა საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

და, სად მიდის აგუერო? სახელე-ბენ ინგლისურ ვარიანტებს, თუმცა მისმა ჩეხმა თანაგუნდელმა ტომას უიფალუმ „რადიო სპორტივას“ საინტერესო რამ უთხრა - აგუეროს სურვილი „სამეფო კლუბში“ თამაში ყოფილა: „უკვე სამი-ოთხი თვეა ვიცო-დით ბიტემბა, რომ მას ნახვლა სურს. აგუეროს ერთი სული აქვს, როდის მო-ირგებს „რეალის“ მაისურას. არ ვიცი, ჩვენ ხომ დიდი შეხლა-შემოხლა გვაქვს „რეალთან“. ყველა შემთხვევაში, ეს ფეხბურთელისთვის ძალზე რთული გადაწყვეტილებაა“, - დაძინა ჩეხმა მცველმა. შეგახსენებთ, რომ ინგლისში ყველაზე მეტად არგენტინელის შე-ძენა „ჩელსის“ სურს, იტალიაში კი - „ინტერს“ და „იუვენტუსს“.

## ... ფორლანს

ახლა კუნ აგუეროს მენყვილე დი-ეგო ფორლანის ტრანსფერზეც ვთქვათ - უკვე ცნობილია, რომ არაბუ-ლი „ალ ვასლი“ დაინტერესებულია მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთე-ლით. შეგახსენებთ, რომ ახლახან „ალ ვასლიმ“ დიეგო მარადონა დაინიშნა, რომელსაც ძალიან სურს თავის გუნდ-ში ვეტერანი ფორვარდი იხილოს. არა-ბული კლუბი აცხადებს, რომ თავად ურუგვაელსაც სურს „ალ ვასლიმ“ გა-დასვლა, ამიტომაც „ატლეთიკოს“ მე-ორე, გაუმჯობესებულ ნინადადება შესთავაზეს ურუგვაელის სანაცვ-ლოდ. არაბები აცხადებენ, რომ ეს ბო-ლო მცდელობაა, „ალ ვასლი“ ესპანელებს მეტ ნინადადებას აღარ შესთავაზებს - ლაპარაკია, ერთწლიან იჯარაზე. ამბობენ, დღე-ღამე ფორ-ლანი დუბაიში ჩავაო...

## ლასარბა

### ოფიციალურად

„რეალ სოსიედადმა“ უკვე ოფიცია-ლურად გამოაცხადა, რაც ჭორის დო-ნეზე ბევრმა იცოდა - კლუბი დატოვა მთავარმა მწვრთნელმა მარტინ ლა-სარტემ, მას მერე, რაც გუნდს ბოლო ტურში შეუნარჩუნა პრიმერადივი-ზონში თამაშის უფლება. 50 წლის სპე-ციალისტი ბასკეთში 2009 წელს მივიდა. სწორედ, მისი ხელმძღვანე-ლობით დაბრუნდა „რეალ სოსიედადი“. ესპანური ფეხბურთის ელიტაში. სე-ზონიც კარგად დაიწყო, მაგრამ ძალე-ბი არ ეყო და კინაღამ ისევ სეგუნდაში გავარდა.

ბასკები თავისუფალი აგენტის სტატუსით ათავისუფლებენ ნახევარ-მცველ დიეგო რივასს და ფორვარდ რაულ ტამუდოს. ტამუდო სან სებას-ტიანში ამ სეზონის წინ გადავიდა, რი-ვასი კლუბში 2006 წლიდან ირიცხებოდა.


გვერდი მოაგზავნა ნიკოლოზ ნაჭარიძემ





უახლოესი სკოლა

კალათბურთი



სახიფათო სტივლ ცენტრი

ჯეიმსონის უახლოესი იკონი?

კვლავაც ახალი მწვრთნელის ძიებაშია „ლოს აჯელეს ლიგის“...

„ზუსტი ცნობილია, რომ „ლიგის“ ახალი დამრიგებელი იმაზე გაცილებით...

2009-10 წლების სეზონში ლეგენდარული მწვრთნელი 12 მილიონ დო-

ლარზე მეტს იღებდა, ნელს კი ჯამაგირი 10 მილიონამდე შემცირდა...

კალიფორნიული კლუბის ხელმძღვანელობას ამ დღეებში სხვა თავსატეხიც გაუჩნდა...

მშობლებს ვერ შეძლეს, რომ არენა არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ნორმებს...

კრიკი

ოქროს ბიჭი ნარკომაგია?

ლემბენდარულმა ამერიკელმა მოკრივემ ოსკარ დე ლა ჰოიამ საკუთარ გულშემატკივრებს...

დე ლა ჰოიამ გულშემატკივრებს „ტვიტერის“ ვებგვერდის მეშვეობით ორენაზე მიმართა...

და, როგორც პიროვნება, გამოჯანმრთელების შემდეგ კი კიდევ უფრო ძლიერი ადამიანი გახდება.

პირველი ცნობა „ოქროს ბიჭის“ (დე ლა ჰოიას მეტსახელი) სარეაბილიტაციო ცენტრში მოხვედრაზე გასული კვირის ბოლოს გაერცხლდა...

38 წლის დე ლა ჰოია ექვს წონით კატეგორიაში იყო მსოფლიოს ჩემპიონი...

ახსებები

კალათბურთი

ბარსას ილიასოვას დაბრუნება უნდა

„მელბორნის“ 24 წლის ფორვარდი ერსან ილიასოვა ზაფხულში, შესაძლოა, ბარსელონას რიგებს დაუბრუნდეს...

თავად კალათბურთელი, რომლის კონტრაქტი „ბაქსთან“ მომავალ ზაფხულამდეა...

პორტლენდმა გენერალური მენეჯერი დაითხოვა

„პორტლენდის“ გენერალური მენეჯერი ბილ ვან პარკი დაითხოვეს...

ჩოს ადგილს ახლა ჩად ბუშნანი დაიკავებს, ვისაც აქამდე კლუბის სკაუტთა განყოფილება ებარა...

აპროსაოგები

რაიკონენი ექსპერიმენტებს ახორციელებს

ფინელ კიმი რაიკონენს გატაცებად ექცა სარბოლო სერიების ცვლა...

რაიკონენი საჯაროდ NEMCO-ში „ტოიოტას“ ბოლიდით გამოვა.

კალათბურთი. NBA კლუბი ოფი. 1/2 ფინალი

ფინალი თითქმის სწორილია

პირველ საკალათბურთო ასოციაციაში კონფერენციების ფინალები თითქმის ერთნაირი სცენარით ვითარდება...

მეოთხე მატჩის დასაწყისში „ჩიკაგო“ ტრადიციას არ უღალატა და პირველივე წუთებიდან მკაცრი დაცვით თამაშის სადავების ხელში ატარებდა...

მეორე მეოთხედის დასაწყისი უკვე „მაიამის“ დარჩა. ფლორიდელმა 9:0 კატეჯევა მოახერხა...

თუ როუზის თემას ვაგაგრძელებთ, უნდა ითქვას, რომ სინამდვილეში „ჩიკაგოს“ ლიდერის ეფექტურობა კვლავ დაბალი იყო...

თუ როუზის თემას ვაგაგრძელებთ, უნდა ითქვას, რომ სინამდვილეში „ჩიკაგოს“ ლიდერის ეფექტურობა კვლავ დაბალი იყო...

დიდი შესვენების შემდეგ სტუმრები ისევ აქტიური დაცვას ატარებდნენ...

„ბულზი“ ისევ წინ გაიჭრა, თუმცა მ-ტულიანი ჰანდიკაპის პირობებშიც რთული იყო იმის თქმა...

პირველი ექვსი წუთის განმავლობაში ტიბოდოს შეგირდები დიდი გაჭირვებით იგერიებდნენ მეტოქის შეტევებს...

თუმცა მეოთხე მეოთხედის დარჩენილ დროში დერიკ როუზს ორჯერ შეეძლო გამარჯვების მომტანი ტყორცის ჩაღებვა...

ლებრონმა 35 ქულა დააგროვა



კლივლენდმა ირვინგი პირიქი?

ასლოვდებუ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დრაფტი და ექსპერტები სულ უფრო აქტიურად განიხილავენ ახალბედათა ლატარიის მომავალ პირველ ნომერს...

სახელდება რამდენიმე კანდიდატი, თუმცა ამ საკითხს ოდნავ მოჰფინა ნათელი „კავალიერის“ ერთ-ერთი ნარმომადგენლის მინიშნებამ...

დრაფტი პირველ ნომრად, სავარაუდოდ კაირი ირვინგს აირჩევს.

ერთადერთი პრობლემა, რამაც შეიძლება ხელი შეევიძლოს, ირვინგის ხშირი ტრავმანობაა...

დრაფტის პირველი ნომერი?



ასე გადავიდა თამაში ოვერტიმში, სადაც ფსიქოლოგიური უპირატესობა „მაიამის“ მხარეს იყო...

„მაიამი“ რვა ქულით მოიგო ოვერტიმში და სერიაში 3:1 დანინაურდა...

Table with 2 columns: Player Name and Points. Includes names like James, Wade, etc.

სერია: 3-1



კლივლენდმა ირვინგი პირიქი?

ირვინგი 19 წლისაა და დიუკის უნივერსიტეტში გამომავალის პოზიციასზე თამაშობდა.

დაახლოებით ცნობილია მომავალ დრაფტზე „ნიუ იორკ ნიქსის“ პრიორიტეტი...

ფარადი მონაგარის რაოდენობით - ჯამში მის ანგარიშზე 1673 მოხსნა მოდის...


„ის ფარველ ბრძოლის დიდი სპეციალისტია. მოზღვავებული ენერჯია აქვს, რის გამოც მეორე ბენ უოლასსაც კი უწოდებენ...

გვერდი მომავალად გაიშვება



ჰოკეი. NHL კლბი ოფი. 1/2 ფინალი

არის პირველი ფინალისპი



ვანკუვერ კენაქსი რეგულარულ ჩემპიონატსა და პლეი ოფში ნაჩვენები თავისი გათვალისწინებით, მთლიანად სასაბურთაო სტენლის თასის ფინალში გასვლას...

ნალში გავიდა, მაგრამ იქ მისიხანე „ნიუ იორკ რეინჯერსთან“ დამარცხდა. შესაძლოა, ნახსი ნელს გატეხონ, ოღონდ ამჯერად არა „რეინჯერსს“...

და „ზვიგენები“ „კენაქსის“ გამუდმებულ შეტევებს იგერიებდნენ, თუმცა თავადაც არაერთ მომენტს ქმნიდნენ. საბოლოოდ, მოხდა ის, რამაც სტუმრებს ნამდვილი შოკი მოჰგვარა.

საფინალო სირენამდე 14 წამი რჩებოდა, როცა გაიბრწყინა ბოლო მატჩებში შეუჩერებელმა რაიან კესლერმა. მეორე ტაიმში ტრავმის მიღების მიუხედავად, გულადი ამერიკელი ყინულზე დაბრუნდა და უდიდესი როლი ითამაშა მატჩისა და სერიის საბოლოო შედეგზე.

„მარქსისთვის“ ეს ჯერ ნოკდაუნი იყო, ნოკაუტი შემდეგ მოხდა - მეორე ოვერტიმში. ალექსანდრ ედლერმა ტრიბუნების დამცავ მუშას მოარტყა მაინა, რომელიც უცნაური რიკოშეტით პირდაპირ კევენ ბიექსას მიუვიდა.

„სან ხოსე“ გამოეთხოვა არსებობის ისტორიაში პირველი ტიტულის მოპოვების შანსს, „ვანკუვერმა“ კი სტენლის თასისკენ მორიგი დიდი ნაბიჯი გადადგა. კანადელს ნინ მთავარი მატჩები უფრო, მანამდე კი დასვენების საშუალება აქვთ - იქამდე, სანამ „ბოსტონისა“ და „ტამპა ბეის“ სერია არ მორჩება.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Vancouver Canucks 3:2 (2OT) and San Jose Sharks 1:0 (0:1, 1:1, 0:0, 1:0).

ველოსპორტი. ჰირო დ'იტალია

ალბერტო კონტადორი ყველაზე დომინირებს

ესპანელმა ვარსკვლავმა ალბერტო კონტადორმა მოიგო სამი ინდივიდუალური რბოლა და თითქმის გაინაღდა ჯირო დ'იტალიაზე გამარჯვება. მე-16 ეტაპი ბელუნოსა და ნევეგალს შორის მხოლოდ 13 კილომეტრს შეადგენდა, თუმცა სიმაღლეებს შორის სხვაობა 600 მეტრი იყო...

ესპანელი რბოლის დიდი ნაწილი სკამიდან დგებოდა და მკვეთრად უმატებდა ტემპს - შედეგად ის აღმართზე პეველასავით „მეფრინდა“. ბოლო მონაკვეთზე ალბერტოს თითქმის გაუჭირდა, მაგრამ ფინიშიზე მისი ნახევარწუთიანი უპირატესობა დაფიქსირდა.

უკანასკნელად გენერალური კლასიფიკაციის ლიდერის ასეთი უპირატესობა 2006 წელს ვიხილეთ, როცა ივან ბასომ მინიმალური შანსიც არ დაუტოვა თავის კონკურენტებს. ამჯერად იგივე გააკეთა კონტადორმა და როგორც ზემოთ ვთქვით, პრაქტიკულად, გაინაღდა ნლეგანდელ ჯიროზე პირველობა.

Table with 2 columns: Stage and Winner. Stage 1: Albet Puigdemont; Stage 2: Zdeněk Štybar; Stage 3: Michele Scarponi; Stage 4: Niki Terpstra; Stage 5: Mark Cavendish; Stage 6: Mark Cavendish.

Table with 2 columns: Rider and Time. Alberto Contador: 62:43.37; Michele Scarponi: +4.58; Zdeněk Štybar: +7.23; Niki Terpstra: +9.18; Mark Cavendish: +9.22.

გვერდი მოაგზავნა გია თვალაპივილი

სამაგიეროდ, „მთის მეფის“ მაისურის მფლობელი სტეფანო გარცელი ბრწყინვალე იყო და ის გარკვეული ხნით საშუალებდო ლიდერი გახდა. მის დროს ვერაფერი მოუხერხებ ჩვენს რომან კროიციგერმა და რუსმა დენის მენშოვმა, თუმცა ეს გამოუვიდა ვენსუელელ ხოსე რუხანოს. ის ძალიან ახლოს იყო ამ ჯიროზე მეორე ეტაპის მოგებასთან - მისთვის მხოლოდ რბოლის სამ მთავარ ფავორიტს შეეძლო ხელი შეეშალა.



ვინჩენცო ნიბალიმ ყველაზე კარგად გაიარა სწორი მონაკვეთი, იმ დროს, როცა კონტადორი სიფრთხილეს იჩენდა და თავის მთავარ კონკურენტს 13 წამით ჩამორჩებოდა. ფინიშამდე სამი კილომეტრით ადრე ნიბალიმ ძალიან ძლიერად დაიწყო აღმართზე ასვლა, მაგრამ ბოლოს მისმა იერიშმა კლება იწყო. მიუხედავად ამისა, იტალიელმა რუხანოს დროის გაუმჯობესება შეძლო და მიკელე სკარპონის შემოტევისა და გაუძლო. მაგრამ დისტანციაზე რჩებოდა რბოლის ლიდერი კონტადორი.

სხელი საზი

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Vancouver Canucks 1:3, Boston Bruins 4:2, etc.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Vancouver Canucks 1:1, Boston Bruins 2:2, etc.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Vancouver Canucks 1:0, Boston Bruins 0:2, etc.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Vancouver Canucks 2:4, Boston Bruins 1:2, etc.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Vancouver Canucks 3:0, Boston Bruins 2:0, etc.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Vancouver Canucks 0:4, Boston Bruins 0:0, etc.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Vancouver Canucks 0:2, Boston Bruins 5:1, etc.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Vancouver Canucks 0:3, Boston Bruins 0:3.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Vancouver Canucks 4:1, Boston Bruins 2:1, etc.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Vancouver Canucks 0:2, Boston Bruins 0:2.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Vancouver Canucks 1:3 (1:5), Boston Bruins 1:3 (1:5).

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Vancouver Canucks 2:5, Boston Bruins 3:0, etc.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Vancouver Canucks 1:0, Boston Bruins 1:2, etc.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Vancouver Canucks 1:2, Boston Bruins 1:0, etc.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Vancouver Canucks 1:0, Boston Bruins 0:0, etc.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Vancouver Canucks 4:3, Boston Bruins 2:1.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Vancouver Canucks 2:1, Boston Bruins 1:0.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Vancouver Canucks 1:0, Boston Bruins 1:0.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Vancouver Canucks 0:3 (0:1), Boston Bruins 0:1, etc.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Vancouver Canucks 0:1, Boston Bruins 0:3.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Vancouver Canucks 3:0, Boston Bruins 2:0, etc.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Vancouver Canucks 4:1, Boston Bruins 1:0.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Vancouver Canucks 52:68, Boston Bruins 84:61.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Vancouver Canucks 69:59, Boston Bruins 62:81.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Vancouver Canucks 57:79, Boston Bruins 96:71, etc.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Vancouver Canucks 96:71, Boston Bruins 80:94.

TV პროგრამა


Table with 2 columns: Time and Program Name. Includes 10:00 იტალიის ჩემპიონატი, 12:00 გერმანიის ჩემპიონატი, etc.

Table with 2 columns: Time and Program Name. Includes 12:15 ჩოგბურთი, 13:15 ჩოგბურთი, etc.





# სუპერგაზრის პოლარისი



## ფორმულა 1-ის სპონსორი გაუჯავრდა

მას შემდეგ, რაც ესპანეთის გრანპრისზე „ფერარი“ ერთი წრით ჩამორჩა „რედ ბულის“ და „მაკლარენის“ ბოლოდებებს, „სკუდერიას“ რიგებში სიტუაცია ძალიან დაიძაბა. გუშინდელ ნომერში დაგვიწერეთ, რომ იტალიური საჯინოს ხელმძღვანელობამ ახალ სეზონში ნარუმბატელები სტარტი ნაწილობრივ გუნდის ტექნიკურ დირექტორ ადლო კოსტას გადააბრალა და ის თანამდებობიდან გაათავისუფლა.

თუმცა „ფერარის“ პრობლემები მხოლოდ ამით არ ამოიწურება. შეგახსენებთ, რომ ბარსელონაში პირველი პრაქტიკის შემდეგ „სკუდერიას“ აუკრძალეს უკანა ანტიფრთის გამოყენება, რადგან ის არ შესაბამებოდა რეგლამენტს. „ფერარის“ პრეზიდენტმა ლუკა დეი მონტეემოლომ განაცხადა, რომ

უახლოეს დღეებში გააკეთებს კომენტარს ამ ფაქტთან დაკავშირებით.

„ახლა არაფერს ვიტყვი, მაგრამ უახლოეს დღეებში ელოდეთ ჩემგან კომენტარს“, - ამბობს დი მონტეემოლო.

გარდა ამისა, ესპანური გამოცემა AS იტყობინება, რომ „ფერარიზე“ სერიოზულ ზეწოლას ახდენს მისი მთავარი სპონსორი - ბანკი „სანტანდერი“, რომლის ხელმძღვანელს ემილიო ბოტინს ესპანეთის გრანპრის დროს სერიოზული ლაპარაკი ჰქონდა „სკუდერიას“ ბოსთან სტეფანო დომენიკალისთან.

„ეჭვარეშა, რომ 2012 წელს „ფერარიში“ საპასუხისმგებლო პოსტებზე ახალი ხალხი იმუშავენ“, - დაწერა თავის ბლოგში ბრაზილიელმა ჟურნალისტმა ლივიო ორიკომ.

## მონაკოში ორი პიკსაპი იქნება



მონაკოში ყველაფერი მზადაა

ამასობაში, ახლოვდება მონაკოს გრანპრი, რომლისთვისაც გუნდებთან ერთად საბურავების მწარმოებელი კომპანია „პირელიც“ ემზადება.

როგორც იცით, „პირელის“ მისამართით კრიტიკის დიდი ტალღა აგორდა იმის გამო, რომ საბურავი სწრაფად გამოდის მწყობრიდან. ამიტომაც პილოტებს ერთი რბოლის განმავლობაში ოთხჯერ უწევთ ბოქსებში შესვლა საბურავების გამოსაცვლელად. მაგრამ კომპანია „პირელის“ სპორტული სექტორის შეფი პოლ ჰემბრი დარწმუნებულია, რომ უკვე მონაკოში ავტომობილებს მხოლოდ ორი პიტსტოპის შესრულება მოუწევს.

„მონაკოში საკმაოდ რთული ტრასაა ბევრი ნელი მოსახვევით, რის გამოც ავტომობილებს ხშირად მოუწევთ მაქსიმალური აჩქარების გაკეთება. ამიტომაც

მოვამზადებ სუპერბილი საბურავები, რათა სისწრაფე გაიზარდოს. მაგრამ ამის მიუხედავად, დარწმუნებული ვარ, რომ ცვეთა ზომიერი იქნება, რაც პილოტებს მხოლოდ ორი პიტსტოპის საშუალებას მისცემს“, - განაცხადა პოლ ჰემბრი.

მონაკოსთან დაკავშირებით კიდევ ერთი სახალე ის არის, რომ ჩემპიონატის ამ ეტაპზე ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ შეზღუდა მოძრავი უკანა ანტიფრთის (DRS) გამოყენება.

კერძოდ, აკრძალული იქნება DRS-ის გააქტიურება მონაკოს ტრასის გვირაბში, ამასთან, თავისუფალი პრაქტიკისა და კვალიფიკაციის დროს შესაძლებელია ამ სისტემის გამოყენება დანარჩენ მონაკოებზე.

ეს შეზღუდვა თავად სპორტსმენთა თხოვნის შესაბამისად განხორციელდა, რადგან მიაჩნდათ, რომ DRS-ის გამოყენება გვირაბში სახიფათო იქნება - ტრასის ამ მონაკოებზე მანქანებს არ ჰყოფნით მოჭიდების ძალა მტვერის გარკვეული ფენის გამო.

რაც შეეხება რბოლის დროს DRS-ის სისტემის გამოყენებას, კვირას უკანა ანტიფრთის გააქტიურება მხოლოდ სტარტი-ფინიშის სწორ მონაკოებზე იქნება შესაძლებელი.

## ფაქტობრივად დაბრკობის სისტემა შეიქმნა

საინტერესოა გადამწყვეტილება მიიღო ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ - ის პილოტებისთვის სანქციების შემოღების ახალ ნებს შეეხება. ადრე პილოტს შეეძლო რაიმე ინციდენტის გამო გაფრთხილება მიეღო და ამის იქით საქმე არ მიდიოდა.

სიტუაცია ბრიტანეთის გრანპრის შემდეგ შეიცვალა, სადაც შემოიღებენ ე.წ. „დაგროვების სისტემას“ - თუ პილოტი სეზონის განმავლობაში სამ გაფრთხილებას დააგროვებს, მას მომ-

დევნო ეტაპზე ხუთი პოზიციით დაქვეითებენ სასტარტო ბილიკზე. ამასთან, ჯარიმა გამოიწვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამიდან ორი გაფრთხილება პილოტისთვის იქნება მიღებული.

უახლოეს მომავალში შესწორებას დაამტკიცებს ფორმულა 1-ის კომისია და მსოფლიოს საავტომობილო საბჭო. ჯარიმის დაწესებისას არ გაითვალისწინებენ ბრიტანეთის გრანპრის მიღებული გაფრთხილებებს.

როლანდაროსზემეორე წრე დაიწყო. ჯერჯერობით ხმაურიანი სენსაციები ნაკლებადაა. გუშინდელმა დღემ სასვენებითი ლოჯიკური შედეგები მოიტანა.

ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო სეტიის ნაუგებლად როჯერ ფედერერმა. შვეიცარიელი ხვდებოდა მეტოქეს, რომელსაც აქამდე საფრანგეთის ღიაზე მატჩი არ ჰქონდა ნაგებული. ეს გახლდათ ფრანგი მაქსიმ ტიშიერა. მან წინა წრეში ჩაატარა სადებიუტო შეხვედრა პარიზის კორტებზე - თანამემამულე ვენსან მილო დაამარცხა, რითაც ფედერერთან თამაშის პატივი ერგო.

რა თქმა უნდა, უაილდ ქარდის მფლობელ ფრანგს შვეიცარიელის დამარცხების შანსი არ ჰქონდა, მაგრამ ერთი გამირობა მაინც ზარდა. საქმე ისაა, რომ წინა წრეში როჯერმა გამოცდილი ფელისიანო ლოპესს ისე მოუგო, რომ ერთი ბრეიკ-პოინტიც არ მიუცია მეტოქისთვის, აქ ყველაფერს უცნობმა 22 წლის ფრანგმა ბრეიკი გაუკეთა დიად შვეიცარიელს! მართალია, პირველ სეტში 3:3-დან მოყოლებული ფედერერმა ზედიზედ 13 გეიმში აულო მეტოქეს, მაგრამ მატჩის შემდეგ ტიშიერა ფრიად კმაყოფილი ჩანდა მიღებული გამოცდილებით.

შემდეგ წრეში ფედერერს სერიოზული გამოცდა ექნება ჩაატარებელი - მას სერბი იანკო ტიპსარევიჩთან უწევს შეხვედრა, რომელმაც ესპანელი პერე რიბა განადგურა - 6:1, 6:3, 6:0. თუ იანკო ფორმაშია, როჯერს ყოველთვის უჭირს მისი დამარცხება. ამ მხრივ გასახსენებელია 2008 წლის ავსტრალიის ღია პირველობა, როცა შვეიცარიელმა მეხუთე სეტში გატყუა ტიპსარევიჩის ნინაალმდეგობა - 10:8.

„ჩემი მეტოქისთვის რთული იყო ასეთი რაოდენობის მაყურებელთა წინაშე თამაში. ის ამას მიუჩვევლია. აქ ზედიზედ მე-12 წელია, ვთამაშობ და სწორედ გამოცდილება დამეხმარა გამარჯვების მოპოვებაში“, - განაცხადა ფედერერმა.

მესამე წრეში გარანტირებული გვაქვს სუპერმატჩის ხილვა: სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი არგენტინელი ხუან მარტინ დელ პოტროს ნინაალმდეგ პირველმა მათგანმა გუშინ ზედმეტი დასვენების საშუალება მიიღო, რადგან მესამე სეტში ნაადრევად შეწყვიტა ნინაალმდეგობა რუმინელმა ვიქტორ პანესკუმ. შესაძლოა, სწორადაც მოიქცა, რადგან უიმედოდ აგებდა სერბთან. ნოვაკმა თითქმის იდეალური ჩოგბურთი აჩვენა - პირველი მონაკოები ქულების 88 პროცენტი მოიგო, მეორე - 79 და რვიდან სამი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა.

ჯოკოვიჩმა ამ სეზონის სტარტიდან მოყოლებული ზედიზედ 39-ე მატჩი მოიგო და ჯონ მაკინროს რეკორდამდე სამი გამარჯვება უკლია.

რაც შეეხება დელ პოტროს, წინა წრესთან შედარებით ამჯერად მან იოლად მოუგო სლოვენელ ბლაჟ კაჟიჩს - 6:3, 6:2, 6:4.

არგენტინელი და სერბი აქამდე სამჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და სამივეჯერ უპირატესობა ჯოკოვიჩის მხარეს იყო. თუმცა მათი ბოლო შეხვედრა ორი წლის წინ რომის მასტერსზე გაიმართა.

ქალებს შორის რეიტინგის პირველმა ნომერმა ჩაატარა მორიგი შეხვედრა. დანიელ კაროლინ ვოზნიაციკის იოლი გასეირნება არ ჰქონია თითქმის მოგვარესთან, კანადელ ალექსანდრ ვოზნიაკთან.

ძალიან იოლი დასაწყისის შემდეგ ვოზნიაციკის მოულოდნელად სერიოზული პრობლემები შეექმნა მეორე სეტში, კერძოდ ტაი-ბრეიკზე. კანადელი „შემოკლებულ“ გეიმში 6:3 დაინაწურდა, რაც სამ სეტბოლს ნიშნავდა, მაგრამ დანიელმა სამივე საფრთხე მოიგერია და პირველივე მატჩბოლი გამოიყენა - 6:2, 7:6(6).

ვოზნიაციკი მოიგო მატჩი იმის მოუხედავად, რომ მეტოქეზე შვიდით ნაკლები „ვინერსი“ ჰქონდა და ახლა მესამე წრეში სლოვაკ დანიელა პანტუხოვას შეხვედრა.

ძალიან იოლად გამარჯვდა როლანდ გაროსის მოქმედა ფინალისტმა სამანტა სტოსურმა. ტურნირის მერვე ნომერმა ექვსჯერ აიღო რუმინელი სიმონა ჰალპის მონაკოებმა, 21 „ვინერსი“ დააგროვა და მეტოქისთვის მხოლოდ ორი

გეიმი გაიმეტა - 6:0, 6:2. ასე რომ, ამ მატჩზე მეტის თქმა არ ღირს.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ ამერიკული დერბი ბეტანი მატეკსა და ვარვარა ლეპენკოს შორის. საქმე ისაა, რომ გამარჯვების შემთხვევაში მატეკი ქალთა რეიტინგში ვენუს უილიამსს გაასწრებდა და ამერიკული ჩოგბურთის მეორე ნომერი გახდებოდა (ლიდერი კვლავინდებურად სერენა უილიამსია).

ვენუსი ამჯერად 30-ე კლასიფიკაციაში. ის როლანდ გაროსზე არ თამაშობს და შესაბამისად, ვერც შარშან მოპოვებულ ქულებს იცავს. ამიტომაც ექსტრავაგანტურ მატეკს „დიდი სლემის“ ტურნირების შვიდგზის გამარჯვებულის გასწრების შანსი მიეცა, რაც ბეტანიმ კარგად გამოიყენა. მან გუშინ სამ სეტში გამარჯვდა და 2006 წლიდან მოყოლებული პირველი ამერიკელი გახდა სერენასა და ვენუსის შემდეგ, ვინც საფრანგეთის ღია პირველობის მესამე წრეში გააღწია.

### პირველი წრის ფაქტები

- წლევანდელი როლანდ გაროსის მამაკაცთა ტურნირზე პირველ წრეში იმდენივე სეტი გათამაშდა, რამდენიც გასული წლის პირველობაზე - 232.

სამაგიუროდ, ნელს უფრო მეტი ტაი-ბრეიკი (34 30-ის ნინაალმდეგ) და მეტი გეიმი (2215 2198-ის ნინაალმდეგ) გათამაშდა. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ პირველ წრეში გატყუებით ნაკლები „ვინერსები“ იყო (4540 5972-ის ნინაალმდეგ) და ნაკლები ეისი ჩაანოდეს (824 968-ის ნინაალმდეგ).

- პირველ წრეში მხოლოდ შვიდი ხუთსეტისანი მატჩი ჩატარდა. შედარებისთვის, გასულ წელს ამავე ეტაპზე 13 შეხვედრაში გახდა საჭირო ხუთი პარტის გამართვა.

ბოლოს, ხუთსეტისანი მატჩების ასეთი დაბალი მაჩვენებელი 2008 წლის უიმბლდონზე დაფიქსირდა.

- პირველად 1992 წლის შემდეგ როლანდ გაროსის ქალთა ბადის მეორე წრეში გავიდა ორი ბრიტანელი ჩოგბურთელი - ამ ეტაპზე თამაშებენ ელენა ბალტანა და ჰიზერ უოტსონი.

### ქალთა II წრე

დავიდ ფერერი (ესპ, 7)-უილიან ბენეტო (საფ) 6:3, 6:4, 6:2; სერგეი სტახოვსკი (უკრ, 31)-კეი ნიშკოვი (იაპ) 6:1, 3:6, 6:3, 7:6; სტივ დარცისი (ბელ)-ფილიპ პეტცშენერი (გერ) 7:5, 6:4, 6:4; გაელ მონფილისი (საფ, 9)-გიომ რუფინი (საფ) 6:3, 1:6, 6:1, 6:3; იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 29)-პერე რიბა (ესპ) 6:1, 6:3, 6:0; როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)-მაქსიმ ტიშიერა (საფ) 6:3, 6:0, 6:2; ფაბიო ფონინი (იტა)-სტეფან რობერი (საფ) 6:2, 6:1, 6:0; რუბენ რამირეს იდალგო (ესპ)-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 6:7, 6:4, 6:1, 6:2; მიხაილ იუჟენი (რუს, 12)-მიხაილ კუკუშინი (ყაზ) 6:3, 7:5, 6:4; რიშარ გასკე (საფ, 13)-მარსელ გრანოლერსი (ესპ) 4:6, 6:3, 6:2, 6:4; ტომას პელუჩი (ბრა, 23)-ანდრეას სები (იტა) 6:1, 6:2, 6:4; ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 25)-ბლაჟ კაჟიჩი (სლოვენ) 6:3, 6:2, 6:4; ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)-ვიქტორ პანესკუ (რუმ) 6:4, 6:1, 2:3 პანესკუს უარი; სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 14)-ტომას შორელი (პოლ) 6:3, 6:2, 6:4; ჟო ვილფრედ ცონგა (საფ, 17)-იგორ ანდრევი (რუს) 6:3, 7:6, 6:3; გილერმო კარსია-ლოპესი (ესპ, 30)-მარსელ ილჰანი (თურ) 6:4, 1:6, 6:2, 4:6, 13:11.

### ქალთა II წრე

კაროლინ ვოზნიაციკი (დან, 1)-ალექსანდრა ვოზნიაკი (კან) 6:3, 7:6; დანიელა პანტუხოვა (სლოვაკ, 28)-სარა ერანი (იტა) 6:1, 6:2; რებეკა მარინო (კან)-მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ) 2:6, 6:3, 6:3; სეტილანა კუნეცოვა (რუს, 13)-ირინა-კამელო ბეგუ (რუმ) 6:1, 6:1; მარიონ ბარტოლი (საფ, 11)-ოლგა გოგორცოვა (ბლრ) 6:4, 5:7, 6:2; ჯულია გორჯესი (გერ, 17)-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 2:6, 7:5, 6:2; ხისელა დულკო (არგ)-ცვეტანა პირონკოვა (ბულ, 32) 6:4, 6:2; სამანტა სტოსური (ავსტრა, 8)-სიმონა პალეტი (რუმ) 6:0, 6:2; ანასტასია როდიონოვა (ავსტრა)-ედინა გალოვიტი (რუმ) 6:1, 6:4; ნურია ლაგოსტერა ვივსი (ესპ)-ალიზ კორნე (საფ) 6:0, 6:2; ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 14)-მონა ბარტელი (გერ) 6:0, 7:6; ელენა იანკოვიჩი (სერ, 10)-ვერა ზვიონარევა (რუს) 6:3, 6:2; ბეტანი მატეკი (აშშ)-ვარვარა ლეპენკო (აშშ) 6:3, 2:6, 6:3; შუაი პენგი (ჩინ, 29)-პოლინა პერცოვა (სლოვენ) 7:5, 6:1; ვერა ზვიონარევა (რუს, 3)-სიმინ ლისიცი (გერ) 4:6, 7:5, 7:5; ფრანკესკა სკიაკოვი (იტა, 5)-ვენსა დლონიცი (რუს) 6:1, 6:2.



ბეტანი მატეკი